

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში

Student Journal of Social Sciences

№22, იანვარი

ელექტრონული სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი

2023

E ISSN: 2449-3066

სარედაქციო კოლეგია:

ვალერიან მელიქიძე – სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი,
საზოგადოებრივი გეოგრაფია

გიორგი კვინიკაძე – ასოცირებული პროფესორი, საზოგადოებრივი გეოგრაფია

მარინა ბურძენიძე – ასოცირებული პროფესორი, სოციოლოგია და სოციალური მუშაობა
სალომე ნამიჭეიშვილი – ასისტენტ-პროფესორი, სოციოლოგია და სოციალური მუშაობა

ნანული ტალახაძე – ასოცირებული პროფესორი, ჟურნალისტიკა და მასკომუნიკაცია

მანანა შამილიშვილი – ასოცირებული პროფესორი, ჟურნალისტიკა და მასკომუნიკაცია

სალომე დუნდუა – ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერება

ავთანდილ ტუკვაძე – ასისტენტ-პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერება

ფიქრია ასანიშვილი – ასოცირებული პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობები

დავით მაცაბერიძე – ასისტენტ-პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობები

თეონა მატარაძე – ასოცირებული პროფესორი, ინტერდისციპლინური დეპარტამენტი

ტექნიკური ჯგუფი:

თეონა თაბუაშვილი, მირანდა მიქაძე

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. გვანცა ჩანგელია, დეა კაკაბაძე. ჩინეთ-ავსტრალია- მეგობრობიდან სტრატეგიულ დაპირისპირებამდე 4
2. ნინო ოტიაშვილი, გიორგი გულეური. დასახლების საერთო კრებების მუშაობა საქართველოში კასპისა და გორის დასახლების საერთო კრებების მაგალითზე 18
3. დიმიტრი შავლოხაშვილი, თამარ კირკიტაძე. რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად გაზრდილი მიგრაცია საქართველოში და პოლიტიკური ელიტის რიტორიკა 36
4. პაატა ახალკაცი, დათო დოლაბერიძე. 1956 წლის 9 მარტი - რეპრესირებული ხსოვნა, რომელიც ტრავმად ვერ იქცა 48
5. მაგდა სარჯველაძე, არჩილ წივილაშვილი. სტატუს შეჩერებული სტუდენტების სწავლის მიტოვების (drop out) მიზეზების კვლევა თბილისის 4 სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე 67
6. ნიკა გოგატიშვილი. ორგანიზაციული კულტურის ტრანსფორმაცია დისტანციური მუშაობის პირობებში: კერძო ორგანიზაციების გამოცდილება 85
7. მარიამ კვეტენაძე. 9 აპრილის კულტურული ტრავმის ასახვა ქართველი ერის კოლექტიურ მეხსიერებაში: სამი თაობის ხედვა 106
8. Iliia Rurua. China and Russia in Central Asia: „Friendly“ Great Powers in One Region 123



ჩინეთ-ავსტრალია- მეგობრობიდან სტრატეგიულ დაპირისპირებამდე

**გვანცა ჩანგელია
დეა კაკაბაძე**

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: dea.kakabadze720@sps.tsu.edu.ge

gvantsa.changelia796@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

2020 წლის შემდეგ ჩინეთ-ავსტრალიის მეგობრული ურთიერთობა სტრატეგიულ დაპირისპირებადაა გარდაქმნილი. 2020 წლის აპრილში ავსტრალიის მიერ დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარება მოთხოვნამ COVID-19-ის წარმოშობის შესახებ ჩინეთის აღშფოთება გამოწვია, მან დაგმო კანბერას მონოღება და იგი შეურაცხყოფად და პოლიტიკურ ნადირობად გამოაცხადა. ჩინეთმა უპრეცედენტო სავაჭრო შეზღუდვების ტალღით უპასუხა ავსტრალიას და გაყინა მისი ექსპორტის მრავალი სფერო. ამ ყველაფერმა ორ ქვეყანას შორის არსებული ისედაც დაძაბული ურთიერთობები ჩიხში შეიყვანა. 2020 წლის მაისში პირველი შეზღუდვები გავრცელდა ქერზე, ამას მოჰყვა აკრძალვები ღვინოზე, ხორბალზე, შაქარზე, ყურძენზე, მატყლზე, სპილენძსა და სხვა პროდუქციაზე. ნოემბერში კი ჩინეთის საელჩომ კანბერაში გამოაქვეყნა „14 საჩივარი“- მოთხოვნათა სია, რომელიც ავსტრალიას უნდა დაეკმაყოფილებინა, თუკი ჩინეთთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენა უნდოდა. ნავარაუდევია იყო, რომ ეს შეზღუდვები ავსტრალიის ეკონომიკას, რომლის ექსპორტიც დიდწილად იყო დამოკიდებული ჩინეთის ბაზარზე, გაანადგურებდა, თუმცა ჩინეთისათვის სრულიად მოულოდნელი შედეგი დადგა. სავაჭრო შეზღუდვებმა თავდაპირველად მართლაც უარყოფითად იმოქმედა ავსტრალიაზე, თუმცა ავსტრალიამ საოცარი რეზისტენტობა გამოიჩინა და მოახერხა სიტუაცია თავის სასიკეთოდ გამოეყენებინა, მან ახალი ბაზრების ათვისება და ჩინეთზე დამოკიდებული ბაზრის დივერსიფიკაცია მოახერხა. ვითარებად დღესაც დაძაბულია და რთულია იმაზე საუბარი, თუ როგორ განვითარდება მოვლენები.

ჩვენი სტატიის მიზანი იმ გარემოებათა გამოვლენაა, რომლებმაც გავლენა იქონიეს ორ სახელწმიფოს შორის ურთიერთობის გაუარესებაზე, რისთვისაც პასუხი უნდა გავცეთ საკვლევ კითხვას, რომელიც შემდეგნაირად იქნა ფორმულირებული: რამ განაპირობა ჩინეთ-ავსტრალიის შორის სავაჭრო ომის დაწყება, როგორი გავლენა იქონია სავაჭრო ომმა ავსტრალიაზე და როგორ იქცა ორი ქვეყნის მეგობრული ურთიერთობა სტრატეგიულ დაპირისპირებად?

სტატიის შესავალში საუბარი გვექნება უშუალოდ სავაჭრო ომსა და მის წინაპირობებზე. მოცემული იქნება კვლევის მეთოდოლოგია და საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურის მიმოხილვა. განვიხილავთ სავაჭრო ომის გავლენას ავსტრალიის ეკონომიკასა და პოლიტიკაზე, ვისაუბრებთ აშშს როლზეც, ბოლო ნაწილში კი დასკვნის სახით წარმოვადგენთ დაპირისპირების გამომწვევ მიზეზებსა და მის გავლენას ავსტრალიის ეკონომიკასა და ჩინეთთან მის ურთიერთობაზე.

საკვანძო სიტყვები: ავსტრალია, ჩინეთი, სავაჭრო ომი, აშშ, AUKUS, ტარიფები, სანქციები.

შესავალი

რამდენიმეწლიანი დაღმავალი ურთიერთობების ფონზე, ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩინეთ-ავსტრალიის ურთიერთობებმა უარყოფითი ტენდენციის ისტორიულ ნიშნულს მიაღწია. ჩინეთმა, რომელიც ავსტრალიის უდიდესი სავაჭრო პარტნიორია, ავსტრალიური საქონლის დიდ ნაწილს უპრეცედენტო ტარიფები და შეზღუდვები დაუწესა, რამაც ორ ქვეყანას შორის ისედაც გართულებული ურთიერთობები ჩიხში შეიყვანა. ყველაფერი კი 2020 წლის აპრილში, ყოფილი პრემიერ მინისტრის სკოტ მორისონის მთავრობის მიერ კორონავირუსის წარმოშობის შესახებ დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარების მოთხოვნით დაიწყო, რაც ჩინეთის მთავრობის მიერ ჩინეთის პრესტიჟის შელახვისათვის გადადგმულ, პოლიტიკურად მოტივირებულ ნაბიჯად იქნა აღქმული. მოგვიანებით კანბერასათვის „ჭკუის სასწავლებლად“ ჩინეთმა ურჩი ერების წინააღმდეგ მის მიერ კარგად ნაცად მეთოდს-ეკონომიკურ იძულებას მიმართა. ტარიფებმა და შეზღუდვებმა მართლაც უარყოფითად იმოქმედა ავსტრალიის ეკონომიკაზე, მაგრამ დააზარალა თვითონ ჩინეთის ეკონომიკაც და მისი სისუსტეებიც გამოავლინა (Schuman. M, 2021).

მიუხედავად ამისა, ჩინეთის კამპანია ავსტრალიის მიმართ წარუმატებელი აღმოჩნდა, პირიქით, ამ უკანასკნელმა საშუალება მისცა ავსტრალიას ჩინეთს დაპირისპირებოდა. ავსტრალიამ გააძლიერა ძალისხმევა ინდოეთთან, იაპონიასთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან ოთხმხრივი უსაფრთხოების დიალოგის გასაძლიერებლად. ამასთან, ამ უკანასკნელმა გადადგა საკმაოდ პროვოკაციული ნაბიჯი და გახდა AUKUS-ის, უსაფრთხოების პარტნიორობის ნაწილი გაერთიანებულ სამეფოსა და აშშ-სთან ერთად, რომლის მიზანიც რეგიონში ჩინეთის მზარდ გავლენასთან დაპირისპირებაა (Wilson. J, 2021). რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ავსტრალიამ მოახერხა თავისი ბაზრის დივერსიფიცირება და ჩინეთზე დამოკიდებულების შემცირება. მიუხედავად ამისა, ვითარება ჯერ კიდევ ჩიხშია და რთულია იმის თქმაც, შეძლებს თუ არა ორი ქვეყანა დაძაბულობის ახლო მომავალში აღმოფხვრას.


ზემოთხსენებული კონფლიქტი უკვე რამდენიმე წელია გრძელდება და დღემდე არ კარგავს აქტუალობასა და მნიშვნელობას. იმისათვის, რომ პასუხი გავცეთ საკვლევი კითხვას, უნდა გავეცნოთ ჩინეთ-ავსტრალიის ურთიერთობებს დაპირისპირების დაწყებამდე, რათა გავერკვეთ ამ ურთიერთობათა დინამიკაში, გავაანალიზოთ სავაჭრო ომის გავლენა ავსტრალიის ეკონომიკასა და პოლიტიკაზე და ზოგადად რეგიონალურ დღის წესრიგზე, რაც საშუალებას მოგვცემს გავერკვეთ დაპირისპირების არსში, გავაანალიზოთ ამ უკანასკნელის გავლენა ავსტრალიაზე და ვნახოთ, თუ როგორ იქცა მეგობრული ურთიერთობა სტრატეგიულ დაპირისპირებად.

ლიტერატურის მიმოხილვა

ჩინეთსა და ავსტრალიას თანამშრომლობის საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია გააჩნიათ, თუმცა ოფიციალური ურთიერთობები ორ სახელმწიფოს შორის მხოლოდ რამდენიმე ათწლეულია

არსებობს. დიპლომატიური ურთიერთობათა ჩამოყალიბების პირველი მცდელობა 1941 წელს უკავშირდება, როდესაც ავსტრალიის პირველი დიპლომატიური მისია გაიხსნა ჩინეთში, თუმცა კომუნისტური პარტიის გამარჯვებასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჩამოყალიბებასთან ერთად ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური თანამშრომლობა შეწყდა. შემდეგი ორი ათწლეულის განმავლობაში ავსტრალია არც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კომუნისტურ მთავრობას აღიარებდა და არც ჩინეთის რესპუბლიკას ნაციონალისტური მთავრობით სათავეში. 1966 წელს დიპლომატიური მისია დაფუძნდა თაიპეიში, თუმცა 1973 წელს ავსტრალიის მთავრობამ დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან და საელჩომ თაიპეიდან პეკინში გადმოინაცვლა (National Archives of Australia, n.d). 1973 წელსვე მოეწერა ხელი პირველ სავაჭრო შეთანხმებას ჩინეთსა და ავსტრალიას შორის. განსაკუთრებით დადებითი ტენდენციები შეინიშნებოდა 80-იანი წლებში. ორივე სახელმწიფო ხედავდა ამ ურთიერთობის მნიშვნელობას- ავსტრალია ეკონომიკურ შესაძლებლობებს ხედავდა, ჩინეთი კი, თავის მხრივ, აცნობიერებდა, რომ მოდერნიზაციის პროცესისათვის ავსტრალიასთან თანამშრომლობა სასარგებლო იყო.

ჩინეთის წილი ავსტრალიის მთლიანი საქონლის ვაჭრობაში (1901-2011)




Au-

Yeung. W, Keys. A, Fischer. P, (2012), Australia-China: Not just 40 years, Australian Government, <https://treasury.gov.au/publication/economic-roundup-issue-4-2012/australia-china-not-just-40-years>

ურთიერთობათა დაღმასვლა 1989 წლის თიანანმენის ტრაგედიის კვალდაკვალ იწყება. თუმცა მალევე, 1993 წლიდან ავსტრალიამ ყინულის გადნობა დაიწყო, ვინაიდან მატყლის გასაყიდად ჩინური

ბაზარი სჭირდებოდა. 1989-2015 წლებში ჩინეთის ეკონომიკური აღმასვლის პარალელურად, ავსტრალია მასთან ახლო კავშირებს ინარჩუნებდა და ამ ისტორიული შესაძლებლობით აქტიურად სარგებლობდა. თუმცა, ამ ყოველივეს პარალელურად, ავსტრალიის მთავრობა წუხდა იმაზეც, რომ იდეოლოგიური და სისტემური განსხვავებები გამო ჩინეთს შესაძლოა ავსტრალიის ეკონომიკური დამოკიდებულება თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა (Jiang. Y, 2021). თუმცა, საბოლოო ჯამში ეს დამოკიდებულება მაინც უფრო ოპტიმისტურმა მიდგომამ გადაწონა და ურთიერთობათა გაღრმავება გაგრძელდა.

მომსახურებით ვაჭრობა ჩინეთთან (1991-2011)



Au-Yeung. W, Keys. A, Fischer. P, (2012), Australia-China: Not just 40 years, Australian Government, <https://treasury.gov.au/publication/economic-roundup-issue-4-2012/australia-china-not-just-40-years>

2012 წელს სი ძინფინგის გაპრეზიდენტების შემდეგ ორი ქვეყანა „საერთო ნდობასა და საერთო სარგებელზე დაფუძნებული სტრატეგიული პარტნიორობაზე“ შეთანხმდა. დიდი ბრიტანეთის, რუსეთისა და გერმანიის შემდეგ ავსტრალია მეოთხე ქვეყანა გახდა, რომელმაც ჩინეთთან ამგვარ შეთანხმებას მიაღწია (Liu.W, & Hao,Y, 2014). ავსტრალიის კეთილგანწყობას ჩინეთის მიმართ ადასტურებდა ისიც, რომ 2008 წელს ავსტრალიამ უარი განაცხადა ოთხმხრივი უსაფრთხოების

დიალოგში, ე.წ. QUAD-ში შემდგომ მონაწილეობაზე, ალიანსზე, რომლის მიზანსაც ჩინეთის დაბალანსება წარმოადგენდა ინდო-წყნარი ოკეანის რეგიონში (Wyeth. G, 2017).

2015 წელს ხელი მოეწერა თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას, რომლის მიზანაც ორ სახელმწიფოს შორის ვაჭრობისა და ინვესტირების გაძლიერება იყო. შეთანხმების თანახმად, ავსტრალიიდან ექსპორტირებული თითქმის ყველა საქონელი უბაჟოდ შევიდოდა ჩინეთში, სოფლის მეურნეობის სფეროს პროდუქტებთან მიმართებით გაუქმდა გარკვეული ტარიფები. ამასთან, შეთანხმება აადვილებდა ინვესტირებას ორივე ქვეყანაში (Department of foreign affairs and trade, 2018). ამავე 2015 წელს ავსტრალია აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის დამფუძნებელი წევრი გახდა და ჩინურ კერძო კომპანიას დარვინის პორტი იჯარით გადაეცა.

თუმცა, შეხმატკბილებამ დიდხანს არ გასტანა და 2016 წლიდან ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა. 2016 წელს, როდესაც საერთაშორისო ტრიბუნალმა ჩინეთის პრეტენზიები სამხრეთ ჩინეთის ზღვაზე უარყო, ავსტრალიამ მოუწოდა ჩინეთს, დამორჩილებოდა გადაწყვეტილებას, თუმცა ჩინელმა დიპლომატებმა საპასუხოდ მოუწოდეს ავსტრალიას „წესიერად მოქცეულიყო“ და დაცინვით ავსტრალიას „ქალაქის კატა“ უწოდეს. მალევე სკანდალის ფონზე გამოაშკარავდა ჩინეთის კომუნისტური პარტიის მიერ ავსტრალიის პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის მცდელობები. 2018 წელს ავსტრალიამ აკრძალა ჩინური ფირმებს Huawei-სა და ZTE-ს მონაწილეობა 5G ინტერნეტ ქსელების მშენებლობაში (Geopolitical Monitor, 2021). ასევე, 2017 წელს ავსტრალია ხელახლა შეუერთდა QUAD ალიანსს, ვინაიდან სამხრეთ ჩინეთის ზღვაში ჩინეთის ბოლოდროინდელმა გააქტიურებამ რეგიონულ სტაბილურობას საფრთხე შეუქმნა, ალიანსის წევრობა კი გარკვეულ უსაფრთხოების გარანტიებს აძლევდა ავსტრალიას.

მეთოდოლოგია

ნაშრომი მეთოდოლოგიურად განეკუთვნება თვისებრივი კვლევის კატეგორიას. გამოყენებულია ლიტერატურის დამუშავების ე.წ. „სამაგიდო ხერხი“. განსაზღვრულ საკვლევ კითხვაზე პასუხის გასაცემად მოვიშველიეთ გავლენიან მკვლევართა და ანალიტიკოსთა ნაშრომები, შესაბამისი დოკუმენტები და წერილობითი მასალა, ამასთანავე აკადემიური და სამეცნიერო ლიტერატურა, მედიაში გამოქვეყნებული ინფორმაცია, პირველადი, მეორეული და მესამეული წყაროები. გამოყენებულია შემთხვევის შესწავლის (case study) მეთოდი, რომლის საშუალებითაც ხდება ამა თუ იმ მოვლენაზე სიღრმისეული დაკვირვება, რამაც საშუალება მოგვცა სიღრმისეულად გაგვეანალიზებინა „სავაჭრო ომის“ დაწყების მიზეზები და შემდეგ განვითარებული მოვლენები. ამასთან, სავაჭრო ომის ეკონომიკური გავლენის განსასაზღვრად ნაშრომში მოყვანილია სხვადასხვა სახის სტატისტიკური მონაცემი, რომლებიც გვაძლევს საშუალებას ვნახოთ, თუ როგორი სავაჭრო ბალანსი არსებობდა ჩინეთ-ავსტრალიას შორის, როგორ იცვლებოდა ის დროთა განმავლობაში და როგორი გავლენა იქონია მასზე სავაჭრო ომმა. აღნიშნული აკადემიური ინსტრუმენტების გამოყენების საფუძველზე წარმოვადგინეთ საკითხის სიღრმისეულ ანალიზს და სინო-ავსტრალიური სავაჭრო ურთიერთობების

დინამიკას, რომელიც ისტორიულად, დროის სვლის ფონზე, არაერთი პერიპეტითა და არამდგრადი ურთიერთდამოკიდებულებებით ხასიათდება.

„სავაჭრო ომის“ დაწყება და გავლენა ავსტრალიაზე

დაძაბულობამ ავსტრალიასა და ჩინეთს შორის პიკს 2020 წლის გაზაფხულზე მიაღწია, მას შემდეგ, რაც ავსტრალიის პრემიერ-მინისტრმა სკოტ მორისონმა განაცხადა, რომ მხარს დაუჭერდა დამოუკიდებელ გამოძიებას პანდემიის წარმოშობის მიზეზების გასარკვევად. ამ ყოველივეს აღშფოთება მოჰყვა პეკინის მხრიდან, ვინაიდან ამ განცხადებით საფრთხე ექმნებოდა ჩინეთის კომუნისტური პარტიის პრესტიჟს. ამიტომაც ავსტრალიის გასაჩუმებლად ჩინეთმა მის ყველაზე სუსტ რგოლს შეუტია- ავსტრალიის 150 მილიარდიან საექსპორტო ბაზარს ჩინეთთან.

ქერი, საქონლის ხორცი, ქვანახშირი, სპილენძი, გაზი, ბამბა, შაქარი, ხე-ტყვე, ღვინო, მატყლი-მოულოდნელად სხვადასხვა ტარიფებს დაექვემდებარა და ჩინეთმა ფაქტობრივად შეწყვიტა მათი შექენა. ავსტრალიური ნახშირის გადამტანი გემები ჩინეთის პორტებში დაბრკოლებებს აწყდებოდნენ და თვეების განმავლობაში ელოდებოდნენ პროცესთა დასრულებას. ამას დაერთო ისიც, რომ 2020 წლის ივლისში ავსტრალიამ ოფიციალურად უარყო ჩინეთის პრეტენზიები სამხრეთ ჩინეთის ზღვაზე გაეროს დეკლარაციაში, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა სიტუაცია. დეკლარაცია ყურადღებას ამახვილებდა 2016 წლის საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომელიც ჩინეთის პრეტენზიებს სამხრეთ ჩინეთის ზღვაზე უსაფუძვლოდ აცხადებდა.

18 ნოემბერს დაძაბულობამ პიკს მიაღწია, როდესაც პეკინმა ავსტრალია „ორმხრივი ურთიერთობების მონამვლაში“ დაადანაშაულა. ჩინეთმა ავსტრალიის მთავრობას წარუდგინა „14 საჩივარი“, სადაც ჩამოთვლილი იყო ჰარმონიულ ურთიერთობათა აღსადგენად ავსტრალიის მიერ განსახორციელებელი ქმედებები. პირველ რიგში დოკუმენტი ავსტრალიის სტრატეგიული პოლიტიკის ინსტიტუტის მიერ დაფინანსებული „ანტიჩინური“ კვლევების დაფინანსების შეწყვეტას ითხოვდა. მოთხოვნილი იყო ჩინელი უერთნალისტების რეიდების შეწყვეტა, ტაივანთან, ჰონგ-კონგთან და სინძინაგის პროვინციასთან დაკავშირებული საკითხების მხარდაჭერის შეწყვეტა, Covid-19-ის წარმოშობის შესახებ დამოუკიდებელი გამოძიების შეწყვეტა, ჰუავეის აკრძალვის გაუქმება, ინფრასტრუქტურულ და აგრიკულტურულ სექტორში ჩინური ინვესტიციების დაბლოკვის გადაწყვეტილების უკან გახმობა და სხვა. (Geopolitical Monitor, 2021).

ყოველივე ამასთან ჩინეთმა მიანიშნა ავსტრალიას, უარი ეთქვა სამხრეთ ჩინეთის ზღვაში ნავიგაციის თავისუფლების ოპერაციაში მონაწილეობაზე. ამის პარალელურად ავსტრალიამ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში ჩინეთის ტარიფების წინააღმდეგ ოფიციალური საჩივარი შეიტანა. ჩინეთმა კი თავის მხრივ, კიდევ უფრო გაზარდა ღვინოზე არსებული ტარიფები და 2020 წლის დეკემბრიდან 2021 წლის აპრილამდე ჩინეთში ავსტრალიური ღვინის ექსპორტის მოცულობა 325 მილიონი აშშ დოლარიდან 12 მილიონ აშშ დოლარამდე შემცირდა.

ამასთან, 2020 წელს მიღებული კანონმდებლობით ავსტრალიის ფედერალურ მთავრობას მიენიჭა უფლება ვეტო დაადოს ავსტრალიის შტატების მიერ უცხოელ ინვესტორებთან დადებულ შეთანხმებებს, რაც ჩინეთის „სარტყელი და გზა“ ინიციატივაზე მიმართულ დარტყმად იქნა აღქმული პეკინის მხრიდან (Lee. J, 2020). და მართლაც, მალევე ავსტრალიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ვიქტორიას შტატში „სარტყელისა და გზის“ ინიციატივის ორი გარიგება გააუქმა და დაინო ჩინეთისათვის 2015 წელს იჯარით მიცემულ დარვინის პორტის სტატუსის ხელახალი განხილვა. საინტერესოა ისიც, რომ სულ ახლახან ავსტრალია აშშ-ს მიერ პეკინის ოლიმპიადისათვის გამოცხადებულ დიპლომატიურ ბოიკოტს შეუერთდა.

ბოლოდროინდელმა დაპირისპირებამ უარყოფითი გავლენა იქონია ისედაც არამყარ სინო-ავსტრალიურ ურთიერთობებზე და მიგვიყვანა მდგომარეობამდე, რომელმაც დააზარალა ორივე ქვეყნის ეკონომიკა და დიპლომატიური ურთიერთობებიც ჩიხში შეიყვანა. ჩინეთის მნიშვნელობა განუსაზღვრელია ავსტრალიისათვის, ვინაიდან ავსტრალია ერთ-ერთია იმ ძალიან მცირე სახელმწიფოთა შორის, რომელთა ექსპორტიც ჩინეთიდან იმპორტს აღემატება, ამასთან ავსტრალიური ექსპორტის 1/3 სწორედ ჩინურ ბაზარზე ხვდება. აქედან გამომდინარე, ნავარაუდევია იყო, რომ ეს სავაჭრო ომი ავსტრალიის ეკონომიკას ჩამოშლიდა, თუმცა ავსტრალიამ საოცარი რეზისტენტობა გამოიჩინა და მოახერხა არათუ გადარჩენილიყო, არამედ სიტუაცია თავის სასიკეთოდ გამოეყენებინა და აქამდე ჩინეთზე დამოკიდებული ბაზრის დივერსიფიკაცია მოეხდინა.

ზარალი მართლაც უდიდესი აღმოჩნდა. 2021 წლის პირველი ცხრა თვის მონაცემების მიხედვით, 2019 წელთან შედარებით, ავსტრალიის ექსპორტმა 17,3 მილიარდი დოლარით ნაკლები შეადგინა. მხოლოდ ღვინის ექსპორტმა 480 მილიონი აშშ დოლარის ვარდნა განიცადა. (News.com.au, 2021). უდიდესი დარტყმა მიაღდა ინვესტიციების სფეროს- 2020 წელს უცხოური ინვესტიციების რაოდენობამ ავსტრალიაში 61%-ით დაიკლო.

მრავალმა სექტორმა და ინდუსტრიამ უმძიმესი დარტყმა მიიღო, თუმცა ავსტრალიამ მოახერხა ადაპტაცია, ბაზრის დივერსიფიკაცია და სხვა სახელმწიფოებთან ექსპორტი გაიზარდა. იგი ბაზრის დივერსიფიკირებას ცდილობს ევროპის, ახლო აღმოსავლეთსა და აზიის ხარჯზე. მაგალითად, გასულ წელს ქვანახშირის ექსპორტი ინდოეთის ხარჯზე 9,5 მილიარდი აშშ დოლარით გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთში ავსტრალიური ექსპორტის სრულმა რაოდენობამ 10 მილიარდი აშშ დოლარით დაიკლო, ბაზრების დივერსიფიკირების ხარჯზე სხვა ბაზრებზე ავსტრალიური ექსპორტის რაოდენობა 14 მილიარდი აშშ დოლარით გაიზარდა.

ისიც უნდა ითქვას, რომ მიუხედავად შეფერხებული ექსპორტისა, 2020 წელს ავსტრალიის ექსპორტის 40% მაინც ჩინეთის ბაზარზე ხვდებოდა, მაშინ, როდესაც 2019 წელს ეს მაჩვენებელი 38,2%-ს უდრიდა. თუმცა ახლა, როდესაც ავსტრალია სანქციების ქვეშაა, ჩინეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების შემცირება ძალიან მნიშვნელოვანია. (Okano. Y, 2021). სანქციების ფონზე კი ავსტრალიური რკინის ექსპორტმა ჩინეთში რეკორდულ დონეს მიაღწია, რაც ხაზს უსვამს ჩინეთის დამოკიდებულებას ავსტრალიაზე, აგრარული სტიმულის გამო ჩინეთს ახლა უფრო ესაჭიროება რკინის მადანი, ვიდრე

აქამდე. ამასთან რკინის მადნის ალტერნატიული მომწოდებელი ჩინეთისათვის ბრაზილიაა, თუმცა ბრაზილიაში კორონავირუსის პანდემიისა და შიდა პრობლემების გამო, ჩინეთი ფაქტობრივად უალტერნატივოდ დარჩა.

დაპირისპირებამ არანაკლებ სერიოზული გავლენა მოახდინა ჩინეთზე. მაგალითად, ნახშირის იმპორტირების შეწყვეტის გამო ჩინეთი იძულებული გახდა ქვანახშირის სხვა ბაზრები მოეძებნა და დაიწყო ქვანახშირის რუსეთისა და ინდონეზიისაგან შეძენა, რომელიც ავსტრალიურ ქვანახშირზე 25%-ით ძვირი ღირს (Seidal, J., 2021). იანვარსა და თებერვალში ავსტრალიურ ნახშირზე დანესებულმა აკრძალვამ ჩინეთის დიდი ნაწილი ელექტროენერჯის გარეშე დატოვა.

ჩინეთმა ვერ გაითვალისწინა თუ რამდენად იყო დამოკიდებული ავსტრალიასა და მის ქვანახშირზე, ვინაიდან საკუთარი ელექტროენერჯის 65%-ს იგი სწორედ ქვანახშირისაგან იღებს. აღსანიშნავია, რომ ჩინეთი ქვანახშირის ერთ-ერთ უდიდესი მსოფლიო მწარმოებელია, თუმცა ინდუსტრიული მრეწველობისათვის გამოსაყენებელ ქვანახშირს იგი სხვა ქვეყნებისაგან იღებს, რომელთა შორისაც პირველი ადგილი ავსტრალიას უჭირავს. ავსტრალიიდან იმპორტის შეჩერებასთან ერთად უფრო აქტიურად დაიწყო ადგილობრივი ქვანახშირის მოპოვება, თუმცა ამას დაერთო წყალდიდობები ჩინეთის აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილებში, რის გამოც დაიხურა ჩინური და ინდონეზიური ქვანახშირის მალაროები, ყველაფერთან ერთად გამკაცრდა სხვადასხვა სახის უსაფრთოხების წესები, რამაც კიდევ უფრო შეამცირა ქვანახშირის მოპოვება. ამ ყველაფერმა ერთად მიგვიყვანა მდგომარეობამდე, როცა ჩინურ ქალაქებს ელექტროენერჯია აღარ მიეწოდებოდათ, რამაც შეაფერხა ქარხანათა მუშაობა და დააზარალა მიწოდების ჯაჭვები. ამ ყოველივემ ძალიან დიდი გავლენა მოახდინა ჩინეთის პრესტიჟზე, ბევრმა კომპანიამ, რომელიც ჩინურ წარმოებას ეყრდნობა, გაანალიზა, რომ ჩინეთში წარმოება არასაიმედო გახდა, ამიტომაც მრავალმა დიდმა კორპორაციამ წარმოების ბაზრები ჩინეთიდან სხვა ქვეყნებში გაიტანა. 2021 წელს, 13 წლის განმავლობაში პირველად ჩინური წარმოების მრეწველობა შემცირდა (Chapple, J., 2021).

ამერიკის შეერთებული შტატების როლი

ჩინეთ-ავსტრალიის ურთიერთობებზე საუბრისას წარმოუდგენელია არ ვახსენოთ ამერიკის შეერთებული შტატები და მისი გავლენა ამ ურთიერთობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ უპირველესი შემათხრობებელი ფაქტორი ჩინეთ-ავსტრალიის ურთიერთობებისათვის სწორედ ავსტრალია-აშშს ალიანსია. როგორც ვიცით, ბოლო ათწლეულების განმავლობაში აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებმა სწრაფი ეკონომიკური ზრდა განიცადეს, ამან შეცვალა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის სტრუქტურა, რამაც ამერიკის შეერთებული შტატების რეგიონში დაბრუნება გამოიწვია. ჩინეთის ეკონომიკურ აღზევებასა და აშშს აზია-წყნარ ოკეანეთში დაბრუნებით რეგიონი მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის, მოვლენათა ამგვარი განვითარება კი გავლენას ახდენს ჩინეთ-ავსტრალიის ურთიერთობებზე.

აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი საინტერესო ფენომენს წარმოადგენს და რეგიონის ქვეყნებს დიდი წინაშე აყენებს. აქ ხშირად იქნება სამხრეთი კავშირები, როდესაც მცირე ან საშუალო ძალის სახელმწიფოები იძულებულნი არიან ჩინეთს დაეყრდნონ, როგორც სავაჭრო და ეკონომიკურ პარტნიორს, მეორე მხრივ კი აშშს, როგორც უსაფრთხოების გარანტორს. ავსტრალია ამის შესანიშნავი მაგალითია- ეკონომიკური ურთიერთობების ჩინეთთან შენარჩუნება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მისთვის, თუმცა აშშსთან სტრატეგიული ურთიერთობა მისი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ქვაკუთხედი. ჩინეთის ეკონომიკურ აღზევებასთან ერთად ავსტრალიას ეშინია იმის, რომ ჩინეთი შესაძლოა რეგიონული ჰეგემონი გახდეს, რაც, რა თქმა უნდა, საფრთხეს შეუქმნის მის ეროვნულ უსაფრთხოებას. ამიტომაც ცდილობს ჩინეთისაგან მომავალი საფრთხის აშშსთან კოოპერაციით დარეგულირებას, რაც რასაკვირველია ჩინეთის მხრიდანაც საფრთხედ აღიქმება. საბოლოო ჯამში ყოველივე ზემოთხსენებული გვიჩვენებს, რომ აშშ-ავსტრალიის ურთიერთობები სინო-ავსტრალიურ ურთიერთობებზე პირდაპირ გავლენას ახდენს. (HE LiJuan, 2012).

მიზეზი იმისა, თუ რატომ ვერ გადაიზარდა სინო-ავსტრალიური ეკონომიკური თანამშრომლობა პოლიტიკურ თანამშრომლობაში შეიძლება იდეოლოგიურ განსხვავებებში მდგომარეობდეს, სწორედ აქედან გამომდინარე, ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ ავსტრალია ვერასდროს გახდება ჩინეთის „ნამდვილი მეგობარი“. მათ ისიც ესმით, რომ ამ ყოველივეს უკან აშშ-ჩინეთის სტრატეგიული კონკურენცია დგას. ჩინეთი აცხადებს, რომ აშშ-ავსტრალიის ალიანსი აზია-წყნარ ოკეანეთში მის დასაბალანსებლად ყოველად უადგილოა იმის გათვალისწინებით, რომ ჩინეთის მშვიდობიანი აღზევება ხელსაყრელია როგორც რეგიონისათვის, ისე ავსტრალიის ეკონომიკური განვითარებისათვის (LI Fujian, 2012).

AUKUS- როგორც თავდაცვის საშუალება

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ მიმდინარე წლის სექტემბერში ავსტრალიამ, გაერთიანებულმა სამეფომ და შეერთებულმა შტატებმა გამოაცხადეს ახალი თავდაცვითი პაქტის შექმნა აზია-წყნარი ოკეანეთის რეგიონში, სახელწოდებით „AUKUS“, რომლის მიზანიც აზია-წყნარი ოკეანეთის რეგიონში ჩინეთის მზარდი ძალის დაბალანსება და დომინანტობისაკენ მიმართული ქმედებებისა და გეოპოლიტიკური ექსპანსიის შეკავებაა. პაქტი ითვალისწინებს ავსტრალიისთვის აშშ-ის და ბრიტანეთის ტექნოლოგიების გაზიარებას, რომლის საფუძველზეც ავსტრალია უახლოესი ორი ათწლეულის განმავლობაში თავის მოძველებულ წყალქვეშა ფლოტს ატომური წყალქვეშა ნავებით ჩაანაცვლებს. პაქტი ასევე გულისხმობს თანამშრომლობას ხელოვნური ინტელექტის შემუშავებისა და სხვა ტექნოლოგიურ სფეროებში, რაც შედეგად ამ ქვეყნების ყველაზე ფართომასშტაბიანი თავდაცვითი თანამშრომლობის ჩარჩოს ქმნის (ბადრიძე, გ, 2021).

პაქტის შექმნას, რა თქმა უნდა, უკმაყოფილება მოჰყვა ჩინეთის მხრიდან, იგი შეფასებული იქნა როგორც „წარმოუდგენლად უპასუხისმგებლო“. ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, პაქტი ძირს უთხრის რეგიონულ მშვიდობას და აძლიერებს შეიარაღებისათვის რბოლას. ჩინეთი აფრთხილებს ავსტრალიას, რომ არ მიჰყვეს აშშს ჩინეთთან დაპირისპირებაში, ვინაიდან „ჩინეთი არ

იყუყუანებს მისი დასჯისას” (Girard. B, 2021). თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ჩინეთის მიერ აუკუსი დიდ საფრთხედ არ აღიქმება, ვინაიდან მისი საზღვაო ინფრასტრუქტურა და შესაძლებლობები ბევრად დანაწილებულია და ჩინეთს მშვიდად ყოფნის საშუალებას აძლევს.

დასკვნა

1973 წელს ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შემდეგ სინო-ავსტრალიურმა ურთიერთობებმა მრავალი აღმასვლა და დაღმასვლა განიცადა. მიუხედავად ამისა, ორი ქვეყანა დადებით დამოკიდებულებას ინარჩუნებდა ერთმანეთის მიმართ და სულ უფრო და უფრო აღრმავებდა ეკონომიკურ თანამშრომლობასა და ურთიერთდამოკიდებულებას, რაც, რა თქმა უნდა, ორივე ქვეყნისათვის ხელსაყრელი იყო და ორმხრივი მოგების პრინციპს ეფუძნებოდა. თუმცა, 2020 წელს განვითარებული მოვლენების გამო ჩინეთ-ავსტრალიის ურთიერთობები 1973 წლის შემდეგ ასეთ დაბალ ნიშნულზე არასდროს არ ყოფილა. ორი ქვეყნის შორის არსებული მეგობრობა და ეკონომიკური თანამშრომლობა სტრატეგიულ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ავსტრალიის ბუნებრივი რესურსებისათვის ბრძოლა, აშშს მხარდაჭერილი სამხედრო გავლენა აზია-წყნარ ოკეანეში და ავსტრალიელი კონსერვატორი ლიდერები კიდევ უფრო ამწვავებენ სიტუაციას.

ანალიტიკოსების აზრით, ჩინეთს ყველაზე მეტად ავსტრალიის აშშსთან ალიანსი ადარდებს. ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერის განცხადებით, „ავსტრალია და აშშ მიზანმიმართულად ებრძვიან ჩინეთს და ახდენენ მის დისკრედიტაციას საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესებისათვის, ერევან ჩინეთის საშინაო საქმეებში და რეგიონის საგარეო ურთიერთობებს საფრთხის ქვეშ აყენებენ”. ჩინეთს არ მოსწონს ავსტრალია-აშშს სამხედრო ალიანსი, მათი ლიდერების „იდეოლოგიური” იდეები და ავსტრალიის მზარდი კავშირები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოებთან, მათ შორის სამხრეთ ჩინეთის ზღვაში მის პრეტენდენტებთან (Voice of America, 2021).

ავსტრალიის აშშსაკენ გადახრა და ავსტრალიის მიერ აშშს „აზიისაკენ შემობრუნების” პოლიტიკის მხარდაჭერა ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიურ ნდობას ამცირებს. ავსტრალია ინარჩუნებს რეგიონულ და დასავლურ-ცენტრულ მიდგომას და მხარს უჭერს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბებულ წესრიგს აზია-წყნარ ოკეანეში (Driver. S, 2020). ჰონგ-კონგში განხორციელებულმა ანტიდემოკრატიულმა ქმედებებმა და უიღურების წინააღმდეგ გატარებულმა პოლიტიკამაც დამატებითი საფიქრალი გაუჩინა ავსტრალიას. ამ კრიზისმა გვაჩვენა, რომ ავსტრალია ერთ-ერთია იმ ძალიან ცოტა სახელმწიფოთა შორის, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ჩინეთის ეკონომიკაზე და შეიძლება ვთქვათ, რომ თუ ავსტრალია გააგრძელებს დასავლეთთან კიდევ უფრო დაახლოებას, ნაპრალი ჩინეთსა და დასავლეთს შორის კიდევ უფრო გაიზრდება.

ჩინეთი შესაძლოა დიდი და მნიშვნელოვანი ეკონომიკური პარტნიორი იყოს, თუმცა ის არ არის ერთადერთი ალტერნატივა. საერთაშორისო მარკეტები სწრაფად იცვლება და ადაპტირდება სანქციებზე და რეალურად ამცირებს მათ გავლენას. ადაპტირების პროცესი მართალია არ არის

უმტკივნეულო, თუმცა იმაზე ნაკლებად ხარჯიანი და პოლიტიკური დესტაბილიზაციის გამომწვევია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ავსტრალია კი ამის ძალიან კარგი მაგალითი აღმოჩნდა, მან დაამტკიცა, რომ მას შეუძლია ჩინეთს დაუპირისპირეს და ზრდა განაგრძოს სავაჭრო სანქციებისა და იძულებითი ეკონომიკური გათიშვის მიუხედავად.

მიუხედავად ამისა, ავსტრალია ჭკვიანურად უნდა მოიქცეს, ვინაიდან მან იცის, რომ ეს ურთიერთობა მისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩინეთისათვის. სწორედ ამიტომ ცდილობს იგი მოლაპარაკების მაგიდასთან მოიყვანოს ჩინეთი და ურთიერთობათა სტაბილიზაციის გზა გამოიხსოს, თუმცა ვხედავთ, რომ ჩინეთი ჯერ-ჯერობით უარზეა და ამ პრობლემის გადაჭრა ახლო მომავალშიც საკმაოდ საკამათოა. მიმდინარე სიტუაციის ფონზე კი ავსტრალიისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გააძლიეროს საკუთარი ბაზრის დივერსიფიკაცია. 2022 წლის გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომისას, ავსტრალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა პენი ვონგმა განაცხადა, რომ ორივე მხარე გადადგამდა ნაბიჯებს სტაბილური ურთიერთობების მისაღწევად. ჩინეთის მინისტრის განცხადებით კი, 50-წლიანი დიპლომატიური ურთიერთობების გათვალისწინებით, ორ ქვეყანას უნდა ჰქონდეს სტაბილური კავშირი, რომელიც არ იქნება მიდრეკილი ასეთი ინცინდენტებისაკენ (Reuters, 2022). ურთიერთობათა სტაბილიზაციასა და შემდგომ განვითარებაზე საუბარი რთულია. ავსტრალიის ახლახან არჩეული ლეიბორისტული მთავრობა ცდილობს აღადგინოს კონსერვატიული მთავრობის პერიოდში მკვეთრად გაუარესებული ურთიერთობები. შესაძლოა ჩინეთმა შეარბილოს საკუთარი „მეომარი მგლის დიპლომატია“, რომელსაც ასე აქტიურად იყენებს ბოლო დროს ავსტრალიის მიმართ და დაძაბულობის შემსუბუქებაზე დაიწყოს მუშაობა. ვიცე-პრემიერ მინისტრ რიჩარდ მარლესის განცხადებით, წინა მთავრობას მეტად მტრული ტონი ჰქონდა, მისი მთავრობა კი ამ ტონის შეცვლას ცდილობს.

საბოლოო ჯამში ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ გადაიქცა ორი ქვეყნის მეგობრული ურთიერთობა სტრატეგიულ დაპირისპირებად. ავსტრალიამ თავისი ქმედებებით ჩინეთი გააბრაზა, რამაც საბოლოო ჯამში თითქმის სავაჭრო ომამდე მიგვიყვანა. ერთი შეხედვით ეკონომიკური დაპირისპირების უკან ცალსახად პოლიტიკური მიზეზები დგას- ავსტრალიის მიერ ანტი-ჩინური ნარატივის გაჟღერებამ, დასავლეთთან დაახლოებამ და აზია-წყნარ ოკეანეთში ჩინეთის დასაბალანსებლად ალიანსში განწევრიანებამ ჩინეთი აიძულა „მეომარი მგლის დიპლომატია“ გამოეყენებინა, შესაძლო საფრთხე თავიდან აერიდებინა და საკუთარი გავლენის სფერო დაეცვა, რის მისაღწევადაც კარგად ნაცადი ეკონომიკური სანქციების გამოყენება განიზრახა. თუმცა საბოლოო ჯამში მივიღეთ მდგომარეობა, რომელმაც არათუ ავსტრალია, არამედ ორივე ქვეყანა დააზარალა და დაანახა კიდევ ჩინეთს, რომ მისი „მეომარი მგლის დიპლომატია“ ყოველთვის არ მუშაობს და რომ ეკონომიკური ძალა ყოველთვის არ არის პოლიტიკურად გადამწყვეტი. მიუხედავად ამისა, უნდა ვთქვათ, რომ ჩინეთსაც ესმის ავსტრალიასთან თანამშრომლობის ეკონომიკური თუ სტრატეგიული სარგებელი და ამიტომაც სავარაუდოა, რომ ადრე თუ გვიან მასთან ურთიერთობათა სტაბილიზაციას შეეცდება.

ბიბლიოგრაფია:

1. ბაღრიძე. გ (2021), AUKUS - ახალი გეოპოლიტიკური რეალობის მომასწავებელი გაერთიანება, <https://www.gfsis.org/files/library/pdf/AUKUS-3087.pdf?fbclid=IwAR2VpXfrDLc07hIRFZPRbgVMAHMVTi9Lbj-sQtw7vmxpwVxnhkXTEr-AvM4>
2. Australian government: Department of foreign affairs and trade, (2018), ChAFTA outcomes at a glance, <https://www.dfat.gov.au/sites/default/files/chafta-outcomes-at-a-glance.pdf>
3. Au-Yeung. W, Keys. A, Fischer. P, (2012), Australia-China: Not just 40 years, Australian Government, <https://treasury.gov.au/publication/economic-roundup-issue-4-2012/australia-china-not-just-40-years>
4. Chapple. J, (2021), How Australia Is Crashing the World Economy And Taking Down China, <https://www.youtube.com/watch?v=uGzCQZUrs2k&t=14s>
5. Driver. S, (2020), Panic Stations: Australia's Scramble to Defend Against China in the Asia-Pacific, <https://www.e-ir.info/pdf/86725>
6. Geopolitical Monitor, (2021), Timeline: The Downward Spiral of China-Australia Relations, <https://www.geopoliticalmonitor.com/timeline-the-downward-spiral-of-china-australia-relations/>
7. Girard. B, (2021), China's AUKUS Response Highlights Beijing's Bunker Mentality, The Diplomat, <https://thediplomat.com/2021/10/chinas-aukus-response-highlights-beijings-bunker-mentality/>
8. HE LiJuan, (2012), Key Challenges in the Australia- China Relationship, „*Looking Backwards ,Looking Ahead: 40 Years Of Australia-China Relations*”, pp 2-5, https://www.griffith.edu.au/_data/assets/pdf_file/0037/299818/Regional-Outlook-Paper-42-Australia-China-Futures-Dialogue-web.pdf
9. Jiang. Y, (2021), A brief history of Sino-Australian political relations from 1949 to 2020, <https://modern diplomacy.eu/2021/02/22/a-brief-history-of-sino-australian-political-relations-from-1949-to-2020/>
10. Lee. J, (2020), Australia-China relations: A short history of a downward spiral, <https://supchina.com/2020/12/17/australia-china-relations-a-short-history-of-a-downward-spiral/>
11. LI Fujian, (2012), The Sino-Australian Relationship: Towards a Brighter Future, „*Looking Backwards ,Looking Ahead: 40 Years Of Australia-China Relations*”, pp.6-9, https://www.griffith.edu.au/_data/assets/pdf_file/0037/299818/Regional-Outlook-Paper-42-Australia-China-Futures-Dialogue-web.pdf
12. National Archives of Australia, (n.d), Australia's diplomatic relations with China, <https://www.naa.gov.au/sites/default/files/2020-05/fs-247-australias-diplomatic-relations-with-china.pdf>
13. News.com.au, (2021), America's massive profit at Australia's expense revealed as trade war with China escalates, <https://www.news.com.au/finance/economy/australian-economy/americas->

[massive-profit-at-australias-expense-revealed-as-trade-war-with-china-escalates/news-story/71d943f90c03b3f4d00f9e7ec1890a76](https://www.mitsui.com/mgssi/en/report/detail/_icsFiles/afieldfile/2021/05/13/2103sp_okano_e_1.pdf)

14. Okano. Y, (2021), DEEPENING CONFLICT BETWEEN AUSTRALIA AND CHINA —A TRANSITION PERIOD TO A NEW EQUILIBRIUM POINT—, https://www.mitsui.com/mgssi/en/report/detail/_icsFiles/afieldfile/2021/05/13/2103sp_okano_e_1.pdf
15. Reuters, (2022). Australia seeks stable ties with 'great power' China, minister says, <https://www.reuters.com/world/china/australia-seeks-stable-ties-with-great-power-china-minister-says-2022-09-23/>
16. Schuman. M, (2021), China Discovers the Limits of Its Power, <https://www.theatlantic.com/international/archive/2021/07/china-australia-america/619544/>
17. Seidal. J, (2021), How China's trade war with Australia backfired, <https://www.news.com.au/finance/economy/australian-economy/how-chinas-trade-war-with-australia-backfired/news-story/45175246c2cf0111fb6bfd4e3af690fe>
18. TLDR News Global, (2021), How China and Australia Fell Out: From Friends to Enemies - TLDR News, <https://www.youtube.com/watch?v=anoHHD6kky8>
19. Voice of America, (2021), What Decade of Decline in Bilateral Ties Means for China, Australia, <https://www.voanews.com/a/what-decade-of-decline-in-bilateral-ties-means-for-china-australia/6243700.html>
20. Wilson. J, (2021), Australia Shows the World What Decoupling From China Looks Like, *Foreign Policy Magazine*, <https://foreignpolicy.com/2021/11/09/australia-china-decoupling-trade-sanctions-coronavirus-geopolitics/>
21. Wyeth. G, (2017), Why Has Australia Shifted Back to the Quad?, *The Diplomat*, <https://thediplomat.com/2017/11/why-has-australia-shifted-back-to-the-quad/>



**დასახლების საერთო კრებების მუშაობა საქართველოში
კასპისა და გორის დასახლების საერთო კრებების მაგალითზე**

**ნინო ოტიაშვილი
გიორგი გულეური**

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Email: nino.otiashvili684@sps.tsu.edu.ge

giorgi.guleuri130@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

ადგილობრივი თვითმმართველობის კვლევის საკითხი პოლიტიკის მეცნიერების თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია. დღეს თავად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან, მისცენ ადგილობრივ მოსახლეობას იმისი საშუალება, რომ ისინი თავად ჩაერთონ პროექტების დაგეგმვასა და სხვადასხვა მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტის საკითხში, მიიღონ საზოგადოების ინიციატივები და თავად საზოგადოებასთან ერთად მართონ მუნიციპალიტეტი. 2015 წელს დამტკიცებული ორგანული კანონის თანახმად ადგილობრივი თვითმმართველობების შესახებ, განისაზღვრა მოსახლეობის თანამონაწილეობის ბერკეტები ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში. ამ ბერკეტთაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია დასახლების საერთო კრება, რომლის განხილვასაც ვაპირებთ აღნიშნულ ნაშრომში, შიდა ქართლის ორი მნიშვნელოვანი მუნიციპალიტეტის - გორისა და კასპის მაგალითზე. ადგილობრივ მმართველობით პროცესში პირდაპირი ჩართულობის აღნიშნული ფორმა ამ მუნიციპალიტეტების მოსახლეობას აძლევს საშუალებას, თავად მიიღონ გარკვეული გადაწყვეტილება, რომელიც განსაზღვრავს ამ სოფლის/დასახლების განვითარების მიმართულებას, განსაზღვრავს პრიორიტეტებსა და მუშაობს ბიუჯეტზე. შესაბამისად, საერთო კრებაში მონაწილეობა დღესდღეობით მუნიციპალიტეტებში არსებულ პოლიტიკურ და საჯარო პოლიტიკურ მდგომარეობაზე ზემოქმედების მნიშვნელოვან შესაძლებლობას წარმოადგენს.

ნაშრომში განხილულია დასახლების საერთო კრებების საერთაშორისო მაგალითები, ქართული ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების შესახებ, რომლებზე დაყრდნობითაც გავაანალიზებთ კასპისა და გორის მუნიციპალიტეტებში დასახლების საერთო კრებების მუშაობასა და მათ რაობას. ჩვენი მიზანია, გავაანალიზოთ, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს აღნიშნული კრებების არსებობას გორისა და კასპის მუნიციპალიტეტებისათვის და, პირველ რიგში მისი სოფლების, დემოკრატიული განვითარებისათვის. შესაბამისად, კვლევის კითხვას შემდეგნაირად ვაყალიბებთ: რა მნიშვნელობა გააჩნია გორისა და კასპის მუნიციპალიტეტების დემოკრატიულ განვითარებაში დასახლების საერთო კრებების არსებობას და იაზრებს თუ არა ამ მნიშვნელობას მუნიციპალიტეტის მოსახლეობა. საბოლოოდ, დავადგინეთ, რომ საერთო კრების მნიშვნელობის მიუხედავად, მოსახლეობა მაინც ნაკლებ ყურადღებას აქცევს მასში არა მარტო მონაწილეობას, არამედ, საერთოდ, მის მონწევასაც კი. საქართველოში საერთო კრების შესახებ კვლევების, სტატიების, საზოგადოების შედარებით იდიფერენტული დამოკიდებულებისა და მათი ნაკლები ინფორმირებულობის გამო, ვთვლით, რომ ქვემოთდებარე სტატია საკმაოდ მნიშვნელოვან ტექსტს წარმოადგენს დემოკრატიული განვითარებისათვის აუცილებელი და ქვეყანაში ნაკლებად შესწავლილი საკითხების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: დასახლების საერთო კრება, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, დემოკრატია, გენდერული ბალანსი, საერთო კრება

შესავალი

წარმომადგენლობითი ინსტიტუტებისა და წარმომადგენლობითი დემოკრატიის გაჩენამ საზოგადოება მართვის სადავეებს ჩამოაშორა და სახელმწიფოს მართვა შედარებით კომპეტენტურ, პროფესიონალ, ხალხის წინაშე ანგარიშვალდებულ პირებს გადააბარა. მიუხედავად ამისა, მაინც იქმნება მოსახლეობის ჩართვის საჭიროება მმართველობასა და თვითმმართველობებში ისეთი მიზეზებით, როგორცაა ხელისუფლების კონტროლი, მისი მუშაობის ეფექტიანობის გაზრდა, ანგარიშვალდებულების ხარისხის ამაღლება, გადაწყვეტილების სწრაფი მიღება და ლეგიტიმაციის დონის ზრდა, ხალხთან სიახლოვის ხარისხის გაზრდა. წარმომადგენლობითი მართველობის მიუხედავად, დღესდღეობით ვხვდებით პირდაპირი დემოკრატიის ელემენტებსაც, რომლის გამოხატულებას მსოფლიოში მოქალაქეთა ასამბლეები წარმოადგენენ. აღნიშნული კრებების ანალოგს საქართველოშიც ვხვდებით, დასახლების საერთო კრების სახით. კრებები საქართველოს სოფლებში 2018 წლიდან აქტიურად ტარდება, მათი მეშვეობით მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი საკითხები წყდება. კრებებზე მიღებულ გადაწყვეტილებას ლეგიტიმაციის შედარებით მაღალი ხარისხის გამო, საკრებულო თითქმის ყოველთვის ითვალისწინებს. თუმცა, მოსახლეობის უშუალო ჩართულობა მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში და საკრებულოს მიერ მისი დამტკიცება იწვევს შემდეგ კითხვას: რამდენად კომპეტენტურნი არიან მოქალაქეები; აქვთ კი მათ საკმარისი განათლება, მიზგ-შედეგობრივი გზით დაადგინონ, თუ ერთი საკითხის მოგვარებამ რა პრობლემა შეიძლება წარმოშვას; ან რამდენად რეალისტურია მიღებული გადაწყვეტილება. სწორედ ამის გამო მიენიჭა უპირატესობა წარმომადგენლობით დემოკრატიას თავის დროზე, თუმცა, ხელისუფლების ამომრჩეველად კვლავ ხალხი გვევლინება, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაშიც საჭიროებენ პოლიტიკურ განათლებას, რათა ხელისუფლების ცვლა ამომრჩეველების რაციონალურ გადაწყვეტილების შედეგი იყოს. დებატები მოქალაქეთა პოლიტიკური კომპეტენციის საკითხში ათასობით წელია მუდმივად გრძელდება (Fournier, 2011), რის გამოც, აღნიშნული პრობლემა აქტუალობას არ კარგავს და ჩვენი განსახილველი საკითხიც დასახლების საერთო კრების შესახებ პირდაპირ დაკავშირებულია მოქალაქეთა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესთან, ხოლო კვლევის პროცესში მთავარ ამოცანას წარმოადგენს, დავადგინოთ შესაბამისობა სოფლის კრებების ჩატარებასა და დემოკრატიის დონის ზრდას შორის.

ქართული პოლიტიკური სივრცისთვის დასახლების საერთო კრება სიახლეს წარმოადგენს, რამეთუ, საქართველოსთვის, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნისთვის, დემოკრატიული, ლიბერალური მექანიზმები შედარებით უცხოა. გასაბჭოების შემდგომ, 70 წლიანმა ტოტალიტარულმა მმართველობამ საქართველო ლიბერალურ დემოკრატიასა და

განვითარების ევროპულ გზას საკმაოდ ჩამოაშორა. სახალხო ჩართულობისა და ხალხის ნების უზენაესობის საბჭოურმა ფორმალურმა სახემ, რომელიც მხოლოდ კონსტიტუციით იყო განსაზღვრული და რომლის აღსრულებაც პრაქტიკაში არ ხდებოდა, საბჭოთა ადამიანის ტვინში მკაფიოდ ჩაბეჭდა სახელმწიფოს ყოველისმომცველობა. შედეგად, ჯერ კიდევ 90-იან წლებში და 2000-იანი წლების დასაწყისში საზოგადოებისთვის წარმოუდგენლადაც კი ჩანდა თითოეული მათგანის უშუალო მონაწილეობის შესაძლებლობა ადგილობრივ საჯარო პოლიტიკურ საქმედებში. თუმცა, მიუხედავად ამისა, გორისა და კასპის თვითმართველ ორგანოებში მომუშავე რესპოდენტების გამოკითხვის შედეგად ვასკვნით, რომ კანონის მიღებიდან (2015) იგი პირდაპირი დემოკრატიის საკმაოდ მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებისათვის. აქ, საერთო კრებებს მოიხსენიებენ, როგორც სოფლის საერთო კრებებს, რამეთუ კრებები, ჩვეულებრივ, სწორედ ქალაქგარეთ/სოფლებში ტარდება, რაც ხელს უწყობს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მუნიციპალიტეტის თვითმმართველ ორგანოებთან სიახლოვესა და მათ საჯარო პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობას. კომუნიკაციის გაძლიერება სოფლის მოსახლეობასა და მერიას/საკრებულოს შორის კი, ცხადია, თავის მხრივ, თავად თვითმმართველობის ეფექტიანობის გაზრდას გამოიწვევს (G. Bingham Powell, Dalton, & Strom, 2015). ცენტრალურ ხელისუფლებას კი შესაძლებლობას მისცემს, უკეთ მოახდინოს რეაგირება ადგილობრივ პრობლემებზე. სოფლის კრებებზე საუბრისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები, რომლის მოსახლეობასაც განსხვავებული პოლიტიკური კულტურა გააჩნია, რამაც, შესაძლოა დიდი როლი ითამაშოს მუნიციპალიტეტის პოლიტიკური აზრის ჩამოყალიბებაში. გორის სოფლების გარკვეული ნაწილი სწორედ ოკუპირებულ ტერიტორიებთან ახლოს მდებარეობს (ცხინვალის რეგიონი) და წარმოადგენს საზღვრისპირა სოფლებს. მიუხედავად ამისა, გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლების განცხადებით ამ დასახლებებში საკმაოდ აქტიურად ტარდება სოფლის საერთო კრებები, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის სოციალიზაციას პოლიტიკურ პროცესებში (G. Bingham Powell, Dalton, & Strom, 2015). პოლიტიკური სოციალიზაცია მათ პოლიტიკასთან სიახლოვეს განაცდევინებს, რაც იწვევს მთლიანად გორის მუნიციპალიტეტის სოფლების, მათ შორის საზღვრისპირა სოფლების, სიახლოვეს ქართულ პოლიტიკურ კულტურასთან. აქედან გამომდინარე, სოფლის კრებების ჩატარება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ბერკეტს მოსახლეობის უშუალოდ ჩასართავად საკუთარ პრობლემათა მოგვარებაში და მოსახლეობას აძლევს შესაძლებლობას, თავად გადაწყვიტონ, რა არის მათთვის პრიორიტეტული, ხოლო პრობლემების პრიორიტეტიზაცია მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით, თავისთავად, დემოკრატიული სახელმწიფოს დამახასიათებელი ნიშანია. სოფლის მოსახლეობისთვის, მერიასა და საკრებულოს შორის არსებული მსგავსი პირდაპირი კონტაქტი ნებისმიერი სოფლისთვის პროდუქტიულია, რამეთუ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მაცხოვრებლებმა უკეთ იციან საკუთარი საჭიროებები, ვიდრე ნებისმიერმა სხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო სტრუქტურამ. გარდა ამისა, სოფლის მოსახლეობას, სავარაუდოდ, უყალიბდება აზრი, რომ მერიას მართლა

აინტერესებს მისი პრობლემები, ზრუნავს მათ მოგვარებაზე, რაც განამტკიცებს ადგილობრივი ხელისუფლების ლეგიტიმაციას.

საქართველო დღესდღეობით ჰიბრიდულ რეჟიმად მოიაზრება (ავტორიტარულ-დემოკრატიული) (Tabatadze, 2021). აღნიშნული კვლევის მნიშვნელობა და საკვლევი საკითხით დაინტერესება სწორედ საქართველოს ჰიბრიდულმა პოლიტიკურმა სისტემამ განაპირობა, რამეთუ სოფლის კრებები წარმოადგენენ კონსენსუალურ-შემთანხმებლური პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ მექანიზმს, ანუ პოლიტიკური ჩართულობის სახესხვაობას (Sandover, Moseley, & Devine-Wright, 2021), ხოლო კონსენსუალურ-შემთანხმებლური პოლიტიკის გატარება, რაც გულისხმობს პრობლემის აღმოფხვრას მოლაპარაკებების, შეთანხმების შედეგად, ხელს შეუწყობს საქართველოს პოლიტიკური კულტურის განვითარებას. საჯარო დისკუსიები, საზოგადოების აქტიური ჩართულობა საჯარო პოლიტიკაში და დემოკრატიის ქვაკუთხედის - მუნიციპალიტეტის მართვა მოსახლეობის სურვილების შესაბამისად, კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება კონსოლიდირებული დემოკრატიისაკენ.

გამომდინარე იქიდან, რომ გვსურს, აღნიშნულმა სტატიამ თავისი წვლილი შეიტანოს სტუდენტებისათვის დასახლების საერთო კრებების შესახებ ცნობიერების ამაღლებაში, საჭიროდ მიგვაჩნია, დავსვათ შემდეგი კითხვები: როგორია საერთო კრებების ჩატარების მექანიზმი კასპისა და გორის მუნიციპალიტეტებში; რამდენად არის შესაბამისობაში ერთმანეთთან ორგანული კანონი და პრაქტიკაში არსებული საერთო კრებების რეალური ხასიათი; შესაბამისად, კვლევის მიზანია, დავადგინოთ აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში საერთო კრებათა მუშაობის სპეციფიკის შესაბამისობა ორგანულ კანონთან, შევისწავლოთ საერთო კრებების მუშაობის პრაქტიკა, დავადგინოთ მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდების ჩართულობის, მნიშვნელობა (რამეთუ, ძირითადად, ახალგაზრდები საკმაოდ ენერგიული არიან, უფრო ახალი, საინტერესო იდეებით და მეტად მოტივირებულნი მსგავს საქმეებში ჩართვისათვის (Global Forum on sustainable energy, 2022)). მიზნის მისაღწევად კი შევისწავლით, გავეცნობით და გავაანალიზებთ შემდეგ საკითხებს: თუ რა მნიშვნელობა აქვს საერთო კრებებში მოსახლეობის ჩართულობას, გორისა და კასპის მუნიციპალიტეტებში დასახლების საერთო კრებების მუშაობის პრაქტიკას და აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში საერთო კრებების მუშაობის ნაკლოვანებებს; გავაანალიზებთ ორგანულ კანონს ადგილობრივი თვითმმართველობაში დასახლების საერთო კრების შესახებ; ერთმანეთს შევადარებთ ორგანულ კანონსა და საერთო კრებების პრაქტიკას და გამოვყოფთ მსგავსება-განსხვავებებს; დავადგინოთ საერთო კრებების მონვევის შესახებ ინფორმაციის გავრცელების არხებს;

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები. უპირველეს ყოვლისა, კონტენტ-ანალიზი, რამაც საშუალება მოგვცა, გავვეანალიზებინა საქართველოს

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესახებ ორგანული კანონი, გერმანიის ორგანული კანონი, დუბლინის დასახლების საერთო კრების წესდება. გამომდინარე იქიდან, რომ დასახლების საერთო კრებების პრაქტიკა საქართველოსთვის საკმაოდ ახალია (2015 წელს პარლამენტმა მიიღო კანონი, ხოლო 2018 წლიდან უკვე პერმანენტულად დაიწყო მათი ჩატარება მთელი ქვეყნის მასშტაბით), სტატიები საქართველოს დასახლების საერთო კრებების შესახებ, ფაქტობრივად, არ მოგვეპოვება. ფაქტობრივად, არ არსებობს აკადემიური თუ სხვა ტიპის სტატიები, სადაც განხილული და შეფასებულია ცალკეული მუნიციპალიტეტებისა თუ სოფლების საერთო კრებების მუშაობა. შესაბამისად, მოვიძიეთ სხვადასხვა ქვეყნის „მოქალაქეთა ასამბლეების“ შესახებ უცხოური ავტორების მიერ დაწერილი სტატიები, რის მიხედვითაც განვიხილეთ უცხოური გამოცდილება, უცხოური ასამბლეების მექანიზმები და ვისაუბრეთ, საერთოდ, დასახლების საერთო კრების მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე დემოკრატიულ ქვეყნებში. საქართველოში საერთო კრებების პრაქტიკის შესახებ პრაქტიკული ინფორმაციის მოსაპოვებლად ჩავატარეთ 5 სიღრმისეული ინტერვიუ მერიების თანამშრომლებთან. კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან, გორის მერის წარმომადგენელთან, კასპისა და გორის მერიის თანამშრომლებთან, რომლებიც უშუალოდ სოფლის კრებებს ხელმძღვანელობდნენ. დავესწარიტ გორის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველთა საბჭოს კრებას და დავუსვით კითხვები საბჭოში შემავალ პირებს, რომლებიც, ძირითადად, სამოქალაქო სექტორიდან იყვნენ. გავეცანიტ კონკრეტულად კასპისა და გორის მუნიციპალიტეტში კრებების ჩატარების სპეციფიკასა და მექანიზმს. კონტენტ-ანალიზის მეშვეობით გამოვიკვლიეთ კასპისა და გორის მუნიციპალიტეტების მერიათა ფეისბუქ ქსელები, რისი მეშვეობითაც მივიღეთ ინფორმაცია, ზოგადად, მუნიციპალიტეტების საქმიანობის შესახებ - კერძოდ, რამდენად მიეწოდება ინფორმაცია მოსახლეობას დასახლების საერთო კრების ჩატარების შესახებ.

ლიტერატურის მიმოხილვა

ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ანტიკური ხანის მოაზროვნეები აქტიურად საუბრობდნენ ადამიანთა პოლიტიკაში თანამონაწილეობის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე. იმ დროიდან მრავალი საუკუნე გავიდა, თუმცა მოსაზრებას, რომ მოქალაქეთა მონაწილეობა სახელმწიფოს მართვაში გადამწყვეტი მნიშვნელობის მტარებელია, ჯანსაღი აზრის ტიპული ჯერ არ დაუკარგავს. მსოფლიოს დიდ ნაწილში მრავალი წლის განმავლობაში ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის სახელმწიფოს მართვის სადავეებიდან ჩამოშორებისა და დემოკრატიის სიკეთეების ამოძირკვის შემდეგ კიდევ ერთხელ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ სახელმწიფოთა და მთავრობათა ეფექტიანი მუშაობისათვის საჭიროა, რომ მმართველობაში, რაც შეიძლება მეტი ადამიანი იყოს ჩართული. შეიქმნა არაერთი ბერკეტი მოქალაქეთა საჯარო პოლიტიკურ პროცესებში ჩასართავად. მათ შორის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული „მოქალაქეთა ასამბლეები“, რომელთა

გამოცდილებაზე დაყრდნობითაც, ოდნავ მოდიფიცირებული, შეცვლილი ფორმით შეიქმნა პირდაპირი დემოკრატიის მექანიზმი, დასახლების საერთო კრებები საქართველოში.

დღევანდელი დემოკრატიის იდეა საკმაოდ განსხვავდება კლასიკური, ანტიკური დემოკრატიის იდეისაგან. როგორც ანტიკური, ასევე დღეს არსებული დემოკრატია საკმაოდ ბევრი ნაკლოვანებით გამოირჩევა. პატრიქვინი იმასაც კი ამბობს, რომ დემოკრატიისაგან მხოლოდ სახელია და დარჩენილი, რომელსაც უკვე ყველაზე დემოკრატიული ქვეყნებიც კი ტყბავენო (Patriquin, 2020). მართლაც, თუ დემოკრატიის მთავარ ნიშნად ხალხის უზენაესობას ავიღებთ, მივიღებთ აბსოლუტურ პარადოქსს: თვით წამყვან დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი, დემოკრატიული გზით არჩეულნი, არჩევნებამდეც და არჩევნების შემდეგაც ივინყებენ ხალხის უზენაესობის იდეას, იმას, რომ ისინი არიან საზოგადოების ნაწილის წარმომადგენლები, მათი მსახურები, ხოლო ხალხი არანაირად არაა მათი მსახური. საბოლოოდ, საზოგადოებას ხელში რჩება ემოციებით მანიპულატორი ადამიანი, მხოლოდ პირად ინტერესებზე მოფიქრალი, რომელიც საზოგადოებას აპათიურ მდგომარეობაში აგდებს და ანტიპოლიტიკის ფენომენს აღვივებს მასში. შედეგად არჩეულს აღარ ესმის ამომრჩეველთა ხმა. როდესაც მთავრობასა და საზოგადოებას შორის წყდება კავშირი და კომუნიკაციის არხები, დემოკრატიის ის მნიშვნელოვანი ფუნქცია - ჩართოს მოსახლეობა მნიშვნელოვან საჯარო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში - მთლიანად იკარგება და დემოკრატიის ნაცვლად ვიღებთ მმართველობას, სადაც საზოგადოების მინიმალურ ნაწილს შეუძლია და სურს მთავრობასთან ერთად მუშაობა, ისევე საკუთარი კეთილდღეობისათვის. ცხადია, საჭიროა საზოგადოების გააქტიურება და აქტიური ნაწილის მიერ ხელისუფლებაზე რაიმე სახის ზემოქმედება. პატრიქვინის აზრით, ხალხს სულ რამდენიმე ბერკეტი აქვს ხელისუფლებაზე ზემოქმედებისა: დაელოდოს შემდეგ არჩევნებს, გავიდეს ქუჩაში და გააპროტესტოს მოცემულობა (რაც, ჩვენი აზრით, საკმაოდ სარისკოა ისტორიული გამოცდილებებიდან გამომდინარე), ან შექმნას მოქალაქეთა ასამბლეები (Patriquin, 2020).

მოქალაქეთა ასამბლეები მსოფლიოში, ძირითადად, ისეთი მექანიზმით მუშაობს, როგორც ირლანდიაში დუბლინის მოქალაქეთა ასამბლეა: ჯერ მთელ მოსახლეობას ყოფენ სტრატეგად, პირობითად, 4 სტრატად - სექსის, ასაკის, სოციალური კლასისა და რეგიონის ნიშნით. შემდეგ, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით რეკავენ გარკვეული რაოდენობის ხალხთან, კრებენ მათ და ეს უკანასკნელნი იწყებენ მუშაობას სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე. დუბლინის მოქალაქეთა ასამბლეა შემთხვევითი შერჩევის წყალობით, 2012-2014 წლებში 99 ადამიანით დაკომპლექტდა, რომელიც მუშაობდა არა პატარა სოფლისა თუ დასახლებისათვის, არამედ მთელი ქვეყნისათვის და მოქალაქეები ასე ერთვებოდნენ საჯარო პოლიტიკურ პროცესებში (Farrell, Suiter, & Harris, 2018). მოქალაქეთა ასამბლეები, მიუხედავად ზემოთ მოყვანილი რისკებისა, მაინც აიძულებენ მთავრობებს, ცენტრალურსა თუ ადგილობრივს, მოსახლეობის პრიორიტეტებს შეუხამონ საკუთარი გადაწყვეტილებები. დუბლინის მოქალაქეთა ასამბლეა ყოველწლიურად მუშაობს მთავრობაზე ზეგავლენის მოსახდენად. აღსანიშნავია, რომ მოქალაქეთა მიერ გაცემული რეკომენდაციები დიდი

ლეგიტიმაციით სარგებლობს, მოსახლეობის მხრიდან, ამის გამო მთავრობა იძულებულია ყური დაუგდოს მოქალაქეთა ასამბლეების გადანყვეტილებას.

ჩვენი ძირითადი შეკითხვა იმაში მდგომარეობს, თუ რამდენად არის შესაძლებელი, მოქალაქეთა ასამბლეის მუშაობა ყველა ქვეყანაში იყოს ეფექტური და გამოიღოს ხელშესახები შედეგი. რამდენად იქნება მიღებული გადანყვეტილებები დამოკიდებული რაციონალურ ფაქტორებზე და რამდენად გვექნება ხელშესახები, პოზიტიური შედეგი მომავალში. დუბლინის კრებისა და მისი ანალოგების მუშაობისას დროს, შემთხვევითი შერჩევა საკმაოდ პროდუქტიულია, ხოლო მუშაობის შედეგი კი საკმაოდ ლეგიტიმაციის მქონე უნდა იყოს, გამომდინარე ასამბლეის წარმომადგენლობითობიდან. თუმცა, საქართველოს მსგავსი, ახალი დემოკრატიული სისტემის მქონე, ქვეყნისთვის ექნება კი მას იგივენაირი შედეგი? ამ შემთხვევაში ისევ ვხვდებით ერთ მნიშვნელოვან პრობლემას: თუ ქვეყნის მოსახლეობის დიდ ნაწილს არ გააჩნია საკმარისი სპეციფიკური ცოდნა სხვადასხვა მნიშვნელოვანი გადანყვეტილების მისაღებად, ან მეტწილად, მათი იდეები დაფუძნებულია ემოციებზე, ირაციონალურ ფაქტორებზე, რა დარწმუნებულები ვართ, რომ შემთხვევით შერჩეული ადამიანების მიერ მიღებული გადანყვეტილება, რომელიც აუცილებლად მოახდენს ზეგავლენას საჯარო პოლიტიკაზე მისი ლეგიტიმაციის ხარისხის გამო, იქნება რეალისტური, არ იქნება პოპულისტური და პოზიტიურად აისახება ქვეყანაზე. მივდივართ გადანყვეტილებამდე, რომ აღნიშნული ასამბლეების მუშაობაში არა მარტო უბრალო მოსახლეობა, არამედ პოლიტიკოსთა და სხვა პროფესიონალთა გარკვეული ჯგუფიც უნდა ჩაერთოს.

მიუხედავად ზემოაღნიშნული რისკებისა, მოქალაქეთა ასამბლეები მაინც საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოში - აიძულებს მთავრობას, გაითვალისწინოს მოსახლეობის აზრი და იმოქმედოს მათთან ერთად, ჰკითხოს აზრი მოქალაქეებს და ამით მიიღოს ადამიანებისაგან ახალი იდეები, რომელთა გათვალისწინება ამყარებს თავად მთავრობის ლეგიტიმაციას და საზოგადოებას კი მნიშვნელოვნების განცდას უღვივებს. ლარი პატრიქინი საუბრობს ავსტრალიის 2009 წლის მოქალაქეთა ასამბლეაზე, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ავსტრალიის საჯარო პოლიტიკის განხორციელებაში. თუ, ძირითადად, მსგავსი ტიპის კრებები მთავრობის მიერ იქმნებოდა სხვა ქვეყნებში (მაგალითად, ირლანდიაში), ავსტრალიაში ასამბლეა, სახელწოდებით მოქალაქეთა პარლამენტი, სამოქალაქო ორგანიზაციების, „ავსტრალიური კვლევის საბჭოსა“ და „The new Democracy Foundation“-ის მიერ შეიქმნა (აღსანიშნავია ის, რომ საქართველოშიც ადგილობრივი მთავრობის, ძირითადად, მერთა ინიციატივით იქმნება მსგავსი კრებები, თუმცა მისი შექმნის შესაძლებლობა, კანონის მიხედვით, მოსახლეობასაც გააჩნია, ისევე, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებს). მოქალაქეთა პარლამენტი საზოგადოების 150 წარმომადგენლისაგან შედგებოდა, რომლებმაც 4 დღიანი შეკრების შემდეგ ჩამოაყალიბეს მნიშვნელოვანი შეკითხვა: „რა უნდა გავაკეთოთ, რათა გავაძლიეროთ ავსტრალიის პოლიტიკური სისტემა და ის ჩვენ უკეთესად გვემსახუროს.“ საბოლოოდ, კრების წევრებმა 13 რეკომენდაცია ჩამოაყალიბეს მთავრობის

მისამართით, რომლებიც ამ უკანასკნელს უნდა გაეთვალისწინებინა (Patriquin, 2020). ცხადია, მთავრობისათვის რეკომენდაციებით მიმართვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა მსგავსი კრებებისათვის. არაპროფესიონალ საზოგადოებას ყოველთვის ეყოლება ლიდერი/ლიდერთა ჯგუფი, რომლებიც საზოგადოების ირაციონალურ, ემოციებზე დაფუძნებულ და რეალისტურ სურვილებს ერთმანეთისაგან გამიჯნავს და საზოგადოებასთან ერთად ისე ჩამოაყალიბებს საბოლოო რეკომენდაციებს, ან მსგავსი ტიპის დოკუმენტებს. რეკომენდაციათა მაღალი ლეგიტიმაციის გამო მთავრობა, როგორც ზემოთ ვახსენეთ, იძულებულია, გაითვალისწინოს აღნიშნული მითითებები. საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების დღის წესრიგში დაყენებით კი შესაძლებელი ხდება მმართველობის დემოკრატიის იდეალთან ერთი ნაბიჯით დაახლოვება.

მოქალაქეთა ასამბლეები მსოფლიოში არამხოლოდ ფედერალურ, ან სახელმწიფოს დონეზე ფუნქციონირებს, არამედ მათი ფუნქციონირება ლოკალურ დონეზეც ხდება. მაგალითისთვის, გერმანიაში სულ 80-მდე ასეთ ასამბლეას უფუნქციონირია. გერმანიაში, თიურინგიაში 2021 წლის ნოემბერში ასე შეიკრიბა 52 შემთხვევით შერჩეული ადამიანი, რომლებიც ერთად მუშაობდნენ კორონავირუსის გამონვევებზე. კონკრეტულად, ისინი მუშაობდნენ საკითხებზე, რომლებიც ეხებოდა ჰიბრიდულ სწავლებას, მოსწავლე-მასწავლებელთა მოტივაციასა და სასწავლო ლოკაციებს (Burgerrat, 2021).

მსგავს ასამბლეებს უფრო ფართო მოქმედების არეალი აქვს და, ფაქტობრივად, სამოქალაქო საზოგადოების ტიპის გაერთიანებას წარმოადგენს, რამეთუ მასში მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილია განვევრიანებული, თუმცა მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის თუ რა პროპორცია არსებობს დასახლების კრებაში აქტიურ და განვევრიანებულ პირებს შორის. საქართველოში, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 2015 წლის ორგანულ კანონში ცვლილებების შემდეგ საქართველოშიც გახდა შესაძლებელი მსგავსი კრებების ჩამოყალიბება, თუმცა მათი მოქმედების არეალი, განსხვავებით ზემოთ მოყვანილი ქვეყნებისა, მხოლოდ მუნიციპალიტეტების სოფლების საქმეებით შემოიფარგლება (საქართველოს პარლამენტი, 2014). და მიუხედავად იმისა, რომ ორგანული კანონი მოქმედების შედარებით მეტ უფლებას აძლევს მოსახლეობას, პრაქტიკაში მაინც იზღუდება. მსოფლიოს მოქალაქეთა ასამბლეებისაგან განსხვავებით, საქართველოში დასახლების საერთო კრებები არაა შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე შეკრებილი სახალხო წარმომადგენლობითი ორგანო, არამედ, ეს არის პირდაპირი დემოკრატიის ფორმა, სადაც დასახლებაში ყველას შეუძლია გადანყვეტილებების მიღების პროცესში ჩართვა. თუ მოქალაქეთა ასამბლეები პირდაპირ მსოფლიოს ქვეყანათა მთავრობებს მიმართავენ რეკომენდაციებითა თუ შენიშვნებით, ქართული კანონმდებლობით ამისი უფლება კრებებს მხოლოდ ადგილობრივი საკრებულოსა და მერიის მიმართ აქვთ (საქართველოს პარლამენტი, 2014).

კვლევის შედეგები: ძირითადი ნაწილი

დასახლების საერთო კრებები კასპსა და გორში ორგანულ კანონთან შესაბამისობაში და მუშაობის მექანიზმი

2015 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში ცვლილებები შევიდა, რომლის მიხედვითაც, პარლამენტმა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეების თანამონაწილეობის ფორმები შემდეგნაირად განსაზღვრა: მოქალაქეებს მიენიჭა 5 ბერკეტი თანამონაწილეობისა, რომელთაგანაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო დასახლების საერთო კრებებში მონაწილეობა, რომლის საშუალებითაც მოსახლეობას ეძლეოდა უფლება, ჩართულიყო სოფლის საჯარო პოლიტიკაში და თავად მიეღო ის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლებიც მანამდე მხოლოდ მუნიციპალიტეტის ორგანოების პრეროგატივას წარმოადგენდა (საქართველოს პარლამენტი, 2014). მთელი საქართველოს დასახლების საერთო კრებების მუშაობის მექანიზმს ორგანული კანონი არეგულირებს, რის გამოც, ქვეყანაში კრებები, ძირითადად, ერთმენთის მსგავსია. ასევე კასპისა და გორის მუნიციპალიტეტების შემთხვევაში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კანონში განსაზღვრულია საერთო კრება, როგორც „სოფლის/დაბის/ქალაქის მოსახლეობის თვითორგანიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა“ (საქართველოს პარლამენტი, 2014). მიუხედავად იმისა, რომ ორგანული კანონი საშუალებას იძლევა, საერთო კრებები ჩატარებულ იქნეს მუნიციპალიტეტების ცენტრალურ ქალაქებშიც, კასპისა და გორის მუნიციპალიტეტებში კრებები მხოლოდ სოფლებში ტარდება, რასაც, ძირითადად, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ უზრუნველყოფს. ჩატარებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით ვასკვნით, რომ სოფლის საერთო კრების არსებობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი არის ის, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს, შესაძლოა, ნაკლები ცოდნა ჰქონდეთ იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც სოფლების მოსახლეობას აწუხებს. დასახლების საერთო კრებების არჩატარება ქალაქში, ამ მხრივ, ქალაქის განვითარების კუთხით შედარებით ნაკლებ პრობლემას წარმოადგენს, რამეთუ, სოფლებისგან განსხვავებით, ცენტრალური ქალაქის პრობლემების შესახებ მეტად გაცნობიერებულნი არიან მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები. თუმცა ის, რომ ქალაქის მოსახლეობას არ აქვს მსგავს კრებებში ჩართვის გამოცდილების მიღებისა და ადგილობრივ ორგანოებთან მუდმივი კონტაქტის შესაძლებლობა, ეს, რა თქმა უნდა, უარყოფითი ფაქტია. ამავე, ორგანული კანონის თანახმად, საერთო კრებების მონაწილე მუშაობის მერს, საკრებულოს, მოსახლეობის არანაკლებ 5%-ს, ან საერთო კრების რჩეულს. რეალურად, თითქოს მოსახლეობა უნდა აანალიზებდეს კრებისა და თავად მათი თანამონაწილეობის მნიშვნელობას ადგილობრივი პოლიტიკის გატარებაში, თუმცა, სამწუხაროდ, კასპის საკრებულოს თამაშდომარის მოადგილისა და გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლების განცხადებით არც გორში და არც კასპში არ ყოფილა პრეცედენტი იმისა, რომ საერთო კრება თავად მოსახლეობის ინიციატივით ჩამოყალიბებულიყოს და შეკრებილიყოს. ამის მაგივრად, მისი მონაწილის ფუნქციას ორივე შემთხვევაში მერები და ადგილობრივი სამთავრობო ორგანოები

ითავსებენ. კასპსა და გორში მოსახლეობა არა მარტო არ მონაწილეობს კრების მონვევის პროცესში, არამედ, თავად კრებებშიც კი არ ერთვება აბსოლუტური უმრავლესობა, რაც სრულ ლეგიტიმაციას მოაპოვებინებდა კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას (თუმცაღა, აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ, კანონმდებლობით გათვალისწინებული მუხლი, რომლის მიხედვითაც, კრებას მოსახლეობის მინიმუმ 20% უნდა ესწრებოდეს, იგი უფლებამოსილად რომ ჩაითვალოს, ნამდვილად სრულდება.). ასე, მაგალითად, კასპის საკრებულოს თავმჯდომარესთან ინტერვიუს შედეგად ვიგებთ, რომ სოფლებში კრებაზე მისულ ადამიანთა რიცხვი 23-24 პროცენტს არ აღემატება. შესაბამისად, მოსახლეობის დიდი ნაწილის პრობლემები და იდეები არ უღერდება მსჯელობის დროს, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ადგილობრივ სამთავრობო ორგანოებსა და სოფლის მოსახლეობას შორის ჯანსაღი კომუნიკაციის პროცესს. მცირდება ანგარიშვალდებულობისა და ადგილობრივი მთავრობის კონტროლის შესაძლებლობებიც, რომელიც ქვემოთ აღნიშნული დებულებებითაა უზრუნველყოფილი. დასახლების საერთო კრება:

ა) განიხილავს დასახლებაში განსახორციელებელ პროექტებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მათ ასახვამდე და მუნიციპალიტეტის სამთავრობო ორგანოებს წარუდგენს დასაბუთებულ შენიშვნებსა და წინადადებებს, რომელთა გათვალისწინება, მაღალი ლეგიტიმაციის გამო, მათ აუცილებლად მოუხდებათ;

ბ) განიხილავს მუნიციპალიტეტში მიმდინარე და განხორციელებულ პროექტებს და მუნიციპალიტეტის ორგანოებს წარუდგენს შენიშვნებსა და შესაბამის წინადადებებს;

გ) განიხილავს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს და მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ/საკანონმდებლო ორგანოებს თავად წარუდგენს შესაბამის რეკომენდაციებს;

დ) მოისმენს მერისა და მის მიერ უფლებამოსილი მოხელის წარდგენილ ანგარიშს განუყოფი საქმიანობის შესახებ;

ე) მოისმენს დასახლების ტერიტორიიდან მუნიციპალიტეტის საკრებულოში არჩეული მაჟორიტარი საკრებულოს წევრის ანგარიშს განუყოფი საქმიანობის შესახებ. (საქართველოს პარლამენტი, 2014)

ამ ყველაფერიდან გამომდინარე, კასპის მოსახლეობის დიდი ნაწილი კარგავს რეალურ, კანონმდებლობით განსაზღვრულ შესაძლებლობას, იყოს ადგილობრივი სახელისუფლებო ორგანოების მაკონტროლებელი, დაახლოებით იგივე ანალოგიას ვხვდებით გორის მუნიციპალიტეტში, თუმცა, გორის მერიის თანამშრომლის თქმით, გორში საზღვრისპირა რაიონებში მაცხოვრები მოსახლეობა გაცილებით უფრო ხშირად და აქტიურად ერთვება საერთო კრებების ფუნქციონირებაში. დანარჩენ სოფლებში კი, ძირითადად, პრობლემას წარმოადგენს მოსახლეობის შეკრება და მათთან ერთად სოფლისთვის სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ორივე მუნიციპალიტეტის სოფლებში მეტ-ნაკლებად დაცულია კანონმდებლობით განსაზღვრული

გენდერული ბალანსი და ადრე თუ კასპში, ძირითადად, კაცები მონაწილეობდნენ კრებებში, ღღეს უკვე ქალებიც აქტიურად ერთვებიან მის ფუნქციონირებაში. იმავე შემთხვევასთან გვაქვს საქმე გორშიც. კანონში ვკითხულობთ იმასაც, რომ დასახლების საერთო კრებას შეუძლია, განიხილოს დასახლებაში მიმდინარე პროექტები და მუნიციპალიტეტების ორგანოებს მიმართოს წინადადებებით. გამომდინარე იქიდან, რომ საერთო კრებები ორივე მუნიციპალიტეტში უფრო ორიენტირებულია მერიისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიერ წარდგენილი პროექტებისათვის პრიორიტეტების მინიჭებაზე, კანონის ზემოაღნიშნული ნორმა, თითქოს იმაზე უმნიშვნელო ხდება, ვიდრე რეალურად არის. თავის მხრივ, ბუნებრივია, შესაძლოა, მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი არ იყოს იმდენად კვალიფიციური საჯარო პოლიტიკურ საკითხებში, რომ საკმაოდ არგუმენტირებულად დაასაბუთოს შენიშვნათა საფუძვლები და აღმოაჩინოს ერთი შეხედვით შეუმჩნეველი ტექნიკური თუ არატექნიკური სახის პრობლემები პროექტის განხორციელების დროს. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ნორმის მნიშვნელობის წინ წამოწევა მაინც უმნიშვნელოვანესია, რამეთუ, ეს უზრუნველყოფს პროექტების განხორციელების პერიოდში ისეთ მნიშვნელოვან პრობლემათა აღმოფხვრას, რომელიც ყველასთვის ცხადია, თუმცა ადგილობრივი ხელისუფლება რაღაც მიზეზთა გამო ყურადღებას არ აქცევს. კანონმდებლობაში გათვალისწინებული ნორმის ამოქმედება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უზრუნველყოფს ადგილობრივი მთავრობის შედარებით მაღალ ანგარიშვალდებულებას მოსახლეობის მიმართ. უმნიშვნელოვანესია შემდეგიც: კანონმდებლობის მიხედვით, იმ დასახლებებში, სადაც დასახლების საერთო კრებას არჩეული ჰყავს საკუთარი რჩეული (ამ შემთხვევაში, რჩეული იგივეა, რაც თავმჯდომარე), მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია, მოიწვიოს კრება საკუთარი ინიციატივით წელიწადში არანაკლებ ორჯერ. თუმცა, არც კასპში და არც გორში არც ერთ კრებას არ ჰყავს საკუთარი რჩეული, რის გამოც, აღნიშნული ნორმა ამ მუნიციპალიტეტებში უმნიშვნელო ხდება და კრებათა მოწვევა წელიწადში ერთხელ ხდება. სწორედ ამის გამო ჩნდება კითხვა: მოსახლეობის საჯარო პოლიტიკაში ასეთი სახით ჩართვა წელიწადში ერთხელ რამდენად უზრუნველყოფს ადგილობრივი მთავრობის სათანადოდ კონტროლს და დასახლებების სოფლების მოსახლეობის სურვილების მიხედვით მართვას. რჩეულის არყოლის გამო იკარგება დასახლების საერთო კრების რამდენჯერმე მოწვევის შესაძლებლობაც. კონკრეტულად, თუ კანონის მიხედვით, საერთო კრების მოწვევა შეუძლია მერს, მოსახლეობასა და საერთო კრების რჩეულს, ამ მუნიციპალიტეტებში მათი მოწვევის ბერკეტი მხოლოდ მერსა და საზოგადოებას რჩება. ამ უკანასკნელს კი, შედარებით დაბალი ინტერესის გამო, არასდროს უცდია კრების მოწვევა.

საერთო კრებების პრაქტიკა კასპისა და გორის დასახლებებში

დასახლების საერთო კრება სოფელში გადანაცვლების მიღების საშუალებას წარმოადგენს. კანონი საშუალებას აძლევს მოქალაქეებს, საკუთარი კეთილდღეობისათვის, მონაწილეობა მიიღონ სოფლის კრებაში, თუმცა როდესაც ვხვებით ნებისმიერ საკითხს, მნიშვნელოვანია, გავიგოთ, თუ რამდენად ინფორმირებულია მოსახლეობა აღნიშნული საკითხის შესახებ, ანუ

როგორ მოქმედებს კომუნიკაცია ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის, შეუძლია თუ არა, ეფექტურად მიაწვდინოს ხმა მაქსიმალურად ბევრ ადამიანს, ეფექტურად წარმართოს კომუნიკაციის პროცესი. ქვემოთ განვიხილავთ თუ როგორ ხდება გორისა და კასპის მუნიციპალიტეტებში უშუალოდ სოფლის კრების ჩატარება და რა როლს ასრულებს ადგილობრივი ხელისუფლება.

კვლევის შედეგად ირკვევა, რომ გორის მუნიციპალიტეტში არსებულ ყველა სოფელში არ ტარდება დასახლების საერთო კრება. კრების ჩატარება დამოკიდებულია ამომრჩეველთა რაოდენობაზე. იმ შემთხვევაში თუ სოფელში 500-მდე ამომრჩეველია მაშინ, ამ დასახლებაში ტარდება სოფლის კრება, ხოლო 500-ზე მეტი ამომრჩევლის შემთხვევაში ადგილობრივი თვითმართველობა გასცემს შესაბამის კონსულტაციებს. აღნიშნულის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოფლის კრების ჩატარება უფრო ხელსაყრელია მოსახლეობის მცირე რაოდენობის შემთხვევაში, რადგან მარტივია ხალხის მობილიზება და, ამავე დროს, პრობლემის, საკითხის გადანყვეტა დიდ ღროსთან არა არის დაკავშირებული. აღნიშნული მიდგომა შეგვიძლია პირდაპირი დემოკრატიის პატარა მაკეტად მივიჩნიოთ, რადგან პირდაპირი დემოკრატიის შემთხვევაშიც მისი ეფექტურობა დამოკიდებულია ადამიანთა რაოდენობაზე, ხოლო წარმომადგენლობით დემოკრატიაზე გადასვლა, სწორედ ამომრჩეველთა რაოდენობის ზრდამ განაპირობა. იგივე პრინციპი მოქმედებს დასახლების საერთო კრების შემთხვევაშიც: თუ ამომრჩეველთა რაოდენობა გაიზრდება, მაშინ კრების ჩატარება გარკვეულ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული, რაც გულისხმობს შეკრების ადგილის მოძიებას და მეტი დროის და ენერჯის დახარჯვას კრების მსვლელობისას. შესაბამისად, ალტერნატიული დანახარჯი იზრდება და მოქალაქეები იძულებულნი ხდებიან, ან საკუთარი საქმე გადადონ, ნაკლები დრო დაუთმონ და მონაწილეობა მიიღონ უფრო გრძელ კრებაში, ან უარი განაცხადონ მასში მონაწილეობაზე, რადგან მათთვის შესაძლოა უფრო ღირებული ყოველდღიური საქმიანობა იყოს. შესაბამისად კვლევის შედეგად დასტურდება, რომ ამომრჩეველთა რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში ადგილობრივი თვითმართველობა ამჯობინებს, ამ დასახლებისთვის გასცეს მოსახლეობასთან ერთად კონსულტაციები და თავი აარიდოს სოფლის კრების ჩატარებას. სწორედ ამიტომ გორის მუნიციპალიტეტში არსებული 112 სოფლიდან მხოლოდ 65 რეგიონში ტარდება სოფლის კრება, ხოლო დანარჩენ 47-ში კი მოსახლეობასთან ურთიერთობის შედეგად გარკვეულ კონსულტაციებს გასცემს მუნიციპალიტეტის მერია.

გორისა და კასპის მუნიციპალიტეტებში სოფლის კრებები 2018 წლიდან მოყოლებული ყოველ წელს ტარდება, რომელიც, როგორც ზევით აღვნიშნეთ, სოფლის მხარდაჭერის პროგრამების საშუალებით იმართება. თუმცა, მიუხედავად სოფლის კრებების ასეთი ინტენსივობით ჩატარებისა (ყოველწლიურად, წელიწადში 1-ხელ), როგორც კასპის, ისე გორის მუნიციპალიტეტში რესპონდენტებისაგან, კერძოდ გორის მერიის თანამშრომლებისგან ვასკვნივთ, რომ არსებობს ნიჰილიზმის, უპასუხისმგებლობის გარკვეული დონე, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსახლეობის საკმარის დიდი ნაწილი უარს ამბობს, ეზარება მიიღოს მონაწილეობა სოფლის კრებაში. მოსახლეობას ურჩევნია, უარი

თქვას საკუთარი მოქალაქეობრივი ვალის მოხდაზე, არ გამოყოს დრო კრებაში მონაწილეობისათვის. მოქალაქეობრივი თვითშეგნების ასეთი დაბალი დონის გამო მოსახლეობა ვერ იაზრებს სოფლის კრებების ჩატარების აუცილებლობასა და მნიშვნელობას, რის გამოც სოფლის განვითარების შანსი ერთიორად იკლებს. გარდა ამისა, იკლებს ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების შესაძლებლობაც, რამეთუ, სოფლის საერთო კრებები პირდაპირი განმსაზღვრელია ადგილობრივი დემოკრატიის ინდექსისა.

შესაბამისად, შევიძლია ვთქვათ, რომ კასპსა და გორში დასახლების საერთო კრებები შემდეგნაირად ფუნქციონირებს: შეკრების შემდეგ მოსახლეობას შესაბამისი პირის მიერ წარედგინება რამდენიმე მის მიერ შედგენილი ინიციატივა (ხშირად, ეს პირი, ინიციატორი არის მერი) იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთდეს სოფელში. ინიციატივა ყოველთვის უნდა იყოს არგუმენტირებული და მოსახლეობას უნდა განემართოს, რა შეიცვლება სოფელში აღნიშნული პოლიტიკის გატარებით. შემდგომში, თითოეულ ინიციატივას ეყრება კენჭი პირდაპირი წესით, ხელის აწევით და განისაზღვრება პრიორიტეტები. ეს უკანასკნელი კი მიდის საკრებულოში დასამტკიცებლად. ვინაიდან, თითოეულ კრებას ყოველწლიურად აქვს ბიუჯეტი მხოლოდ 10-20 ათასი ლარის ოდენობით, შეუძლებელი ხდება ზედმეტად ძვირი ან ერთდროულად მრავალი პროექტის განხორციელება. აქედან გამომდინარე, აქცენტი გადაიტანება პრიორიტეტულ საკითზე, რომელიც მოითხოვს შედარებით დიდი თანხის დახარჯვას და რომლის შესრულებაც იწყება პირველ რიგში. სოციალური ქსელების კონტენტ ანალიზის, გორის მერიის გარშემო გაერთიანებული მრჩეველთა საბჭოს მეშვეობით და 2023 წელს ჩატარებულ სოფლის კრებებზე დაკვირვების შედეგად ვიგებთ, რომ გორის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას შემდეგი პრობლემები ანუხებს: გარე განათებები, შიდა გზების რეაბილიტაცია და სარწყავი სისტემის მოწყობა. სოფელი ველების ერთ-ერთ მცხოვრებთან გასუბრების შედეგად ვიგებთ, რომ გორის მერია აქტიურად მუშაობს იმ პრობლემების მოგვარებაზე, რომლებიც დასახლების საერთო კრებებზე უღერდება. მისი განცხადებით 2022 წელს არსებული წყლის პრობლემის მოგვარება სოფლის მერიამ სწორედ მას შემდეგ დაიწყო, რაც იგი გაუღერდა სოფლის საერთო კრებაზე. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოფლის საერთო კრებები ეფექტურად მიმდინარეობს და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სოფელში პრობლემების აღმოსაფხვრელად.

კომუნიკაციის არხები და ახალგაზრდობა

დასახლების საერთო კრების, როგორც მას მოიხსენიებენ, სოფლის საერთო კრების ჩატარების წინა პრეიოდი, ანუ მოსამზადებელი პერიოდი მოიცავს ინფორმაციის გავრცელებას კრების ჩატარების შესახებ ანუ კომუნიკაციას მოსახლეობასთან. კომუნიკაციის საშუალებები კი წარმომადგენლობითი დემოკრატიის განვითარებასთან ერთად ვითარდება (Stanyer, 2007). სოფლის კრებების შემთხვევაშიც ინფორმაციის გავრცელება პირდაპირ დამოკიდებულებაშია კრების სრულფასოვან ჩატარებასთან, რადგან ინფორმირებულობა არის ის პირველი ეტაპი, რომლის შემდეგაც მოქალაქემ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება,

დაესწრება თუ არა სოფლის კრებას. კომუნიკაციის არხების გამოყენებას შემგომში განვიხილავთ გორისა და კასპის მუნიციპალიტეტების მაგალითზე.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე, ზემოთ ნახსენებ მუნიციპალიტეტებში ინფორმაციის გავრცელება კრების ჩატარების შესახებ თითქმის ერთმანეთის მსგავსია. მერის ბრძანების შემდგომ სოფლის კრების ჩატარების შესახებ, ადგილობრივ ორგანოს აქვს დრო, არანაკლები ორი კვირისა, რომ დააორგანიზოს აღნიშნული კრება, რაშიც იგულისხმება ინფორმაციის გავრცელებაც. გორის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც კასპში, ინფორმაციის გავრცელების ძირითად წყაროდ იყენებენ სოციალურ ქსელებს, რაც, ცხადია, ელექტრონული დემოკრატიის განვითარებისაკენ წინგადადგმული ნაბიჯია. აღსანიშნავია, რომ სოციალური ქსელები წარმოადგენს ინფორმაციის სწრაფად გავრცელების საშუალებას, რომელსაც ადგილობრივი თვითმართვლობა ეფექტურად იყენებს მოსახლეობასთან კომუნიკაციისთვის და განსაკუთრებით მათთვის ვინც ვერ შეძლო კრებაზე დასწრება. თუმცა გორის მუნიციპალიტეტში ჩატარებულ სოფლის კრებაზე დაკვირვებით ვიგებთ, რომ მასში, ძირითადად, ხანდაზმულები და შუახნის ასაკის ადამიანები მონაწილეობენ, რომლებიც მონყვეტილნი არიან სოციალურ ქსელებს და მათთვის ინფორმაციის მიწოდების ძირითად წყაროდ სოციალური ქსელები არ გამოდგება. ამის გამო სოფლის კრებების ჩატარების შესახებ ინფორმაცია ასევე ვრცელდება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე პლაკატების გაკვირს მეშვეობით. ხოლო ინფორმაციის გავრცელების წყაროს საზღვარგარეთ მცხოვრებ ხალხთან, ძირითადად, მეილის გაგზავნა წარმოადგენს (Furnier, Van Der Kolk, Carty, & Blais, 2011).

რაც შეეხება ახალგაზრდობას, ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ, გორის მერიის თანამშრომლების თქმით, გორელი ახალგაზრდობა შედარებით უფრო მეტად გამოირჩეოდა მოქალაქეობრივი ვალდებულების აღქმით და უფრო მეტად მონაწილეობდა დასახლების საერთო კრების ჩატარებაში, ვიდრე 30 წელს გადაცილებული ადამიანები. საერთო კრებების მსვლელობის დროს, ახალგაზრდა მოსახლეობა უფრო მეტად ერთვებოდა სხვადასხვა საკითხის შესახებ მსჯელობაში, კამათსა თუ დებატში. თუმცა, სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული დოკუმენტების კონტენტ-ანალიზისა და სოფლის კრებებზე დასწრების შედეგად ვიგებთ, რომ 2023 წელს ახალგაზრდების ძალიან მცირე ნაწილმა მიიღო მონაწილეობა საერთო კრებებში. არადა, ახალგაზრდების მაღალი ჩართულობა ყველაზე მეტად მათთვის არის მნიშვნელოვანი. პირველ რიგში, ამ საქმეებში ჩართულობა თავად მათ აძლევს დიდ გამოცდილებას, იძენენ საჯარო საქმეებზე მუშაობისათვის აუცილებელ უნარჩვევებს, ახალ მეგობრებს, საჭირო ადამიანებს, რომლებთან ერთადაც მომავალში განაგრძობენ მუშაობას (Waters, 2018). სოციალური კაპიტალის გაფართოებას თან უნდა სდევდეს გორელ და კასპელ ახალგაზრდებს შორის იმ აზრის გამყარება, რომ მათი ჩართულობა ადგილობრივ პოლიტიკაში აუცილებელია, რამეთუ ისინი არიან მოქალაქეები და მოქალაქეობა მხოლოდ კონკრეტულ ადგილას ცხოვრებას არ ნიშნავს, არამედ, ეს მოვალეობებსაც აკისრებს, რომელიც თითოეულ ჩვენგანს გაგვაჩნია ჩვენი საცხოვრებელი ადგილის მიმართ. საერთო კრებაში მონაწილეობით

გორისა და კასპის ახალგაზრდობა მეტი სერიოზულობით ჩაერთვებიან იმ პრობლემების გადაჭრაში, რომლებიც უშალოდ მათ ცხოვრებასა და იმ საკითხებზე ახდენს გავლენას, რომლებიც მეტად მგრძობიარე და მნიშვნელოვანია მათთვის (Checkoway, Allison, & Montoya, 2005).

დასკვნა

2015 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შესული ცვლილებების თანახმად, მოქალაქეებს მიეცათ უფლება, დაეწყოს ადგილობრივ საჯარო პოლიტიკაში მონაწილეობა, თავად გადაეწყვიტათ ის პრობლემები, რომლის წინაშეც ისინი იდგნენ. დასახლების საერთო კრების შესახებ კანონი, რომელიც უმნიშვნელოვანესი ბერკეტია, მოსახლეობის ხელში, სწორედ 2015 წელს მიიღეს, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ კრებები პერმანენტულად 2018 წლიდან ტარდება, ფაქტობრივად, ამ წლის შემდეგ არ ჩატარებულა არანაირი კვლევა, რომელიც ინფორმაციას მოგვანდობდა კრებების პრაქტიკისა და მისი მუშაობის თავისებურებათა შესახებ. შესაბამისად, აღნიშნული კვლევა, რომელიც ჩატარდა კასპისა და გორის მუნიციპალიტეტების ფარგლებში, საკმაოდ ღირებულია, რადგან მასში აღწერილია დასახლებების საერთო კრებების რეალური ფუნქციონირება და მისი მნიშვნელობა.

კვლევის შედეგად, შეგვიძლია, გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ორგანულ კანონში გათვალისწინებულ ნორმათა ნაწილი, ფაქტობრივად არ სრულდება. მაგალითად, კრების მოწვევა არ შეუძლია საერთო კრების რჩეულს და არ სურს თავად მოსახლეობას. შესაბამისად, ვიღებთ იმას, რომ მოსახლეობა მეტად დამოკიდებული ხდება თავად მუნიციპალიტეტის ადგილობრივ მთავრობაზე და სწორედ ადგილობრივ ხელისუფლების ნებაზეა დამყარებული, რამდენად იმუშავებს და ჩატარდება აღნიშნული კრებები, რამდენად ჩაერთვება საზოგადოება საჯარო პოლიტიკურ პროცესებში. სოფლის კრებები შეგვიძლია წარმოვადგინოთ, ქვეყნის დემოკრატიის ინდექსის განმსაზღვრელ აქტივობად, რადგან, როგორც ძირითად ნაწილშია აღნიშნული, სოფლის კრებებში მონაწილეობა ადამიანებს საშუალებას აძლევს, საკუთარი პრობლემები წარმოაჩინონ. შესაბამისად, კრებები სიტყვის გამოთქმის თავისუფლების დემონსტრაციის შესაძლებლობაა, რაც დემოკრატიის განვითარებაში საკვანძო ასპექტს წარმოადგენს. სოფლის კრებები წარმოადგენენ მოქალაქეთა პასუხისმგებლობის გაღრმავების საშუალებას, რამეთუ მოსახლეობა თავად ახდენს პრობლემათა პრიორიტეტიზაციას და ამავედროულად, ინაწილებს პასუხისმგებლობებს ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ერთად.

ბიბლიოგრაფია

- Burgerrat. (2021, ნოემბერი 26). *Citizens' report on the COVID-19 crisis in Thuringia*. Retrieved იანვარი 2, 2023, from buergerrat.de: <https://www.buergerrat.de/en/news/citizens-report-on-the-covid-19-crisis-in-thuringia/>
- Checkoway, B., Allison, T., & Montoya, C. (2005, თებერვალი 17). *Youth Participation in public policy at the municipal level*. Retrieved იანვარი 5, 2023, from ssw.umich.edu: <https://ssw.umich.edu/sites/default/files/documents/research/projects/youth-and-community/youth-participation-at-municipal.pdf>
- Farrell, D. M., Suiter, J., & Harris, C. (2018, ოქტომბერი 7). *'Systematizing' constitutional deliberation: The 2016-18 Citizens' Assembly in Ireland*. Retrieved იანვარი 7, 2023, from ResearchGate: https://www.researchgate.net/publication/328674068_'Systematizing'_constitutional_deliberation_the_2016-18_citizens'_assembly_in_Ireland
- Furnier, P., Van Der Kolk, H., Carty, R. K., & Blais, A. (2011). *When Citizens Decide: Lessons from Citizens' Assemblies on Electoral Reform (Comparative Politics)*. Oxford University Press.
- G. Bingham Powell, J., Dalton, R., & Strom, K. (2015). *Comparative Politic.*
- Global Forum on sustainable energy. (2022). *The Youth and the Energy Transition*. Retrieved იანვარი 7, 2023, from Global Forum on sustainable energy: https://www.gfse.at/fileadmin/4_gfse/services___policy_briefs/youth_gfse_policy_brief_v2_01.pdf
- Modern Politica Communication* 2007 Polity Press
- Patriquin, L. (2020). *Permanent Citizen Assemblies - A New Model for Public Deliberation*. London: Rowman & Littlefield International Ltd.
- Sandover, R., Moseley, A., & Devine-Wright, P. (2021, აპრილი 28). *Contrasting Views of Citizens' Assemblies: Stakeholder Perceptions of Public Deliberation on Climate Change*. Retrieved იანვარი 3, 2023, from cogitatiopress: <https://www.cogitatiopress.com/politicsandgovernance/article/view/4019/4019>
- Tabatadze, S. (2021). Party-Based Euroscepticism: The Case of Georgia. *Demokratizatsiya: The Journal of Post-Soviet Democratization* .
- The Cityzen's Assembly. (n.d.). *About the Dublin Citizens' Assembly*. Retrieved იანვარი 2, 2023, from citizensassembly.ie: <https://citizensassembly.ie/en/dublin-assembly/>
- Waters, A. (2018, ოქტომბერი 26). *Youth Volunteerism: How Engaging Young Volunteers Can Benefit Organizations and Individuals*. Retrieved იანვარი 8, 2023, from galaxydigital: <https://www.galaxydigital.com/blog/youth->

volunteerism#:~:text=Volunteering%20gives%20youth%20the%20opportunity,solutions%2C%20and%20employ%20innovative%20thinking.

When Citizens Decide: Lessons from Citizen Assemblies on Electoral Reform 2011 Oxford University Press

გორის მუნიციპალიტეტი. (2018). დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

თვალთვაძე, ნ. (2017). ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის არსებული მექანიზმების შეფასება საქართველოში. თბილისი: VT Georgia.

საქართველოს პარლამენტი. (2014, თებერვალი 19). საქართველოს ორგანული კანონი - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი. Retrieved დეკემბერი 28, 2022, from საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=65>



რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად გაზრდილი მიგრაცია საქართველოში და პოლიტიკური ელიტის რიტორიკა

დimitრი შავლოხაშვილი
თამარ კირკიტაძე

პოლიტიკის მეცნიერებისა და ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

E-mail: dimitri.shavlokhshvili442@sps.tsu.edu.ge

tamunakirkidze26@gmail.com

აბსტრაქტი

უკვე 8 თვეზე მეტია, რაც რუსეთსა და უკრაინას შორის მიმდინარეობს ომი, რომელიც თავისი მასშტაბებიდან გამომდინარე, გასცდა თავის გეოპოლიტიკურ საზღვრებს და მოქმედებს რეგიონში მოქმედ სხვა აქტორებსა და მათ მიერ გატარებულ საშინაო, თუ საგარეო პოლიტიკაზე. სწორედ აღნიშნული ომის ფონზე, რუსეთისა და ბელარუსის ასიათასობით მოქალაქემ ქვეყნის დატოვება გადაწყვიტა და ეს მოვლენა პირდაპირ აისახა საქართველოზე. რუსეთის ფედერაციიდან 2022 წლის მეორე კვარტალში შემოსულმა 147,7 ათასმა ვიზიტორმა 175,4 ათასი ვიზიტი განახორციელა (საქსტატი; 2022). მხოლოდ ივლისში კი რუსეთის მოქალაქეების 156 737 ვიზიტი დაფიქსირდა, რაც წლიურ, დაახლოებით 500%-იან ზრდას ნიშნავს(საქსტატი; 2022) . მოვლენებმა პიკს მიაღწია 2022 წლის 21 სექტემბერს, როდესაც რუსეთის ფედერაციაში ნაწილობრივი მობილიზაცია გამოცხადდა და ლარსის გამშვებ პუნქტთან რუსეთისა და ბელარუსის უამრავმა მოქალაქემ მოიყარა თავი. მიგრაციის აღნიშნულ ტალღას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის, ვინაიდან იგი იმოქმედებდა ქართულ ეკონომიკასა და სოციალურ კულტურულ ასპექტებზე, ასევე მას არაერთგვაროვანი განცხადებები და გამოხმაურება მოჰყვა ქართული საზოგადოებისა და პოლიტიკური ელიტისაგან, რაც აღნიშნულ თემას კიდევ უფრო მეტად სძენს აქტუალობას. კვლევის პერიოდი განისაზღვრა ომის დაწყებიდან დღემდე.

ჩვენი კვლევის მიზანია ვაჩვენოთ ქართული პოლიტიკური ელიტის რიტორიკა, თუ რა შეხედულებები აქვთ ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს, რაში ემთხვევა ისინი ერთმანეთს და რაში ეწინააღმდეგება? აღნიშნული კვლევის ამოცანებს წარმოადგენს შემდეგი ძირითადი საკითხების შესწავლა:

- მიგრაციის გამომწვევი ფაქტორები და ასევე ის შედეგები, რომელიც სწორედ ამ ფაქტორითაა გამოწვეული.
- მიგრანტთა შემოსვლის დღიდან დღემდე, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილების შესწავლა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა.
- სასაზღვრო შეზღუდვების არსებობის/არარსებობის საჭიროების შეფასება.
- ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების საშიშროების დონის შესწავლა და შეფასება.

საკვანძო სიტყვები: რუსეთ-უკრაინის ომი, მიგრაცია, პოლიტიკური ელიტა, რიტორიკა, უსაფრთხოება, ეკონომიკა, შეზღუდვები.

შესავალი

2022 წელს მოვლენები საკმაოდ საინტერესოდ განვითარდა. დაიწყო ომი რუსეთსა და უკრაინას შორის, რამაც არა მხოლოდ აღნიშნულ ორ ქვეყანაზე იმოქმედა, არამედ, სხვადასხვა კუთხით შეეხო ევროპისა და აზიის რიგ ქვეყნებს. შეეხო არა საომარი მოქმედებებით, არამედ მიგრანტთა დიდი რაოდენობით. რა თქმა უნდა, აღნიშნულმა საქართველოზე და ქართული პოლიტიკური წრეების აზრების ფორმირებაზეც იქონია გავლენა.

პოლიტიკურ ელიტაში აქტიური დებატებია გამართული იმის შესახებ, მიგრაციაა ეს თუ ტურიზმი. ორივე მხარის წარმომადგენლებს აქვთ თავიანთი პოზიციები, რომლებსაც შესაბამისი არგუმენტებით იცავენ, თუმცა არსებულ სტატისტიკურ მონაცემებს თუ შევხედავთ, 2022 წლის 10 ნოემბრის მდგომარეობით, რუსეთის 112 ათასი და ბელარუსის 13 ათასი მოქალაქე ჯერ კიდევ საქართველოში იმყოფება (პარლამენტის გვერდი). ეს საკითხი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმ ფონზე, რომ საქართველო ევროპული ინტეგრაციის გზაზე და ახლა ჩვენი ქვეყნისთვის აუცილებელია სწორი ნაბიჯების გადადგმა, რათა არ გაღიზიანდნენ ევროპელი პარტნიორები და ამით ჩვენს ევროატლანტიკურ მომავალს არ შევექმნას საფრთხე. მსგავსი მნიშვნელობის საკითხზე საუბრისას, ფაქტობრივად, შეუძლებელია ყურადღება მხოლოდ უარყოფით მხარეებზე გამახვილდეს, აქცენტი გაკეთდება როგორც უარყოფით, ისე დადებით მხარეზე. მოცემული კვლევა არ ეყრდნობა მხოლოდ რომელიმე ერთი პარტიის ან ჯგუფის ნააზრევს, არამედ გთავაზობთ ყველა მხარის აზრს, რაც ნაშრომს ობიექტურობას სძენს.

კვლევის მეთოდოლოგია

აღნიშნული კვლევისას, გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ, კონტენტ-ანალიზი, უკვე არსებული ოფიციალური მონაცემები, სამთავრობო თუ არასამთავრობო დაწესებულებების ვებ-გვერდებზე, არსებული სტატიების გაცნობა და გაანალიზება დაგვეხმარა, ჩვენ მიერ დასმული საკითხის სრულყოფილად გამოკვლევაში. იმისათვის, რათა არ მომხდარიყო მხოლოდ არსებულ კვლევებსა და მიგნებებზე დაყრდნობა, ჩავატარეთ ექსპერტული სიღრმისეული ინტერვიუები დარგის სპეციალისტებთან, კომპეტენტურ პირებთან და რაც ყველაზე მთავარია, მოქმედი პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებთან, როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციაში მყოფ პირებთან. ვფიქრობთ, ეს მიდგომა მაქსიმალურად დაგვეხმარა კვლევის სრულყოფასა და სიახლეების შემოტანაში. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ გამოვიყენეთ ZOOM-ონლაინ პლატფორმა. კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოვიყენეთ არაალბათური მიზნობრივი შერჩევა, პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებთან მიმართებით. უფრო ზუსტად, ჩვენ გამოვიკითხეთ შემდეგი პოლიტიკური პარტიები და მათი წარმომადგენლები: „ქართული ოცნება“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „გირჩი“, „გირჩი მეტი თავისუფლება“, „ლელო“, „საქართველოსთვის“, „ევროპული საქართველო“, ანუ ის ძირითადი პოლიტიკური ძალები, რომლებიც წამყვან როლს ასრულებენ დღევანდელი პოლიტიკური დღის წესრიგში.

საკვლევი კითხვები ფორმულირდა შემდეგნაირად:

- როგორც ვიცით მიგრანტთა შემოდინება ფორმალურად ორი ეტაპისგან შედგებოდა, პირველი ომის დანწყებისას, მეორე კი მობილიზაციის გამოცხადების შემდგომ, როცა უკვე ლარსის გამშვებ პუნქტს უამრავი ადამიანი მოადგა. თქვენ როგორ შეაფასებდით ამ ორ ეტაპს, რა განსხვავებაა პირველ და მეორე მიგრანტთა ტალღებს შორის? როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ ამაზე თქვენს პარტიაში?
- საქართველომ არ ჩაკეტა საზღვარი და რუსეთის მოქალაქეები ერთი წლის ვადით მიიღო, როგორ შეაფასებდით აღნიშნულ გადაწყვეტილებას?
- სტატისტიკურ მონაცემებს, თუ გადავხედავთ ეკონომიკური ზრდა ნამდვილად სახეზეა, რასაც ციფრებიც ცხადყოფს. როგორ ფიქრობთ არის ეს ეკონომიკური ზრდა მედეგი თუ უბრალოდ მოკლევადიანი პერსპექტივაა?
- რა გავლენა ექნება რუსი და ბელორუსი მიგრანტების შემოსვლას საქართველოს შრომის ბაზარზე?
- თქვენი აზრით უქმნის თუ არა საფრთხეს, მიგრანტთა გაზრდილი რიცხვი ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას?
- გარკვეული მონაცემების მიხედვით, მიგრანტთა ნაწილმა უკვე დატოვა საქართველო, ხოლო ვარაუდობენ, რომ დარჩენილი ნაწილიც უახლოეს მომავალში დატოვებს. თქვენ რამდენად ეთანხმებით ამ მოსაზრებას?

ნებისმიერი საკითხის განხილვისას, მნიშვნელოვანია ავხსნათ ის რომელიმე პოლიტიკური თეორიით. ამ თემის ასახსნელად და უკეთ გაანალიზებისათვის გამოვიყენეთ სისტემური თეორია.

ლიტერატურის მიმოხილვა

საკვლევი საკითხის უკეთ გააზრებისათვის, მნიშვნელოვანია, რომ გავეცნოთ, ზოგადად მიგრაციასთან დაკავშირებით დანერგილ ნაშრომებს, რომელიც დაგვეხმარება შევუსაბამოთ არსებული ლიტერატურა საკვლევი საკითხს. რიტა ფურუსეტ სანდბერგის, ნორვეგიელი პოლიტიკოსის ნაშრომი, „უსაფრთხოების საშუალებით შექმნილი საიმვიგრაციო კონტროლი“, საშუალებას გვაძლევს დავინახოთ, თუ რა პრობლემებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული მიგრანტთა დიდი ნაკადის შემოსვლა ქვეყნისათვის. იგი განიხილავს, ამ მოვლენას ეროვნული უსაფრთხოების წინაშე მდგარ მთავარ ამოცანად და მიაჩნია, რომ უსაფრთხოების პრობლემა არ მოიცავს მხოლოდ უშუალო მილიარისტური ქმედებით ზიანის მიყენებას, მოსახლეობისა თუ ხელისუფლებისათვის, არამედ მთავარი აქცენტი კეთდება უსაფრთხოების მნიშვნელობის მრავალფეროვნებაზე. მაგალითად ეს შეიძლება იყოს სამოქალაქო დაპირისპირებების პლაცდარში ადგილობრივ მოსახლეობასა და მიგრანტთა ჯგუფებს შორის. ასევე ავტორი საუბრობს იმ პრობლემებზე, რომლებიც მიგრანტთა ჯგუფებმა შეიძლება შეუქმნან მიმღებ ქვეყანას, მაგალითად სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური და სხვა სახის პრობლემები. სანდბერგი საუბრობს იმაზეც, რომ მიგრანტთა მიმართ

მოსახლეობის დამოკიდებულება არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი იყოს და ხაზს უსვამს აღქმების მნიშვნელობას, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ამან ადამიანზე (Sandberg, R. F. ; 1998).

კერძოდ საქართველოს მაგალითზე რომ განვიხილოთ, აღქმები მართლაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქართული საზოგადოების აზრისა და ქართული პოლიტიკური ელიტის რიტორიკის ჩამოყალიბებაში, თუ მაგალითად ომის დაწყებიდან დღემდე, ოპოზიციის დიდი ნაწილი, მაგალითად ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, სტრატეგია აღმაშენებლის, ევროპული საქართველოს წევრები მოითხოვდნენ საზღვარზე გარკვეული შეზღუდვების დაწესებას და მსგავსად საიმეგრაციო კონტროლს, ამის საპასუხოდ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი აცხადებდა, რომ რუსები აქამდეც შემოდისდნენ ქვეყანაში და ეს ახლა არ უნდა გამხდარიყო პრობლემა (გომელაური ; 2022) ჩანს, რომ აღქმების მნიშვნელობა ქვეყნის მიერ გატარებულ შესაბამის პოლიტიკაზე მართლაც დიდ გავლენას ახდენს.

მიგრაციისას დიდ როლს თამაშობს კულტურისადმი ადაპტირება, ვინაიდან მიგრანტს ხშირ შემთხვევაში უნევს, რომ თავისი კეთილდღეობისათვის შეითვისოს მიმღები ქვეყნის კულტურული თავისებურებანი და თუ აღნიშნული ადაპტირება ვერ მოხდა იქმნება ერთგვარი კულტურული გაუცხოება, რომელმაც შესაძლოა ისევ ეროვნულ უსაფრთხოებას შეუქმნას საფრთხე, ვინაიდან კულტურული განსხვავებულობები ამძაფრებს სიტუაციას და ქმნის დაპირისპირების პლაცდარმს, რაც შეიძლება სამოქალაქო დაუმორჩილებლობაში გადაიზარდოს (ქამანაშვილი ; 2019). მნიშვნელოვანია განვიხილოთ არსებობს თუ არა ქართველ მოსახლეობასა და რუს მიგრანტთა შორის კულტურული შეუთავსებლობა, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ქვეყნის მდგრად განვითარებას.

მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ პრობლემის არსზე, ვინაიდან უაილდი და ბუზანი ნაშრომში „პოლიტიკური ანალიზის ახალი ჩარჩო“ საუბრობენ პრობლემის მაპროვოცირებელ, მამობილიზირებელ ფაქტორებზე და მიაჩნიათ, რომ პრობლემის წინა პლანზე წამოწევა და აქტუალურობის მინიჭება დამოკიდებულია საზოგადოებაში არსებულ დამოკიდებულებაზე აღნიშნულ მიგრანტთა მიმართ (Wild, Buzan ; 2003). აღნიშნულ მაგალითზე მართლაც საინტერესოა, რომ არა ქართული მოსახლეობის დიდი ნაწილის უარყოფითი დამოკიდებულება რუს მიგრანტთა მიმართ და ოპოზიციის წევრთა აქტიურობა, რამდენად გახდებოდა აქტუალური აღნიშნული საკითხი, ვინაიდან ქართული ხელისუფლება ამ საკითხს დიდი სიფრთხილით ეკიდება და ე. წ. არგალიზანების პოლიტიკის გზას ადგას.

საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის დამოკიდებულება რუსეთსა და მათ მოქალაქეებზე უცნობი არ არის, რასაც თავისი ობიექტური მიზეზები აქვს, იქნება ეს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, წარსული მაგალითები თუ ახლანდელი მოვლენები. 1990-იანი წლების შემდგომ საქართველო ცდილობს მაქსიმალურად ჩამოშორდეს რუსეთს და გეზი ევროპისაკენ აიღოს, რაც ზრდის ქართული და რუსული კულტურების დაშორებას (ლომსაძე ; 2022). მიუხედავად აღნიშნული კულტურული შეუთავსებლობისა, რომელმაც სანდბერგის ნაშრომშიც იყო საუბარი, ქართულ პოლიტიკურ ელიტაში აღნიშნულს სხვადასხვა გამოხმაურება მოჰყვა და რიგ შემთხვევაში დადებითადაც იქნა წარმოჩენილი.

დიდი აქცენტი გაკეთდა იმ ეკონომიკურ შედეგებზე, რომელიც არსებულმა მოვლენამ მოიტანა და პოლიტიკური ელიტის ერთ-ნაწილში იგი დადებითად იქნება შეფასებული, ნაწილში უარყოფითად. გარდა საშინაო გამოხმაურებისა მას საერთაშორისო გამოხმაურებაც მოჰყვა, ცენტრალური და დასავლეთ აზიის დეპარტამენტის რეგიონული თანამშრომლობისა და ოპერაციების კოორდინაციის დირექტორმა, ლიაზიზა საბიროვამ აზიის განვითარების ბანკის 55-ე, წლიურ შეხვედრაზე განაცხადა: „მიგრაციის პირველი ტალღის დროს ჩვენს ქვეყნებში შემოსული რუსები ძირითადად IT სპეციალისტები იყვნენ, ისინი შესაბამისი სახსრებითაც ჩამოვიდნენ და ახალი ბიზნესებიც დაიწყეს, რამაც სამხრეთ კავკასიის ეკონომიკებზე, საქართველოსა და სომხეთზე დადებითად იმოქმედა, შესაბამისად, აზიის განვითარების ბანკმაც ამ ქვეყნების ეკონომიკური ზრდის პროგნოზი თითქმის გააორმაგა და 7%-მდე გაზარდა, თუმცა, სავარაუდოდ, ეს მხოლოდ ერთჯერადი ეფექტია და ბევრი იქნება დამოკიდებული რუსეთის ეკონომიკურ მდგომარეობაზე სამომავლოდ“ (Sabirova ; 2022).

მიგრანტთა ტალღები - სასაზღვრო შეზღუდვების დაწესების არსებობის/არარსებობის საჭიროება

პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსების მიგრაცია საქართველოში, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის შემდგომ შეგვიძლია ფორმალურად ორ ეტაპად დავყოთ. პირველი ეტაპი ეს იყო, როდესაც ომი დაიწყო, ამ დროს ბევრი რუსული კომპანია საფრთხის ქვეშ დადგა სხვადასხვა დაწესებული შეზღუდვის გამო, მათმა დიდმა ნაწილმა საკუთარი ბიზნესის უკეთესი მომავლისათვის გადაწყვიტა დაეტოვებინა რუსეთის ფედერაცია და საქმიანობა სხვა ქვეყნებში ეცადა. საქართველოში ჯერ კიდევ მარტის მონაცემებით 3 386 ინდემნარმე და 171 შპს დარეგისტრირდა (Business Media ; 2022). გარდა ამისა შესამჩნევია იყო ბელარუსის მოქალაქეების მიერ დარეგისტრირებული 2 363 ინდემნარმე და 61 შპს (Business Media ; 2022). ქართულ პოლიტიკურ ელიტაში მიგრანტთა პირველ ტალღაში უფრო მეტ ეკონომიკურ შესაძლებლობასა და ნაკლებ საფრთხეს ხედავდნენ, განსხვავებით მიგრანტთა მეორე ტალღისგან. 2022 წლის 21 სექტემბერს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ქვეყანაში ნაწილობრივი მობილიზაცია გამოაცხადა, ამის შემდგომ მიგრანტთა შემოდინებას პირველი ტალღისგან განსხვავებული ხასიათი ჰქონდა, ვინაიდან აღნიშნულ პერიოდში მიგრირებულ ხალხთა ძირითადი მიზანი არა ბიზნესის გადარჩენა-გაფართოება, არამედ უბრალოდ ომში განწვევისთვის თავის არიდება იყო.

ქართულ პოლიტიკურ ელიტაში სასაზღვრო შეზღუდვების დაწესება არ დაწესების შესახებ აზრი გაიყო. ოპოზიციის ნაწილი, მაგალითად პარტია ლელო მიიჩნევდა, რომ საჭირო იყო რუსეთისა და ბელარუსი მოქალაქეებისათვის დაწესებულიყო სავიზო რეჟიმი, რომლის მიხედვითაც ისინი საქართველოში 30 დღეზე მეტ ხანს ვერ გაჩერდებოდნენ, ისიც ერთჯერადად. ამის საპასუხოდ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილის განცხადებით, რუსეთთან სავიზო რეჟიმის დაწესების მოთხოვნა ომში ჩართვასთან არის კავშირში (Business Media ; 2022). მე-9 მონვევის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის, სერგი კაპანაძის მოსაზრებით, არაგონივრულია იმ ადამიანებს ჩაუკეტო საზღვარი და დაუნესო რაიმე კონკრეტული შეზღუდვა, რომლებიც პუტინის ომს გაურბიან, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყურადღება უნდა მოვადუნოთ. „ერთიანი ნაციონალური

მოძრაობის“, თელავის საკრებულოს წევრ გიგი გიგიტელაშვილს მიაჩნია, რომ საჭირო იყო კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა, მაგალითად, საქართველოს ტერიტორიაზე მათი შემოშვება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარების შესახებ დოკუმენტზე ხელმოწერით და სხვა. „გირჩის“ წარმომადგენელი სანდრო რაქვიაშვილის მოსაზრებით, საზღვრის ჩაკეტვა ომს გამოქცეული ხალხისთვის არ იქნებოდა სწორი ნაბიჯი. საბოლოო ჯამში რუს და ბელარუს მოქალაქეებს დღემდე არ დაწესებიათ რაიმე კონკრეტული შეზღუდვა, რომელიც მათ ქვეყანაში ბინადრობას, ან შემოსვლას აუკრძალავდა ან შეუზღუდავდა რაიმე ფორმით. "ქართული ოცნების" თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე თქვა, რომ საქართველო არ დაუშვებს ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციას და პარლამენტი დაიწყებს მუშაობას ამ მიმართულებით კანონმდებლობის გამკაცრებაზე. განცხადების ფონია უკრაინაში ომი და საქართველოში მოქალაქეების მღელვარება რუსეთის მოქალაქეების შესაძლო სტიქიური ჩამოსვლის გამო (კობახიძე ; 2022)

სოციალურ-ეკონომიკური მხარე

არსებულ თემაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით მის გავლენას ეკონომიკასა და სოციალურ საკითხებზე. საქსტატის მონაცემები ცხადჰყოფს, რომ საქართველოში 2022 წლის გასულ სამივე კვარტალში ეკონომიკური ზრდა აღინიშნებოდა, თუმცა მიუხედავად ამისა, მას რიგი დადებითი და უარყოფითი შედეგები ჰქონდა, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკურ ზრდასთან ერთად გაიზარდა ფასები- სანვავზე, პროდუქტებზე, უძრავ ქონებასა თუ სხვა სახის მომსახურებაზე. აღნიშნულმა რიგი პრობლემები შეუქმნა ქართველი მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს, მაგალითად, როგორც ვიცით პანდემიასთან თანაცხოვრებისას უნივერსიტეტთა 100% ონლაინ სწავლებაზე გადავიდა, ხოლო 2022 წლის გაზაფხულიდან, როდესაც აღდგა სააუდიტორიო მეცადინეობები, სტუდენტთა დიდმა ნაწილმა ვერ მოახერხა უძრავი ქონების დაქირავება/დაგირავება გაზრდილი ფასების გამო, რაც სწორედ მიგრანტთა შემოდინებით არის გამოწვეული (მენაღარიშვილი ; 2022).

გარდა ამისა, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ქართულ პოლიტიკურ ელიტაში ეკონომიკური ზრდის მახასიათებლებმა, უპირველეს ყოვლისა საინტერესოა ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებები, რომლებიც ცდილობენ ეკონომიკური ზრდა საკუთარ საქმიანობას დაუკავშირონ, მაგალითად ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ევროპაში მიმდინარე დამანგრეველი ომის ფონზე საქართველოში ეკონომიკური ზრდაა და ეს კიდევ დიდ ეფექტს მოიტანს სამომავლოდ ქართული ეკონომიკის წარმატებაში. (ღარიბაშვილი ; 2022).

რიგი ფაქტორები გამოიკვეთა ქართული პოლიტიკური ელიტის რიტორიკის შესწავლისას, უპირველეს ყოვლისა აზრთა სხვადასხვაობა იყო იმის თაობაზე, თუ რამდენად გრძელვადიანი იქნებოდა აღნიშნული ეკონომიკური ზრდა. ოპოზიციის დიდი ნაწილის, მათ შორის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, ევროპული საქართველოს, გირჩის, საქართველოსთვის და სხვა ოპოზიციური პარტიების სრული უმრავლესობა თანხმდება, რომ არსებული ეკონომიკური ზრდა ნამდვილად შემოსული მიგრანტების ხარჯზეა მიღწეული, ოღონდ ეს რიგ შემთხვევებში არ შეიძლება დადებითად იქნეს

მიჩნეული, რადგან სამომავლო პერსპექტივაში ის უფრო მეტ ზიანს მიაყენებს ქვეყანას, ვიდრე დადებითს. უფრო კონკრეტულად, რუსულ ეკონომიკასა და რუსულ რუბლზე ქართული ეკონომიკის მომავლის მინდობა უდიდესი შეცდომაა ქართული ხელისუფლების მხრიდან, ვინაიდან 90-იანი წლებიდან ქვეყანა ცდილობს ჩამოშორდეს რუსეთს და გეზი ევროპისა და ევროპული კავშირებისაკენ აიღოს, შესაბამისად რუსულ რუბლზე დაყრდნობილი ეკონომიკა არის მხოლოდ მოკლევადიანი პერსპექტივა, რომელიც სამომავლოდ აუცილებლად უარყოფითად იმოქმედებს ქართულ ეკონომიკაზე (გიგიტელაშვილი ; 2022). თუმცა გირჩის მოსაზრებით არსებული ეკონომიკური ზრდა ნამდვილად მიგრანტთა დამსახურებაა, რომელშიც ვერანაირ პრობლემას ვერ ხედავს, მათ შორის პრობლემას ვერ ხედავს, გაზრდილ ფასებზე, უძრავ ქონებასთან დაკავშირებით. (რაქვიაშვილი ; 2022). გარდა ქართველი პოლიტიკოსების შეფასებისა, არსებულის შესახებ საუბრობს ევროპარლამენტარი ურსულა ფონ კრამონი, რომელიც აცხადებს, რომ „საქართველო ომიდან სარგებელს იღებს“ , (Kramon, U. F ; 2022), რასაც ობიექტურად თუ შევხედავთ, ეკონომიკური კუთხით ნამდვილად რეალობას წარმოადგენს, თუმცა კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რამდენად იქნება არსებული ეკონომიკური ზრდა გრძელვადიანი პერსპექტივა, ეს უკვე კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. ასევე გამოიკვეთა ე.წ. „ჯენტრიფიკაციის“ პრობლემა, რომელიც გულისხმობს, ერთ კონკრეტულ არეალში, ადგილობრივი შედარებით დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის, ბევრად უფრო მაღალშემოსავლიანი რუსეთის მოქალაქეებით ჩანაცვლებას. აღნიშნული უშუალოდ გამომწვეული არის უძრავი ქონების, ქირავნობისა და გირავნობის გაზრდილი ფასებით. ეს განსაკუთრებით შეინიშნება თბილისის ცენტრალურ ქუჩებში, სადაც პერიფერიებიდან განსხვავებით ფასები უფრო მეტად არის გაზრდილი.

ეროვნული უსაფრთხოების ჩარჩო

გარდა სოციალურ-პოლიტიკურ-ეკონომიკური კუთხისა, საინტერესოა რა გამომწვევების წინაშე შეიძლება დადგეს ქართული ეროვნული უსაფრთხოება და ზოგადად ნამდვილად ემოქრება თუ არა საფრთხე მას. კვლევამ აჩვენა, რომ ეროვნული უსაფრთხოების საკითხთან მიმართებით განსხვავებული მოსაზრებები არსებობს, მაგალითად ერთ-ერთი მოსაზრებით ის არ წარმოადგენს ახლო მომავალში მოსალოდნელ რეალურ საფრთხეს, ვინაიდან თუ რუსებს საქართველოში, ჯაშუშების, დივერსანტების და მსგავსი ჯგუფების შემოყვანა დასჭირდებათ, ისინი არათუ დიდ მიგრანტთა ჯგუფებს შეერევიან, არამედ შემოვლენ უბრალო ტურისტების სახით. ხოლო შსს მინისტრის განცხადებით, რუსები აქამდეც შემოდიოდნენ საქართველოში და ახლა ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით მსგავსი საუბარი ლოგიკას არ შეესაბამება (გომელაური ; 2022). ეროვნული უსაფრთხოების საკითხზე საუბრისას ქართულ ოპოზიციამ მთავარი აქცენტი მიემართებოდა არა უშუალოდ მიგრანტთა მხარეს, არამედ ქართული ხელისუფლებისა და შესაბამისი ორგანოების მიმართულებით. მაგალითად, ყველა ოპოზიციური პარტიის აბსოლუტური უმრავლესობის მოსაზრებით, შესაბამისი ორგანოები, როგორცაა: თავდაცვა, დაზვერვა და სპეციალური ოპერაციების სამსახური, მზად არ არის საჭიროების შემთხვევაში გაუმკლავდეს მსგავს პრობლემას და რეალობის

წინაშე მდგარი ორგანოები სრულიად უუნარონი იქნებიან. აქაც, ისევე როგორც ეკონომიკურ-სოციალურ ჭრილზე საუბრისას, შეგვიძლია ვისაუბროთ გრძელ და მოკლევადიან საფრთხეებზე, მაგალითად მოკლევადიანი საფრთხე შეიძლება იყოს, ისევე და ისევე კულტურული შეუთავსებლობით გამოწვეული სამოქალაქო დაპირისპირებები, ჯაშუშობა, დივერსიული ჯგუფების მომძლავრება და სხვა. მაგალითად დიდი აუიოტაჟი მოჰყვა რუსი ბლოგერების 2022 წლის 15 დეკემბერს ატვირთულ ვიდეოს, რომელშიც ასახულია, თუ როგორ აზიანებს ორი რუსი ბლოგერი კახეთში ჩაილურის ციხის კარს. (რეზონანსი ; 2022) აღნიშნულ ქმედებას მკაცრი გამოხმაურება მოჰყვა ქართულ საზოგადოებასა და ოპოზიციურ წრეებში და სწორედ მსგავსი შემთხვევები უბიძგებს მოსახლეობას დაიცვას საკუთარი ისტორიული ძეგლები, მემკვიდრეობა, რომელიც შეიძლება ძალადობრივ დაპირისპირებებშიც გადაიზარდოს. მეტად ყურადსაღებია, თუ რა გამოწვევების წინაშე შეიძლება დადგეს ქვეყანა გრძელვადიან პერსპექტივაში, ერთ-ერთი მოსაზრებით რუსეთი, იმ შემთხვევაში, თუ ის გაიმარჯვებს უკრაინასთან ომში, აუცილებლად მოიცლის საქართველოსთვისაც და მას ექნება ე. წ. „საბაბი“, როგორც მას ხშირად ახასიათებს, საკუთარი მოქალაქეების დაცვის მიზნით, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში 100 000-ზე მეტია, განახორციელოს „სამხედრო ოპერაცია“ საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე(სამხარაძე ; 2022). აღნიშნული ნამდვილად არ წარმოადგენს სიახლეს, რადგან რუსეთმა მისი ბოლოდროინდელი თითქმის ყველა კონფლიქტი არსებულის გამო დაიწყო (გოცირიძე ; 2022). ირაკლი კობახიძის განცხადებით „ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც კერძო კომპანიები რუსი ეროვნების მოქალაქეებს მომსახურებაზე უარს ეუბნებიან ან მომსახურების მისაღებად დისკრიმინაციულ დათქმებს უწესებენ. არის სერიოზული საფრთხე იმისა, რომ ამგვარმა მიდგომამ უფრო ფართო ტენდენციაც შეიძინოს და რუსი ეროვნების მოქალაქეების ფიზიკურ შეურაცხყოფაშიც გადაიზარდოს“ (კობახიძე ; 2022). აღნიშნული მაგალითების ფონზე ჩანს, რამდენად განსხვავებულად უყურებენ არსებულ საკითხს ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები.

დასკვნა

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ქართული პოლიტიკური ელიტის რიტორიკა იყოფა. ჩვენი კვლევის ძირითადი მიგნებები ასე ჩამოყალიბდა: ოპოზიციისა და ხელისუფლების წარმომადგენლები თანხმდებიან იმაზე, რომ რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად გაზრდილმა მიგრაციამ საქართველოზე ნამდვილად იქონია გავლენა. ხელისუფლების წარმომადგენლები ამ მოვლენას დადებით კონტექსტში განიხილავენ, შესაძლებლობად მიიჩნევენ და არ საუბრობენ რისკებზე, ოპოზიცია კი ხელისუფლებისგან განსხვავებით გაზრდილ მიგრაციაში შესაძლებლობებთან ერთად დიდ საფრთხეს ხედავს. პოლიტიკური ელიტის რიტორიკის შესწავლის შედეგად გამოტანილი დასკვნები და მიგნებები უფრო ზუსტად ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

- ეკონომიკური კუთხით ხელისუფლებისა და ოპოზიციის რიტორიკა შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: ხელისუფლების წარმომადგენლები მიიჩნევენ აღნიშნულ მიგრაციას, როგორც ეკონომიკის ხელშემწყობ ფაქტორს, რომელმაც ქვეყნის სამომავლო ეკონომიკურ მდგრადობას უნდა შეუწყოს ხელი და შექმნას კარგი გარემო ადგილობრივი ბიზნესისა და

ინვესტიციების განვითარებასათვის, ხოლო ოპოზიციის წარმომადგენლები არ უარყოფენ, რომ 2022 წლის გაზრდილი ეკონომიკური ზრდა სწორედ, რომ მიგრანტების შემოდინებას უკავშირდება, თუმცა მათ მიაჩნიათ, რომ ის მხოლოდ მოკლევადიანი პერსპექტივაა და სამომავლოდ ეკონომიკის მდგრადობას ვერ უზრუნველყოფს.

- გარდა „ნაციონალური მოძრაობისა“, ოპოზიციისა და ხელისუფლების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ გაზრდილი მიგრაცია ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას მნიშვნელოვან საფრთხეს ვერ შეუქმნის. მნიშვნელოვანი მიგნებაა, რომ ოპოზიციის სრული უმრავლესობა საფრთხეს არა მიგრანტებში, არამედ, უშუალოდ ქართულ შესაბამის ორგანოებში ხედავენ, იქნება ეს დაზვერვის, თავდაცვისა თუ შინაგან საქმეთა სამინისტროს მოუმზადებლობა და არაქმედითუნარიანობა. ამის საპასუხოდ ხელისუფლების წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ ოპოზიციის აღნიშნული კრიტიკა რეალობას მოკლებულია და რეალურად ქვეყანას ჰყავს მაღალკვალიფიციური შესაბამისი სამსახური.

- ოპოზიციის წარმომადგენლები საუბრობენ მიგრაციის შედეგად უძრავი ქონების ფასების ზრდაზე, ხოლო ხელისუფლების წარმომადგენლები ამ თემაზე საუბარს გვერდს უვლიან. გვჯერა, აღნიშნული კვლევა და ჩვენი მიგნებები გამოსადეგი იქნება დასახული მიზნების განხორციელებისათვის, ქართული სოციალური და პოლიტიკური მეცნიერების წრეებისათვის და მომავალ მკვლევრებს დაეხმარება საკუთარი მიზნების მიღწევაში.

ბიბლიოგრაფია

Barry buzan, j. d. (1998). a new framework for analysis. london: lynne riener publishers.

Georgia, b. m. (2022). რუსული კომპანიები, რომლებიც საქართველოში ომის დროს დაარეგისტრირეს - სრული სია. Tbilisi: bm.ge.

Jam-news. (2022, აგვისტო 29). მიგრანტების შემოდინებამ საქართველოს ეკონომიკაზე დადებითად იმოქმედა, თუმცა ეს ერთჯერადი ეფექტია - ADB. Retrieved from jam-news.net.ge: <https://jam-news.net/ge/migrantebis-shemodineba-saqartveloshi/>

Lomsadze, g. (2022, july 01). Georgians grudgingly accept growing Russian presence. Retrieved from eurasianet.org: <https://eurasianet.org/georgians-grudgingly-accept-growing-russian-presence>

Sandberg, r. f. (2003). creating security trough iimigration control. amman: nupi publisher .

არხი, პ. (2022, აგვისტო 30). პარტია „ლელო“ რუსეთთან სავიზო რეჟიმის დანესების ინიციატივით გამოდის. Retrieved from 1tv.ge: <https://1tv.ge/news/partia-lelo-rusetan-savizo-redjimis-dawesebis-iniciativit-gamodis/>

ბელქანია, თ. (2022, დეკემბერი 09). რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად გაზრდილი მიგრაცია საქართველოში და პოლიტიკური ელიტის რიტორიკა. (დ. შავლობაშვილი, თ.კირკიტაძე Interviewers)

გიგიტელაშვილი, გ. (2022, დეკემბერი 04) რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად გაზრდილი მიგრაცია საქართველოში და პოლიტიკური ელიტის რიტორიკა. (დ. შავლობაშვილი, თ.კირკიტაძე. Interviewers)

გოცირიძე, ა. (2022, მარტი 07). რუსეთის მოქალაქეების საქართველოში მასიური შემოსვლა უსაფრთხოების სერიოზული რისკების შემცველია, ადეკვატური ზომების მიღება სახელმწიფოს ვალდებულებაა და ამას რუსოფობიასთან არანაირი კავშირი არ შეიძლება ჰქონდეს. (კ. ბენდელიანი, Interviewer)

კაპანაძე, ს. (2022, დეკემბერი 04). რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად გაზრდილი მიგრაცია საქართველოში და პოლიტიკური ელიტის რიტორიკა. (დ. შავლობაშვილი, თ.კირკიტაძე Interviewer)

კობახიძე, ი. (2022, მარტი 04). ირაკლი კობახიძე: ვინცებთ კანონის გამკაცრებას ეთნიკური

ნიშნით დისკრიმინაციაზე, რადიო თავისუფლება.

მენაღარიშვილი, ზ. (2022, სექტემბერი 15). რა ეშველება სტუდენტებს — სწავლა იწყება, ბინები კი კვლავ ძვირია. Retrieved from netgazeti.ge: <https://netgazeti.ge/life/627826/>

მურუსიძე, ი. (2022, სექტემბერი 27). რუსები წლებია შემოდინან საქართველოში და დღეს უნდა გახდეს პრობლემაური? - გომელაური. Retrieved from bm.ge: <https://bm.ge/ka/article/rusebi-wlebia-shemodian-saqartveloshi-da-dges-unda-gaxdes-problemuri---gomelauri/117277>

მღებრიშვილი, ვ. (2022, სექტემბერი 30). ეკონომიკური ზრდის ნაცვლად, ევროპაში საუბარი მიდის, თუ როგორ გაათბონ საკუთარი მოქალაქეები - ღარიბაშვილი. Retrieved from bm.ge:

<https://bm.ge/ka/article/ekonomikuri-zrdis-nacvlad-evropashi-saubari-midis-tu-rogor-gaatbon-sakutari-moqalaqeebi---garibashvili/117579>

რაქვიაშვილი, ს. (2022, დეკემბერი 05). რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად გაზრდილი მიგრაცია საქართველოში და პოლიტიკური ელიტის რიტორიკა. (დ. შავლობაშვილი, თ. კირკიტაძე Interviewers)

რეზონანსი. (2022, დეკემბერი 15). რას წერს თავხედი რუსი ბლოგერი, რომელმაც კახეთში, ჩაილურის ციხის კარი წიხლით შეაღო? - "ნუ ხართ ასეთი უხეშები...". Retrieved from resonancedaily.com: http://www.resonancedaily.com/index.php?opt=opn&id_rub=1&id_artc=171629

რუსეთის და ბელორუსის მოქალაქეთათვის სავიზო რეჟიმის შემოღება. (2022, august 03). Retrieved from manifest.ge:

<https://manifest.ge/petitions/304478/%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9>

სამსახური, ს. ე. (2022). მოსახლეობა და დემოგრაფია. თბილისი: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

სამსახური, ს. ე. (2022). ტურიზმის სტატისტიკა. თბილისი: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

ქამანაშვილი, ლ. (2019). გლობალური მიგრაციის კრიზისი: გამოწვევები და პერსპექტივები. თბილისი: თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი.

ჩიჩუა, ნ. (2022, აგვისტო 05). საქართველოს ხელისუფლება რუსეთს თავისი მოქალაქეების „დაცვის“ საბაზს აძლევს — სამხარაძე. Retrieved from netgazeti.ge: https://netgazeti.ge/interviews/624346/?fbclid=IwAROCMZiccxuFBCY_V3_7PAYgPZS1ltc3d4nuYhdHY3EPucx3yUO3ql-CVzw

ხაჩიძე, ზ. (2022, დეკემბერი 07). რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად გაზრდილი მიგრაცია საქართველოში და პოლიტიკური ელიტის რიტორიკა , (დ.შავლობაშვილი, თ. კირკიტაძე Interviewers)

ხოჯევანიშვილი, გ. (2022, დეკემბერი 07). რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად გაზრდილი მიგრაცია საქართველოში და პოლიტიკური ელიტის რიტორიკა. (დ. შავლობაშვილი, თ. კირკიტაძე Interviewers)

ჯაფარიძე,ზ.გ. (2022, დეკემბერი 07). რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად გაზრდილი მიგრაცია საქართველოში და პოლიტიკური ელიტის რიტორიკა , (დ.შავლობაშვილი, თ. კირკიტაძე Interviewers)



1956 წლის 9 მარტი - რეპრესირებული სსოვნა, რომელიც ტრავმად ვერ იქცა

პაატა ახალკაცი
დათო დოლაბერიძე

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Email: paata.akhalkatsi928@sps.tsu.edu.ge

dato.dolaberidze828@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

1956 წლის 9 მარტი საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული მოვლენაა. 1956 წლის 25 თებერვალს სსრკ-ს XX ყრილობაზე, საიდუმლო სიტყვას "პიროვნების კულტის შესახებ" (ჯაფარიძე, 2016) და ხრუშჩოვის დესტალინიზაციის პოლიტიკას საქართველოში რეაქცია მოჰყვა, ხალხი ქუჩაში გამოვიდა და დაგმო ეროვნული ნიშნით პიროვნების კულტის რღვევა (კეკელია, რაისინერი 2022). ხელისუფლებამ პროტესტანტების წინააღმდეგ ძალა გამოიყენა, ტრაგედიას 27 ადამიანი შეეწირა, 100-ზე მეტი დაშავდა (რეხვიაშვილი, 2010), თუმცა მიუხედავად ადამიანთა დანაკარგისა, ტრაგედიამ განსხვავებული მოსაზრებებისა და ამავდროულად მცირე სახის ინფორმაციის არსებობის გამო, რთულია გადაჭრით თქვა იქცა თუ არა აღნიშნული ტრაგედია კოლექტიურ ტრაგედია (კოლექტიური ტრაგედია თავის მხრივ ისეთი პროცესია რომლის დროსაც სოციალური ცხოვრება ფუნდამენტურად იცვლება).

სწორედ ამიტომ, მიზნად დავისახეთ საკვლევი საკითხის ირგვლივ არსებული თეორიული მასალის, გაზეთების, აუდიო მასალებისა და ნარატივების მიმოხილვა, რათა დადგინდეს არის თუ არა 9 მარტს მომხდარი ტრაგედია საზოგადოებისთვის კოლექტიური ტრაგედია. ჩვენი საკვლევი კითხვა შემდეგია - შეძლო თუ არა 1956 წლის 9 მარტის მოვლენამ კოლექტიურ ტრაგედიად ჩამოყალიბება?

კვლევა ეფუძნება თვისებრივ კონტენტ ანალიზს, რაც საშუალებას გვაძლევს ტრაგემის კონტექსტში დავაკვირდეთ მოვლენას სხვადასხვა კუთხიდან. იგი ეყრდნობა კოლექტიური მემსიერებისა და კულტურული ტრაგემის თეორიებს. მემსიერების სოციალური ბუნების (მორის ჰალეზაქსი, ალეიდა ასმანი), კულტურული ტრაგემის ჩამოყალიბების, საზოგადოებაზე მისი ზეგავლენისა და (ჯეფრი ალექსანდერი, პიოტრ შტომპკა) მემსიერების კონსტრუირების მეთოდების (პიერ ნორა, იან ასმანი) გააზრება გვეხმარება გავანალიზოთ 1956 წლის 9 მარტი მემსიერების პოლიტიკისა და კულტურის კონტექსტში.

საკვანძო სიტყვები მემსიერების პოლიტიკა, სტალინის კულტი, დესტალინიზაცია, პროტესტი, საბჭოთა კავშირი.

შესავალი

1956 წლის 9 მარტს დატრიალებული ტრაგედია, ბევრი ოჯახისთვის მეტად მძიმე აღმოჩნდა, რადგან ამ პროცესებს შეეწირა ათეულობით ადამიანის სიცოცხლე. თუმცა სანამ ამ შედეგამდე მივიდოდეთ საჭიროა გადავხედოთ და ვისაუბროთ მანამდე მიმდინარე პროცესებსა და ტრაგედიის გამომწვევ მიზეზებზე (ვეფხვაძე, 2001). 1956 წლის 25 თებერვალს, სკკპ ცკ-ის პირველმა მდივანმა, ნიკიტა ხრუშჩოვმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე, საიდუმლო სიტყვაში „პიროვნების კულტის შესახებ“ სტალინი დაგმო და მას ბრალი მთელ რიგ სისტემურ ჩავარდნებში, რეპრესიებში, საბჭოთა ხალხისთვის მიყენებულ ტანჯვაში დასდო. იწყება დესტალინიზაცია - სტალინის კულტის გმობა (კეკელია, რაისნერი 2022). დიმიტრი შველიძის აზრით, სტალინის კრიტიკა მისმა ქართულმა წარმომავლობამ და ხასიათმა განაპირობა (არხი, 2016). სწორედ ამიტომ, საქართველოში სტალინის დაცვისა და ხრუშჩოვისთვის წინააღმდეგობის განხილვის მიზნით შეიქმნა მოძრაობა, რომელთა მონაწილენი მკაფიოდ აღნიშნავენ, რომ არ დაუშვებდნენ მათი ბელადის კრიტიკას. მომიტინგეებმა კავშირგაბმულობის შენობასთან მობილიზება და ტელეგრაფისკენ დაძვრა დაიწყეს, რისი მიზანიც იყო მოსკოვისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის ეცნობებინათ მიმდინარე პროცესები, თუმცა ეს ვერ შეძლეს, რადგან ხელისუფლებამ მიტინგი და მათში მონაწილე პირები, მათთვის ბევრჯერ ნაცადი ხერხის მეშვეობით, დაარბია, რასაც მოჰყვა ადამიანთა გარდაცვალება (შველიძე, 2016). ოფიციალური მონაცემებით 9 მარტს დაიღუპა 27 ადამიანი, თუმცა არაოფიციალურ წყაროებში ვეცნობით, რომ მათმა რაოდენობამ 100-ს გადააჭარბა (რეხვიაშვილი, 2010).

კოლექტიური ტრავმა არის პროცესი, როდესაც ფუნდამენტურად იცვლება სოციალური ცხოვრების პრინციპი, რაც იწვევს ადამიანთა დიდი ნაწილისთვის საერთო ტკივილის ჩამოყალიბებას. ამ შემთხვევაში ქრება „მე“ და ყალიბდება „ჩვენ“ განცდა (Alexander, 2004). ტრავმული მოვლენის შემდეგ იკარგება „ჩვენ“ ჯგუფი, რომელიც ინდივიდის ფორმირებაში მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს. მაშასადამე, ქრება „მე-ს“ ნაწილი, რაც საფუძველს უყრის საზოგადოების, როგორც მკავშირებელი ერთობისგან შემდგარი ერთიანი სხეულის გაქრობას (Erikson, 1995). კულტურულ ტრავმად სოციალური გარემოს მკვეთრი ცვლილებაც შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომლისთვისაც საზოგადოება მზად არ არის. ტრავმა ინდივიდუალურ დონეზე პიროვნების ფსიქიკაზე ახდენს ძლიერ ზეგავლენას, რომელზეც ადამიანი არაეფექტურად, უდროოდ რეაგირებს. კოლექტიური ტრავმა ადამიანთა ცხოვრების მამოძრავებელ პრინციპებს ცვლის, რაც შლის პიროვნებათა შორის მაინტეგრირებელ კავშირებს, ასუსტებს სოციალურ კაპიტალს, ჯგუფების ერთიანობას. ტრავმული მოვლენა აფეთქების მაგნიტუდასაც შეგვიძლია შევადაროთ, როგორც ატომური ბომბის ჩამოგდება მოკლე პერიოდში რევოლუციურ ცვლილებებს იწვევს, სამყაროს კი ექსტრაორდინალურ მდგომარეობაში აყენებს, ისე ტრავმული მოვლენა შლის სოციალური ერთიანობის განცდასა და მათზე დაფუძნებულ კავშირებს

(ჩიქოვანი, 2022). ყოველივე ეს ხელს უშლის ერთიანი იდენტობის ჩამოყალიბებას, ართულებს შეკითხვებზე პასუხის გაცემას - ვინ ვართ ჩვენ? საიდან მოვედით? საით გვსურს წასვლა? (იქვე...)

ჩვენი მიზანი კი სწორედ ისაა, რომ შევისწავლოთ შეძლო თუ არა 1956 წლის 9 მარტს მომხდარმა ტრაგედიამ საზოგადოებისთვის კოლექტიურ ტრაგედად ჩამოყალიბება. აღნიშნული საკითხი პრობლემატურია, რადგან ჯერაც გაურკვეველია არის თუ არა მარტში განვითარებული მოვლენები საზოგადოებისთვის კოლექტიური ტრაგედა. მეტიც, ზოგადად მოვლენის შესახებაც არ არსებობს ბევრი ინფორმაცია, ამიტომ გადავწყვიტეთ სხვადასხვა სახის, წერილობითი თუ აუდიო მასალის გაანალიზება და დადგენა თუ როგორ შეძლო ტრაგედიის პროცესმა ადამიანებში რეპრეზენტირება, რამდენად მოხერხდა აღნიშნულ საკითხზე საუბარი მოვლენის შემდგომ პერიოდში, სსრკს-ს არსებობის დროს და დამოუკიდებლობის საწყის წლებში. შეიქმნა თუ არა მესხიერების ადგილები და მოხერხდა თუ არა მისი ინსტიტუციონალიზაცია სხვადასხვა ფორმებით, რადგან სწორედ ეს გვაძლევს ტრაგედიის, როგორც კოლექტიური ტრაგემის უკეთ აღქმის შესაძლებლობას.

კოლექტიური ტრაგემის ჩამოყალიბების პროცესი არის ინტენსიური კულტურული თუ პოლიტიკური მუშაობის შედეგი, რომელსაც რასაკვირველია წარმართავენ ტრაგემის გადამტანი ჯგუფები. ჯერჯერობით ალექსანდერი მათ ტრაგედიულ პროცესის კოლექტიურად მოქმედ აგენტებს უწოდებს (ჩიქოვანი, 2022). ამაში იგულისხმება საზოგადოება თავისი მსხვერპლებით, გმირებითა და დამნაშავეებით. სწორედ ამ პირებს ძალუძთ ერთ დროს ყველაზე მწვავე დისკურსის გაქრობის შემდეგ მესხიერების ადგილებში (რიტუალები, ფილმები, სახელმძღვანელოები) ტრაგემის იმავე სიმწვავეთ განსხეულება, რა დროსაც იქმნება კოლექტიური იდენტობა და შესაბამისად, ტრაგედიის კოლექტიურ ტრაგედად აღქმის საფუძველი. ტრაგედა არ არსებობს თავისთავად, იგი საზოგადოების მიერაა კონსტრუირებული, შესაბამისად თუ მოვლენის შემდეგ საზოგადოებამ შეძლო ტკივილის ახსნა, თუ რა მოხდა სინამდვილეში, მსხვერპლის დადგენა (კონკრეტული ჯგუფები დაზარალებულნი თუ მთლიანად საზოგადოება?), პასუხისმგებელი პირების გამოვლენა და დასჯა, მაშინ დიდი ალბათობით ტრაგედიის თანმდევი სოციალური კრიზისი გარდაიქმნება კულტურულ კრიზისად და იქცევა კოლექტიურ ტრაგედად, რამდენად მოხდა ეს 1956 წლის 9 მარტის მოვლენების შემდეგ დასადგენია, რადგან თუ ამგვარი პროცესები გამოიკვეთა, მაშინ დიდი შანსია რომ ტრაგედა აღიქვან კოლექტიურ ტრაგედად (იქვე...).

ლიტერატურის მიმოხილვა

კულტურული ტრაგედა სოციალური გარემოს მკვეთრი, უცარი ცვლილების მდგომარეობაა, რომლის წინაშეც ადამიანების მზობა არ არსებობს. მსგავსი ტიპის ცვალებადობა მნიშვნელოვნად არყვეს სოციალურ ცხოვრებას და მისი ფუნქციონირების ფუნდამენტს,

ათერმკრთალებს ერთობის განცდას და შლის სოციუმის შემაკავშირებელ ელემენტებს (Alexander, 2004).

მესხიერების შესწავლის და ტრავმის დადგენისთვის მნიშვნელოვანია მესხიერების არეების შესწავლა. პიერ ნორას განსაზღვრებით ჩვენი იდენტობა ემყარება ისეთ ადგილებს, ნაშთებს, მემორიალური ცნობიერების განსხეულებებს, რომლებიც გადაურჩნენ წარსულს, ისტორიას და დღესაც ჩვენს წინაშე არიან, ესენია - მუზეუმები, არქივები, სასაფლაოები, დღესასწაულები, წლისთავები, მონუმენტები და სხვა განსხეულებები, რომლებსაც ჩვენს წარმოდგენებში გარკვეული დატვირთვა აქვს და ინახავენ წარსულს, ჩვენს მესხიერებას (Nora, 1989). ნორას ამ კუთხით საერთო აქვს ალექსანდერთან, რომელსაც მის მსგავსად მიაჩნია, რომ როდესაც ტრავმის ძლიერი, მკაფიო ეფექტის დისკურსი ქრება, ტრავმატული გამოცდილება, დაგროვილი „გაკვეთილები“ ადგილს იღებს მუზეუმებში, მონუმენტებში, ისტორიულ არტეფაქტებში. ახალი კოლექტიური იდენტობა დაეფუძნება განსხეულებულ „ადგილებს“, მათ შეგვიძლია წმინდაც ვუწოდოთ, რომელიც მალევე რუტინულად რიტუალიზდება (Alexander, 2004). კულტურის კვლევაში ნორაც და ალექსანდერიც დიდ ყურადღებას უთმობს მესხიერების ადგილებს, რადგან თუ გინდა შეძლო დაადგინო მოვლენამ მოახერხა თუ არა კოლექტიურ ტრავმად ჩამოყალიბება, საჭიროა მესხიერების ადგილების შესწავლა, სადაც შენახულია ის ტრავედია, რომელიც საზოგადოებამ საერთო ტრავმად აღიქვა. სწორედ ამიტომ ალექსანდერთან ერთად კვლევაში გამოვიყენეთ ნორას კონცეფციაც, რათა შეგვესწავლა არსებობდა თუ არა 1956 წლის 9 მარტის თემატიკაზე შექმნილი მესხიერების ადგილები და არსებობის შემთხვევაში შეუწყო თუ არა ხელი ტრავედის კოლექტიურ ტრავმად ჩამოყალიბებას.

კვლევისთვის ასევე მნიშვნელოვანია აქტიური და პასიური დავიწყების ცნებები (Assmann, 2012). პირველი მათგანი მოისაზრებს წარსულის უარყოფას მიზანმიმართულად, განადგურებას, წაშლას (ავტორიტარული რეჟიმების შემთხვევაში), რომლის მისაღწევადაც არ ერიდებიან ძალადობას - ცენზურას, ტოპონიმებით ბრძოლას, სახელების ცვლილებას, ძეგლების კონსტრუირება-დეკონსტრუირებას. პასიურის შემთხვევაში არ ხდება რადიკალური ჩარევა, პირდაპირი დემონტაჟი, განადგურება, ფაქტები უბრალოდ მნიშვნელობას კარგავს, ყურადღების მიღმა რჩება. შეიძლება ისინი მოგვიანებით ხილული გახდეს, ამოტივტივდეს (Assmann, 2012). ასმანის კონცეფცია ვერ შეესაბამება ჩვენ კვლევას, რადგან 9 მარტის შემთხვევაში არ მომხდარა აქტიური დავიწყების წარმოება. უნდა ვთქვათ, რომ მასმედიის მეშვეობით ხელისუფლება ცდილობდა მარტში არსებული გამოსვლები, სტალინის გარდაცვალების მესამე წლისთავთან დაკავშირებულ მიტინგებად გაესაღებინა, თუმცა მას აქტიური დავიწყების ფორმებისთვის არ მიუმართავს. ასმანი აქტიური დავიწყების ერთ-ერთ ფორმად განიხილავს ტრავედისთან დაკავშირებული ძეგლების აღებას. ეს ჩვენ შემთხვევაში არ მომხდარა, საზოგადოებამ ვერ შეძლო ტრავმის საერთო პრობლემად აღქმა და ამ სახის ძეგლებისა თუ მონუმენტების შექმნა. ამიტომაც, ასმანის მიერ შემოთავაზებულ კონცეფციას ვერ

გამოვიყენებთ, არსებული მოვლენის ახსნა თეორიის მხოლოდ ერთი ნაწილის გამოყენებით არ მოგვცემს სწორი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას.

კოლექტიურ ტრავმას ობიექტური რეალობა უდევს საფუძვლად, თუმცა ტრავმა საზოგადოების მიერ ყალიბდება (Alexander, 2004) ის თავს იჩენს მაშინ, როცა ინდივიდები იწყებენ გააზრებას, საერთო ბედზე საუბარს, რომ ისე ველარასდროს იცხოვრებდნენ, როგორც ადრე. ერთმანეთში განიხილავენ მომხდარ ფაქტებს, უზიარებენ ერთმანეთს, უყვებიან ჭორებს, გამოცდილებებს, მითქმა-მოთქმას, ეძიებენ მიზეზს, რომელმაც გამოიწვია ყოველივე, საზღვრავენ მსხვერპლსა და დამნაშავეს, არიან შეთქმულებების ძიებაში, მოქმედებენ და ფიქრობენ შედეგების დაძლევაზე. ყოველივე ეს ხდება საჯაროდ, გამოდის საჯარო ასპარეზზე, ვრცელდება მედიაში, აისახება ხელოვნებაში, ლიტერატურაში, ფილმებში. იქმნება საერთო ნარატივი, რომელიც გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს საერთო გამოცდილებას. პროტესტისას, ინტენსიური ურთიერთობისას, ინტერესების არტიკულაციისას, ჯგუფების ჩამოყალიბებისას, ინტერესების აგრეგირებისას - სოციალური მოძრაობების, ასოციაციების, ორგანიზაციების პოლიტიკური პარტიების შექმნისას ტრავმის გამოხატვა იღებს უფრო ხელშესახებ ფორმას (Sztompka, 2004).

პოლონელი სოციოლოგი პიოტრ შტომპკა გამოყოფს ოთხ ძირითად ნიშანს, ტრავმული ცვლილებებისა: 1. სისწრაფე და სიმწვავე - უეცარი კოლაფსი, რაც საზოგადოების ფართო მასებს ეხება.. 2. ყოვლისმომცველობა - როცა ცვლილება ეხება ბევრ აქტორს, მოიცავს ცხოვრების მრავალ ასპექტს, სფეროს. 3. რადიკალურობა, სიღრმე და ფუნდამენტალურობა - ზემოქმედება ხდება როგორც პირადზე, ისე საჯარო სივრცეზე, სოციალური ცხოვრების მთავარ ელემენტებზე. 4. მოულოდნელობა, შოკის ეფექტი, დაუჭერებლობა (Sztompka, 2004). პოლონელი სოციოლოგი აღნიშნავს - კულტურულ ტრავმას, რომელიც გამოწვეულია სოციალური ცვლილებით, თან სდევს ტრავმული გარემოება, რომელიც აქვებს საზოგადოების ფიქრებს, იფიქრონ, რომ სხვებივით იდენტურ მდგომარეობაში არიან (იქვე...). ყოველივე ეს საფრთხის შემცველად და უსამართლობად აღიქმება, რასაც თან დევს: 1. შფოთვა, დაუცველობის განცდა, „მორალური პანიკა“. 2. უნდობლობა ადამიანებისა და ინსტიტუციების მიმართ. 3. დემორინტაცია, იდენტობის შერყევა. 4. პასიურობა, უიმედობა, აპათია 5. პესიმიზმი მომავლისადმი, რომელიც წარსულის ნოსტალგიურ ხატებს ქმნის და სინთეზირდება მომავალთან (იქვე...).

შტომპკა კულტურული ტრავმის ცნებას განმარტავს, როგორც სოციალური ცვლილების თეორიას, საზოგადოების არსებობას უკავშირებს სოციალურ ცვლილებებს, რაც უბიძგებს მოვლენის ტრავმად ჩამოყალიბებას (Sztompka, 2004). 1956 წელს, საბჭოთა კავშირის მმართველობის ზენიტის ხანაში, როცა არსებობდა გულაგი, რეპრესიების მანქანა, ახალი მომხდარი იყო 30-იანი წლების განსხვავებულად მოაზროვნეთა მასობრივი ხოცვა და დიდი სამამულო ომი, სოციალური ცვლილების ილუზია არც არავის ჰქონია, პროტესტანტთა მამოძრავებელი მიზანი სულ სხვა იყო, ამიტომაც, აღნიშნული თეორია ჩვენი მოვლენის ახსნაში

ვერ დაგვეხმარება. 1956 წელს საუბარს ვერ დავინწყებთ 1991 წლის საბჭოთა კავშირის რღვევაზე, პოსტსაბჭოთა ტრანზიციამზე, სოციალურ ცვლილებებსა და წარსულის გადააზრებაზე.

ალექსანდერი საუბრობს კოლექტიური ტრავმის რეპრეზენტაციის წარმატებაზე, თუ რამდენად არის ასახული მასში: ა) ტკივილის მიზეზი: თუ რა მოხდა რეალურად? ბ) მსხვერპლთა ბუნება: კონკრეტულად ვინ, რომელმა ჯგუფებმა, პიროვნებებმა განიცადეს ის ტკივილი, რომელიც ტრავმით იყო გამოწვეული? გ) ურთიერთმიმართება ტრავმის მსხვერპლებსა და საზოგადოების სხვა წევრებს შორის. დ) ვინ არის პასუხისმგებელი მომხდარზე? (Alexander, 2004). ალექსანდერი მასმედიის მნიშვნელობასაც აღნიშნავს, რადგან იგი დიდ როლს თამაშობს ტრავმული მოვლენის კულტურულ ტრავმად ჩამოყალიბების პროცესში. მედია დრამატიზების განსაკუთრებულ საშუალებას იძლევა. იქ გავრცელებული ტრავმული მოვლენების გააზრება საზოგადოებაში დომინანტური ხდება, რაც ფეხის მოკიდებაში ეხმარება კონკრეტულ გაბატონებულ აზრს (Alexander, 2004). სწორედ ამიტომ, გადაწყვეტეთ 1956 წლის 9 მარტის მოვლენებზე საბჭოთა სისტემის მმართველობის პირობებში გამოშვებული გაზეთების გაანალიზება. ალექსანდერის კონცეფცია, რომელიც ამბობს რომ აუცილებელია, ტრავმული კოლექტიურ ტრავმამდე ჩამოსაყალიბებლად თან ერთოდეს მკაფიო განსაზღვრება დამნაშავეთა და მსხვერპლთა შორის, მნიშვნელოვნად იყოს ხაზგასმული ტრავმის მასშტაბურობა და მასმედიის დიდი უპირატესობა, ზუსტად შეესაბამება ჩვენს თემას, რადგან სწორედ ამ ფასეულობებზე დაყრდნობით მიმდინარეობს კვლევა.

კვლევის მეთოდოლოგია

საკითხი ეფუძნება სოციალურ მეცნიერებათა კვლევის თვისებრივ მეთოდს - კერძოდ თვისებრივი კონტენტანალიზის მეთოდს, რომელიც მოიცავს ნარატიული ტექსტების ანალიზს, სადაც წარმოდგენილია მოვლენათა ერთობლიობა, განსხვავებული ინტერპრეტაციებით. კვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გაზეთებს, რომელიც არსებულ საზოგადოებაში მესხიერების ფორმირებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს - 1. „კომუნისტი“ - 9 მარტი, 1956 წელი. №58 , 10 მარტი, 1956 წელი. №59 2. „კოლექტიური შრომა“ - 11 მარტი, 1956 წელი. №22 , 11 მარტი, 1956 წელი. №21, 15 მარტი, 1956 წელი. №22-23 3. „ქართული აზრი“ - 10 მარტი, 1956 წელი. №5 4. „ახალი ხევი“ - 11 მარტი, 1956 წელი. №21 5. „ახალ შირაქი“ - 9 მარტი 1956 წელი, №30 , 11 მარტი 1956 წელი, №31 6. „ახალგაზრდა კომუნისტი“ - 10 მარტი, 1956 წელი. №30 7. „ახალი წყალტუბო“ - 9 მარტი, 1956 წელი. № 30 , 11 მარტი, 1956 წელი. № 31 8. „გამარჯვების დროშა“ - 9 მარტი, 1956 წელი. №30 , 11 მარტი, 1956 წელი. №31. სახელისუფლებო და ალტერნატიული ბეჭდვითი გაზეთების ანალიზი საშუალებას იძლევა დავინახოთ ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკა ტრავმული მიმდინარეობისას. აგრეთვე, მიმოვიხილავთ ინტერვიუს,

რომლებიც მოვლენის უშუალო მონაწილეების მიერ მოთხრობილ გამოცდილებასა და მესხიერებას ასახავენ, რაც თავის მხრივ საპროტესტო კონტექსტის ფართო სურათს გვაჩვენებს.

კვლევის მიზანია დადგინდეს არის თუ არა 9 მარტს მომხდარი ტრაგედია საზოგადოებისთვის კოლექტიური ტრავმა. ამის დასადგენად, დავისახეთ შემდეგი ამოცანა - გაგვეანალიზებინა საკითხთან დაკავშირებული თეორიული მასალები, გაზეთები, აუდიო მასალები და ნარატივები. აღვნიშნავთ იმასაც, რომ შესწავლილი ნარატივები გაანალიზებულია კულტურული ტრავმისა და კოლექტიური მესხიერების თეორიების კონტექსტში - (მორის ჰალბვაქსის „მესხიერების სოციალური ჩარჩოს“ კონცეპტი და ჯეფრი ალექსანდერის "კულტურული ტრავმის" თეორია) რათა ავხსნათ, თუ რატომ ვერ ჩამოყალიბდა 9 მარტის მოვლენები კოლექტიურ ტრავმად.

1956 წლის 9 მარტის ტრაგედიაზე არსებული მასალების შინაარსობრივი ანალიზი

9 მარტის ტრაგედიაზე მსჯელობას ყველა თავს არიდებდა, ეს სახელმწიფოს პოლიტიკის მიზანი იყო. (იავორაშვილი, 2021) ამიტომ ინფორმაცია აღნიშნულ მოვლენაზე მწირია, თუმცა შეგვიძლია გავეცნოთ „შინაგან საქმეთა სამინისტროსა“ და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მიერ გამოქვეყნებულ მასალებს და გავაანალიზოთ ისინი.

თავდაპირველად საჭიროა აღვნიშნოთ, რომ 1956 წლის 9 მარტის შესახებ გაზეთებში დაწერილი სტატიების შინაარსობრივი გაანალიზებისას გამოიკვეთა სამი განსხვავებული ნარატივი. საუბარია იმაზე, რომ გაზეთების ერთ ნაწილში საერთოდ არ დაწერილა 9 მარტს მიმდინარე მიტინგის შესახებ, მეორე ნაწილში საუბარი იყო მხოლოდ იმაზე რომ ჩატარდა მიტინგი, რომელიც სტალინის გარდაცვალების მესამე წლისთავსა და ხსოვნის უკვდავყოფას მიეძღვნა, თუმცა საუბარი არ იყო ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე და ბოლოს, მესამე შემთხვევაში აღმოჩნდა ერთადერთი გაზეთი, რომელიც ობიექტურად აღწერდა 9 მარტს განვითარებულ პროცესებსა და ხელისუფლების ქმედებებს, რამაც ათეულობით ადამიანის დაზიანება თუ გარდაცვალება გამოიწვია. მეტი თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ თითოეული კატეგორია.

გაზეთი, რომელშიც არაფერი არ არის ნახსენები 9 მარტს მომხდარი ტრაგედიის შესახებ, ერთ-ერთი არის „გამარჯვების დროშა“. გაზეთში 19 მარტამდე გამოქვეყნებულ ნომრებში ძირითადად საუბარია პარტიის მე-20 ყრილობაზე და ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ ყრილობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე, რომელიც უფრო მეტად გააუმჯობესებდა ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას, ის რომ ქვეყანამ აიღო მეტი ვალდებულებები და ბევრი რამ შეიცვალა სასიკეთოდ, ის რომ მეტი პროდუქტი უნდა აწარმოონ რაც შეიძლება მოკლე დროში, ასევე საუბარია კოლმეურნეობისთვის ყოველთვიური ავანსის მიცემაზე, დასვენების დღეებსა და მელორეობის განვითარებაზე, ქალთა საერთაშორისო დღეზე და ა.შ.

თუმცა არავის დაუწერია ყრილობის შემდეგ თბილისში, კავშირგაბმულობის შენობასთან დატრიალებული ტრაგედიის შესახებ. (დროშა, 1956, (№30; №31).

გაზეთი, რომელშიც მხოლოდ მიტინგზე საუბარი და არა ხელისუფლების ქმედებებზე არის „კომუნისტი“. 9 მარტის ნომერში მათ დიდი ადგილი დაუთმეს სტალინის გარდაცვალების შესახებ წლისთავს, აგრეთვე იმ ხალხთა გამოსვლებს, რომლებიც პატივს მიაგებდნენ მას. სხვა გაზეთების მსგავსად სტალინი როგორც დამოუკიდებელი პიროვნება არც „კომუნისტში“ განხილული და მოხსენიებულია როგორც „დიდი ლენინის უკვდავი საქმის გამგრძელებლად“. ეს კიდევ უფრო მეტად მიუთითებდა ხრუშჩოვის პოლიტიკას და კარგად ხსნიდა მაშინ მომხდარ პროცესებს, რადგან ხრუშჩოვი ცდილობდა სტალინის კულტის გაქრობას და ლენინისთვის უფრო მეტი ლეგიტიმაციის მინიჭებას. ამან კი გამოიწვია ხალხის აღშფოთება. მიუხედავად იმისა რომ გაზეთი „კომუნისტის“ ერთ-ერთი ნომერი ამ წინადადებით იწყება, „დღეს, 9 მარტს, რესპუბლიკის საწარმოებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში დღის 1 საათზე გაიმართება ი. ბ. სტალინის გარდაცვალების შესახებ წლისთავისადმი მიძღვნილი მიტინგები“ (კომუნისტი, 1956 (№58; №59), მაინც მწირია დემონსტრაციების შესახებ ინფორმაცია, ხოლო ხელისუფლების მიერ ჩადენილ ქმედებებზე კი საუბარი სრულებითაც არ არის. მართალია დამალული არ არის ის, რომ ამგვარ მიტინგებზე მრავალი ადამიანი შეიკრიბა, თუმცა აღსანიშნავია, რომ არსად არის ნახსენები ხალხმრავალი მიტინგების გამომწვევი მთავარი მიზეზი, რაც მდგომარეობდა ნიკიტა ხრუშჩოვის მოხსენებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობაზე, როცა მან სტალინის კულტის გაკრიტიკება სცადა, რამაც საზოგადოების ნაწილის აღშფოთება გამოიწვია.

ფოტო

გაზეთი	სტატიის სათაური	თარიღი
კოლექტიური შრომა – გუდაუთა	“რაიონის მშრომელები პატივს სცემენ ი. ბ. სტალინის ხსოვნას”	11.03.1956
ახალი ხვეი – ყაზბეგი	“ი. ბ. სტალინის გარდაცვალების შესაშვ ნლისთავისადმი მიძღვნილი მიტინგები”	11.03.1956
ახალი წყალტუბო	“გვიშტიბელ კოლმეურნეთა მიტინგზე”	11.03.1956
ახალი წყალტუბო	“ჩაის ფაბრიკის მუშათა სიტყვა”	11.03.1956
ახალი წყალტუბო	“წყალტუბოს სასოფლო კლუბში”	11.03.1956
ახალი შირაქი	“მიტინგი ი. ბ. სტალინის ძეგლთან”	11.03.1956

წყარო: ირაკლი იაგორაშვილი 07/30/2021 „*მითების დეტექტორი*“

ფოტო #1-ზე გამოსახული რეგიონული გაზეთების ანალიზისას გამოიკვეთა გაზეთ „კომუნისტთან“ კავშირი და საერთო ნიშანი, რაც მდგომარეობს იმაში, რომ თითოეულ მათგანში არის საუბარი 9 მარტს მიმდინარე პროცესებზე, თუმცა „კომუნისტის“ მსგავსად არც ერთ მათგანში არ არის ნახსენები მიტინგამდე არსებული წინაპირობები და მისი გამომწვევი რეალური მიზეზი. მაგალითისთვის, გაზეთ „კოლექტიური შრომის“ 4 მარტს გამოცემულ ნომერში საუბარია მე-20 ყრილობის დროს ბროშურებად გამოცემულ მასალებზე, რომელიც მიეძღვნა ხრუშჩოვის, ვოროშილოვის, მალენკოვის და სხვა რამდენიმე ადამიანის გამოსვლას. 11 მარტის ნომერში (შრომა, 1956 (№21) კი ყურადღება მთლიანად ეთმობა ქალთა დღეს და მათ ღვანლს, რომელსაც იღებენ კომუნისტების მშენებლობისთვის, სწორედ ამიტომ ვხვდებით შემდეგ წინადადებას, ლოზუნგის სახით, „დიდება საბჭოთა ქალებს - კომუნისტების აქტიურ მშენებლებს!“. თუმცა გაკვრით ნახსენებია 9 მარტიც. გაზეთში ვკითხულობთ, რომ რაიონის მშრომელები სტალინისთვის პატივის მიგების მიზნით გამოვიდნენ ქუჩებში, რაც კარგია, რადგან სტალინი იყო დიდი ლენინის თანამებრძოლი. გაზეთში ხრუშჩოვის პოლიტიკის შენიღბვის მიზნით, დადებით მოვლენად ასახეს ხალხთა გამოსვლები, თუმცა ის აღარ ჰქონდათ ნახსენები, რომ ამ გამოსვლებით მათ ხრუშჩოვის ქმედება გააპროტესტეს, რაც შემდგომ სასტიკად ჩაახშო ხელისუფლებამ. შემდგომ, 15 მარტს გამოცემულ ნომერშიც (შრომა, 1956 (№21) გრძელდება პარტიის მე-20 ყრილობაზე საუბარი სათაურით, „ღრმად შევისწავლოთ ყრილობის გადაწყვეტილება“, თუმცა განხილულია მხოლოდ ის პერსპექტივები, რომელიც ყრილობაზე

გაუღერდა, რომ სისტემა კიდევ უფრო მოქნილი უნდა გამხდარიყო. შესაბამისად, მთლიანად დავინწყებულება 9 მარტს განვითარებული მოვლენები. ამგვარ ნარატივს ამკვიდრებს გაზეთი „ახალი ხევი“, რომელმაც გამოაქვეყნა სტატია სახელად „დიდი სტალინი“ (ხევი, 1956 (№21), სადაც ნახსენებია რომ იმართება მიტინგები სტალინის გარდაცვალების შესამე წლისთავის გამო, თუმცა საუბარი არც ამ შემთხვევაში არ არის მის გამომწვევ მიზეზზე, რეალურად პარტიის მე-20 ყრილობა და ხრუშჩოვის სიტყვები საერთოდ არ არის აღნიშნულთან დაკავშირებული. აგრეთვე ვხვდებით ერთ მნიშვნელოვან ლექსს „მწყემსის ნათქვამი ბელადზე“, რომელშიც სტალინი დიდებულ ბელადად არის წარმოჩენილი, რომელიც ახლა დიდი ლენინის გვერდით იკავებს ადგილს მარადიულ სამყოფელში, რაც თითქოს მომიტინგეთა დაშოშმინებას ემსახურება, რადგან ლექსის შინაარსი მთლიანად სტალინის დიდებას ეხება, თუმცა არც ამ შემთხვევაში იგი დამოუკიდებლად განხილული, რადგან ლენინი მის წინამორბედად და მთავარ შემოქმედადაა გამოყვანილი. თუმცა მიუხედავად სტალინის დიდებისა, სტატიაში შეფარულად მაინც ვხვდებით ახალი ლიდერის, ნიკიტა ხრუშჩოვის შეფასებებს, რომელიც ყურადღებას ამახვილებს სისუსტეებზე, რასაც მისი თქმით, თავად საბჭოთა კავშირი არ მალავს, რადგან ამით ხდება შესაძლებელი სახელმწიფო მართვის კოლექტიური შრომის პრინციპებთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. ეს ღიაობა კი ხაზს უსვამდა სტალინის ჩაკეტილი და ერთპიროვნული მმართველობის სისუსტეზე, რომელიც როგორც უკვე აღვნიშნეთ ხრუშჩოვის მხრიდან შეფარულად იყო გაკრიტიკებული. აგრეთვე, მსგავს ნარატივს იმეორებს გაზეთი „ახალი წყალტუბო“ (წყალტუბო, 1956 (№30; №31), რომელიც მიმოიხილავს გვიშტიველ კოლმეურნეთა, ჩაის ფაბრიკის მუშათა და წყალტუბოს სასოფლო კლუბებში მყოფ ადამიანთა გამოსვლებს, რომელიც სტალინის გარდაცვალებას ეძღვნება, თუმცა არც აქ არის ნახსენები მთავარი საკითხი, თუ რატომ გახდა საჭირო მიტინგის მოწყობა, რეალური მიზეზი დამალულია, ხოლო დარბევის შემდეგ მიღებულ შედეგებზე ხომ საერთოდაც ზედმეტია საუბარი. აგრეთვე გაზეთ „ახალ შირაქშიც“ დაიბეჭდა სტატია (შირაქი, 1956 (№30; №31), რომელიც კონკრეტულად სტალინის ძეგლთან არსებულ მიტინგს მიმოიხილავდა, თუმცა იმდენად მწირია ინფორმაცია, რომ დასკვნის გამოტანაც კი ჭირს. გაზეთის ნომერში მას მხოლოდ მცირე ნაწილი აქვს დათმობილი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სტალინი აქაც, როგორც გაზეთ „კომუნისტში“, განხილული არ არის როგორც დამოუკიდებელი ლიდერი და ნახსენებია დიდი ლენინის საქმის გამგრძელებლად, რადგან ამ შემთხვევაშიც შეფარულად ხდება მისი კულტის რყევა.

გაზეთი რომელშიც აღწერილია 9 მარტს მიმდინარე რეალური პროცესები არის „ქართული აზრი“ (აზრი, 1956 (№5), რომელიც კომუნისტური გაზეთებისგან განსხვავებით 9 მარტის ტრაგედიასთან დაკავშირებულ მოვლენებს რეალურად აღწერდა. გაზეთ „კომუნისტისა“ და „ახალგაზრდა კომუნისტისგან“ განსხვავებით „ქართულ აზრში“ ნათქვამი იყო, რომ რუსებსა და ქართველებს შორის მოხდა დაპირისპირება, რამაც არაერთი ადამიანის სიცოცხლე შეინჩრა. გაზეთში ვეცნობით იმასაც, რომ ვერსია თითქოს სტალინის კულტის გამო დაიწყო დაპირისპირება მცდარია, რადგან ეს იყო გამოვლინება იმ უსამართლო დასჯებზე, რომელიც

რუსეთმა ქართველების მიმართ ბევრჯერ განახორციელა. აქ პირდაპირ იყო გაკრიტიკებული საბჭოთა მმართველობა, კონკრეტულად კი ნიკიტა ხრუშჩოვი. “სტალინის სიკვდილის შემდეგ საქართველოში მრავალი წმენდა მოხდა. სტალინის სიკვდილიდან ბერძნის ლიკვიდაციამდე თვითონ ამ ჯალათმაც მოასწრო საქართველოში ორი მასიური წმენდის ჩატარება.” (აზრი, 1956 (№5)). თუმცა მხოლოდ „ქართული აზრის“ აქტიურობამ ვერ შეძლო საზოგადოებას დაეწყო პრობლემაზე საუბარი, მასზე არაფერს საუბრობდა, რადგან საბჭოთა სისტემა არ აძლევდა ამის უფლებას.

საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1956 წლის 9 მარტის შესახებ გამოქვეყნებული სტატიები სამ ჯგუფად იყოფოდა: პირველი - სტატიები, რომლებიც საერთოდ არ წერდნენ 9 მარტს მომხდარ მოვლენებზე, მეორე - სტატიები, რომლებიც გამოეხმაურნენ 9 მარტს მომხდარ მოვლენებს, მითინგს როგორც სტალინის გარდაცვალების შესახებ წლისთავის აღმნიშვნელ მოვლენას, თუმცა შემდეგ განვითარებულ პროცესებზე, მომთინგეთა მდგომარეობაზე, მითინგის დაწყების რეალურ მიზეზებსა და პროცესებზე, რამაც შეინარა ადამიანების სიცოცხლე არაფერს წერდა. ეს იმით, რომ გაზეთების უმრავლესობა ხელისუფლების ინტერესების გამტარებელი იყო და შესაბამის - სტატიები, რომლებიც აღწერდნენ რეალურ პროცესებს. სამწუხაროდ, ამგვარი სტატიების გამოქვეყნებელ გაზეთად მხოლოდ „ქართული აზრი“ გვევლინება, იგი ცდილობდა რეალობის გადმოცემასა და ხელისუფლების ქმედებების აღწერას, თუმცა ვერ აღწევდა შედეგს, რადგან საბჭოთა პოლიტიკა ჯერ კიდევ ეფექტურად აგრძელებდა ფუნქციონირებას.

გაზეთების გაანალიზებამ გვაჩვენა, რომ არ ხდებოდა აღნიშნული პროცესებზე საუბარი. საბჭოთა ჩაკეტილი სისტემა მასზე საუბრის საშუალებას არ აძლევდა მოსახლეობას, ამიტომ ვერ მოხერხდა ამ ტრავმის გააზრება რადგან არ ახლდა ხელშემწყობი ფაქტორები, რომელიც შეძლებდა მის ინსტიტუციონალიზაციას:

- ესთეტიკური ფორმით - არ შექნილა არც ერთი წიგნი რომელიც 9 მარტს განვითარებულ რეალურ პროცესებზე გვესაუბრებოდა, არ გადაღებულია ფილმი რომელიც ხელს შეუწყობდა მოსახლეობაში კოლექტიურ ერთობასა და მიღებული ტრავმის გააზრებას, როგორც საერთო ტკივილი, თეატრსა თუ კინოში არ გამახვილებულა ყურადღება აღნიშნულ მოვლენაზე, ამიტომ ვერ შეძლო მან კოლექტიურ თუ კულტურულ ტრავმად ჩამოყალიბება. რა თქმა უნდა, საბჭოთა სისტემის ნგრევის შემდეგ, 90-იანი წლების შემდგომ პერიოდში დაიწერა წიგნი შოთა ნოზაძის მიერ „1956 წლის ტრაგიკული მარტი“, გივი ვეფხვაძემ და თამაზ მამულაშვილმა 1992 წელს გადაიღეს დოკუმენტური ფილმი „9 მარტი, 1956“. ოთარ ჩხეიძემ შექმნა შესანიშნავი „გამოცხადება“ რომელიც 1973 წელს დაიწერა, თუმცა 1989 წლამდე ვერ მოხერხდა მისი დაბეჭდვა, აგრეთვე მნიშვნელოვანია სიმონ ჩიქოვანის ლექსი 9 მარტის შესახებ. თუმცა ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ მარტში მომხდარ ტრავმებზე პირველი ტექსტები დაიწერა მას შემდეგ, როცა საბჭოთა სისტემა დაიშალა. მანამდე მათ დღის სინათლე არ უნახავთ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ 9 მარტი 90-იანებში ერთის მხრივ იმიტომაც გახდა მნიშვნელოვანი მოვლენა, რომ მოხერხდა მისი დაკავშირება 9 აპრილთან. მათ შინაარსობრივად საერთო ბევრი ჰქონდათ, რადგან ტრაგედიის ადგილი (რუსთაველის გამზირი) და მტერი (საბჭოთა არმია) ორივე მოვლენისთვის საერთოა (ივანე წერეთელი, 2022). ის რომ ორივე მოვლენა გარკვეულწილად ერთმანეთს გადაეჯაჭვა და მსგავსი სახით კონსტრუირდა ეს კარგად არის აღწერილი ოთარ ჭილაძის „აველუმში“, მაგრამ, მიუხედავად ამისა 9 აპრილისგან განსხვავებით, 9 მარტს მომხდარი მოვლენას ნაკლები შანსი ჰქონდა კოლექტიურ ტრავმად ჩამოყალიბების, რადგან არ იყო ამოთქმისა თუ საუბრის შესაძლებლობა. არადა მოვლენას კოლექტიურ ტრავმად ჩამოსაყალიბებლად სჭირდება მთხრობელი და მსმენელი, რათა მოხდეს ამბის საჯაროობა, მასზე მსჯელობა და ამბის დროში გახანგრძლივება, 9 მარტის ტრაგედიამ ეს ვერ შეძლო და როგორც ნიგნ „ტრავმა და ტრიუმფში“ აღწერილი მას სწორედ ის დაემართა რაც სიმონ ჩიქოვანის ლექსშია გადმოცემული „დამჭრეს და პირი დამიხმეს წუხელ.“ 35 წლიანი სიჩუმის შემდეგ შექმნილმა ნაშრომებმა ვერ მოახერხა 9 მარტს მომხდარი ტრაგედიის კოლექტიურ ტრავმად ჩამოყალიბება რაც სრულიად ლოგიკურია.

- სამართლებრივი გზით - შესაძლოა არ იყო ნიურნბერგის პროცესივით მასშტაბური საქმე, თუმცა აუცილებლობა მოითხოვდა პასუხი ეგოთ იმ პირებს, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს და შეინირეს ადამიანთა სიცოცხლე. რა თქმა უნდა, მაშინდელი ხელისუფლება საკუთარ თავს არ გამოუთხრიდა საფუძველს და იმ სასტიკი პოლიტიკის მკეთებლებს არ დასჯიდა, ამიტომაც მივიღეთ ის შედეგი, რომელსაც ჰყავდა მსხვერპლი, თუმცა არ ჰყავდა მკვეთრად განსაზღვრული დამნაშავე, რომლებსაც წესით პასუხი უნდა ეგოთ დანაშაულისთვის. ამიტომაც ვერ მოხერხდა მოვლენების ტრავმად ჩამოყალიბება, რადგან კულტურული ტრავმა მოითხოვს მკვეთრად განსაზღვრული დამნაშავეების არსებობას.

- მეცნიერული შესწავლით - სამწუხაროდ საკითხი იმდენად ტაბუირებული იყო, რომ მასზე კვლევა არ ჩატარებულა, არ მომხდარა დამნაშავეთა წინააღმდეგ დამამტკიცებელი საბუთების მოძებნა, არ გამართულა საკითხზე ცხარე კამათი, რომელიც პროცესს ღიას გახდიდა. მეცნიერული ანალიზიც ახლახან დაიწყო, რადგან არსებობს არქივი სადაც ძალიან ბევრ ინფორმაციას ვიგებთ, თუმცა იგი ერთიანი სახით „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ საქართველოში შვეიცარიის საელჩოს დაფინანსებით, ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის ბიუროს მხარდაჭერითა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს ხელშეწყობით პირველად სულ რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნდა.

- და ბოლოს მასმედიის საშუალებით - რომელსაც ევალებოდა ინფორმაციის გავრცელება. 1956 წელს მის როლს გაზეთი ასრულებდა, რომელთა ანალიზმაც გვაჩვენა, რომ არ ხდებოდა მარტში მომხდარი ტრაგედიის განხილვა, მომიტიინგეთა

გამოსვლები კი განხილული იყო მხოლოდ როგორც სტალინის გარდაცვალების მესამე წლისადმი მიძღვნილი ქმედება, სხვა სახით ინფორმაცია გაზეთში არ იწერებოდა, მაშინდელი კონიუნქტურა ჩარჩოებში იყო მოქცეული სწორედ ამ ტრაგედიის მთავარ შემოქმედთა მიერ, ამიტომ ვერც მასმედიის საშუალებით მოხდა აღნიშნული მოვლენის კოლექტიურ ტრავმად ქცევა.

არის თუ არა 9 მარტის ტრაგედია კოლექტიური ტრავმა?

იმის ასახსნელად თუ რატომ ვერ ჩამოყალიბდა 1956 წლის 9 მარტს მომხდარი ტრაგედია კოლექტიურ ტრავმად, შევეცდებით, კულტურულ თუ კოლექტიურ ტრავმასთან ასოცირებული ყველა ძირითადი თეორიული ჩარჩოს ჩვენს საკვლევ თემაზე მორგებას და გაანალიზებას, რათა მეტად დავუახლოვდეთ ჭეშმარიტებას და გამოვრიცხოთ ყველა ის შესაძლო კომპონენტი, რომელიც შესაძლოა 9 მარტის მოვლენას განიხილავდეს როგორც კოლექტიურ ტრავმას.

პოლ კონერტონის დავინწყებისა თუ დამახსოვრების კონცეფციის ჩვენს თემაზე მორგება გარკვეულწილად ხსნის იმ ფაქტს, თუ რატომ ვერ მოხერხდა 9 მარტის მოვლენების ტრავმად ჩამოყალიბება. რეალურად ხელისუფლება 90-იან წლებამდე არ საუბრობდა მოვლენაზე, ამიტომ დავინწყების პოლიტიკა აქტიური სახით ხორციელდებოდა, თუმცა 9 აპრილს მომხდარმა ტრაგედიამ თითქმის შეძლო 1956 წლის მარტში მომხდარი ამბების გაცოცხლება, ამის თქმის საშუალებას ის გვაძლევს, რომ საზოგადოების დიდმა ნაწილმა საუბარი დაიწყო სიმბოლურ ნიშანზე, ამ შემთხვევაში ორ ცხრიანზე. 9 აპრილის დროს ქუჩაში გამოსული საზოგადოება აქტიურად ავლენდა პარალელს 9 მარტთან, რადგან ამ ორ მოვლენას საერთო ბევრი ჰქონდა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ოთარ ჭილაძის „აველუმში“ 9 მარტსა და 9 აპრილს განვითარებულ მოვლენებს შორის კავშირი კარგად არის აღწერილი, თუმცა უნდა ითქვას, რომ საბოლოოდ მათი დაკავშირება მაინც ვერ მოხერხდა. არის მოსაზრება, რომ 9 აპრილისგან განსხვავებით მარტში მომხდარი პროცესი ასოცირებულია არა საბჭოთა წინააღმდეგ არსებულ გამოსვლებთან, არამედ უშუალოდ სტალინის კულტის დაცვასთან, რასაც ინტერვიუში ადასტურებს აქციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გრიშა ონიანი, აგრეთვე ლიტერატურათმცოდნე და ისტორიკოსი ლაშა ბაქრაძე თავის გამოსვლაში ამბობს, რომ მარტში მომხდარი მოვლენა არანაირად არ იყო ეროვნული სულსკვეთების, არც მოუთხოვიათ რაიმე ეროვნული, უბრალოდ იყო გამოსვლები სტალინის კულტის შეურაცხყოფის წინააღმდეგ. თუ ეს მართალია, მაშინ სტალინის დასაცავად გამართული მიტინგები და თავად სტალინი, რომელიც ახლა საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის აღქმულია ცივისსხლიან, დაუნდობელ ბელადთან, რომელმაც შექმნა საშინელი წყობა და შეინირა უამრავი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე, ლოგიკურია ვერ იქცა 90-იანების შედეგ არსებული თაობებისთვის კოლექტიურ ტრავმად ჩამოყალიბების მიზეზი (Connerton, 2008).

თუმცა უფრო მნიშვნელოვანი მიგნება თუ რატომ ვერ ჩამოყალიბდა 1956 წლის 9 მარტს მომხდარი ტრაგედია კულტურულ ტრავმად, უფრო მეტად უნდა ვეძებოთ პიერ ნორასთან, რომელმაც შექმნა თეორიული ჩარჩო და მესხიერების ადგილებს მიანიჭა უმნიშვნელოვანესი როლი. რაც შემდგომ სოციოლოგებმა არა ერთხელ დაადასტურეს და თქვეს, რომ კულტურული რეპრეზენტაციის მეშვეობით უნდა მოხერხდეს მესხიერებაში მოვლენათა შენახვა, რადგან შესაძლებელი გახდეს კოლექტიური სახით მანამდე დათრგუნული საერთო ტრაგედიის გამოხატვა, ამისთვის კი გვჭირდება ნორას მიერ შემოთავაზებული სიმბოლური (დღესასწაულები, იუბილევები, რიტუალები), მონუმენტური (მონუმენტები, საფლავები, ნაგებობები) და ფუნქციური მესხიერების ადგილები (მუზეუმები, ადამიანთა ავტობიოგრაფიები), რომელიც სამწუხაროდ 9 მარტს მომხდარ მოვლენაზე არ შექმნილა 35 წლის განმავლობაში. 90-იანებიდან მართალია იწყება საკითხზე მსჯელობა, თუმცა დაგვიანებულმა პროცესმა განაპირობა ის, რომ დღესაც მწირე ინფორმაცია მოიპოვება 9 მარტს მომხდარ ტრაგედიაზე. სწორედ ამიტომ, მესხიერების ადგილების არარსებობის გამო ვერ მოხერხდა მოვლენის კოლექტიურ ტრავმად ჩამოყალიბება, რადგან მათი საერთო განცდის გამოხატვითი ატრიბუტები არ არსებობდა. შედეგად ვერ ჩამოყალიბდა დომინანტური ნარატივი და ნაცვლად მივიღეთ ინდივიდუალური ნარატივი, რომელიც ვერ დაუკავშირდა სოციალურ კონტექსტს და აღქმული იქნა, როგორც რამდენიმე ინდივიდის პრობლემა (Nora, 1989).

პიოტრ შტომპკას აზრით კოლექტიური ტრავმა უნდა გამოიწვიოს რამდენიმე მიზეზმა: პირველი- მოვლენა უნდა იყოს სწრაფი და მეტად მწვავე, მეორე-ცვლილება უნდა შეეხოს და მოიცვას საზოგადოების ფართო ფენები და ცხოვრების მრავალი სფერო, მესამე-ცვლილება უნდა იყოს რადიკალური და ფუნდამენტური, და მეოთხე-იგი საზოგადოებისთვის უნდა იყოს წარმოუდგენელი და დაუჭერებელი, რომელიც შემდგომში შოკისმოგვრელი გამოდგება მათთვის. რეალურად 1956 წლის 9 მარტის მოვლენები არ შეეხებია საზოგადოების ფართო ფენებსა და ცხოვრების მრავალ სფეროს, არ გამოუწვევია ფუნდამენტური ცვლილებები და მეტიც არ ყოფილა წარმოუდგენელი მოსახლეობისთვის, რადგან მსგავსი ქმედებები სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობას უკვე არაერთხელ ენახა. სწორედ ამიტომაც ვერ მოხერხდა მოვლენის როგორც კოლექტიურ ტრავმად აღქმა და ჩამოყალიბება (Sztompka, 2004).

რაც შეეხება ჯეფრი ალექსანდერს, იგი საუბრობს კოლექტიური ტრავმისთვის საჭირო ნარატივების მახასიათებლებზე და ამბობს, რომ აუცილებელია ნარატივმა ასახოს მოვლენა და აჩვენოს რა მოხდა, აგრეთვე მნიშვნელოვანია არსებულმა ნარატივმა მკვეთრად დაგვანახოს დაზარალებული ჯგუფი, საჭიროა ნარატივი აჩვენებდეს ტრავმის მასშტაბურობას, საუბარია იმაზე, თუ საზოგადოების რა ნაწილზე მოახდინა მან გავლენა, ეს არის ერთი კონკრეტული ჯგუფი, თუ მთელი საზოგადოება და აგრეთვე მნიშვნელოვანია ნარატივმა აჩვენოს დამნაშავე, თუ ვინ უნდა აგოს პასუხი (Alexander, 2004). თუმცა არც ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ რომ

9 მარტის ტრაგედია არის კოლექტიური ტრაგედია, რადგან მაშინდელმა ხელისუფლებამ ამგვარ ნარატივებს არ მისცა ჩამოყალიბების უფლება. ნარატივის შექმნაც ხომ შემქმნელთა ხელთ არსებულ რესურსებზე და მოკიდებული, შესაბამისად ვის ხელშიც არის მეტი საშუალება ტრაგემის უფრო ეფექტიანი ნარატივის შესაქმნელად ის გამოდის გამარჯვებული (ამ შემთხვევაში ხელისუფლების წარმომადგენლები). სწორედ ამიტომ, ალექსანდერთანაც შტომკას მსგავსად ვერ შეძლო მოვლენამ ფართო მასებისთვის გამხდარიყო საერთო ტრაგედია, ვერ მოხერხდა დამნაშავესა თუ მსხვერპლთა მკაფიო გამოკვეთა, რადგან ტრაგედიის შემქმნელები თავად ხელისუფლებაში მყოფები იყვნენ და საკუთარ თავს არ გაასამართლებდნენ დანაშაულისთვის. ამიტომ ყველაფერს აკეთებდნენ, რომ ზოგადად ამ საკითხზე საუბარი თუ მსჯელობაც ტაბუირებული ყოფილიყო, ამაზე უშუალოდ პროცესებში მონაწილე ჯემალ შანიძე საუბრობს რადიო თავისუფლებასთან მიცემულ ინტერვიუში და ამბობს, რომ უშიშროების კომიტეტმა მსხვერპლების დასაფლავებაც კი ჩემად გააკეთა (მათ შორის საკუთარი ძმა თენგიზ შანიძეც იგულისხმება) „თვითონ გამოასვენეს, თვითონ გათხარეს საფლავი... ჩვენთვის არავის არაფერი უკითხავს. კაციშვილის ჭაჭანება არ იყო ვაკის სასაფლაოზე. საყლოანეული, გრძელლაბადიანი „თანამშრომლები“ იდგნენ სასაფლაოზე ალაგ-ალაგ“ (რეხვიაშვილი, 2010). ამგვარი პოლიტიკა სამწუხაროდ წარმატებით გაგრძელდა საბჭოთა რეჟიმის დაშლამდე.

დასკვნა

ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე ვხვდებით ისეთ მოვლენებს, რომლებმაც ვერ შეძლეს კოლექტიურ ტრაგედია ჩამოყალიბება, რადგან ვერ იქცნენ საზოგადოების დიდი ჯგუფის საზიარო მესხიერების ნაწილად. ამას სხვადასხვა მიზეზები აქვს, ერთის მხრივ შესაძლოა შემდგომში მომხდარმა ტრიუმფალურმა თუ ტრაგიკულმა მოვლენებმა გადაფაროს ხოლმე არსებული ტრაგედია, ხოლო მეორეს მხრივ, შესაძლოა ვერ მოხერხდეს საზოგადოების მხრიდან წლების განმავლობაში მასზე საუბარი და იმ განცდისა თუ ტკივილის ამოთქმა და სხვებისთვის გაზიარება, რომელიც ამ შემთხვევაში საერთოა მათთვის. სწორედ ამიტომ ვერ შეძლო 1956 წლის 9 მარტს მომხდარმა ტრაგედიამ ჩამოყალიბებულიყო კოლექტიურ ტრაგედია, რადგან 9 მარტის საკითხი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში, მის დაშლამდე ტაბუირებული იყო. ვერ მოხერხდა მესხიერების ადგილების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობდა კოლექტიური იდენტობის გამძაფრებას, დროულად ვერ დაიწყო მომხდარზე საუბარი, არ დაწყებულა რთული ვითარებიდან თავის დაღწევის მეთოდებზე საუბარი, მედიაში არ მომხდარა რეალური ამბების გავრცელება, რაც გაზეთების გაანალიზებისას დადგინდა და არ უპოვია მომხდარს გამოხატულება ფილმებში, ლიტერატურასა თუ ხელოვნებაში, რამაც გამოიწვია მის კოლექტიურ ტრაგედია ვერ ჩამოყალიბება.

კითხვაზე პასუხის დადგენაში, შეძლო თუ არა 1956 წლის 9 მარტის მოვლენამ კოლექტიურ ტრაგედია ჩამოყალიბება დაგვეხმარა პიერ ნორასა და ჯეფრი ალექსანდერის მიერ შექმნილი

კონცეფცია. ალექსანდერი აღნიშნავს, რომ კოლექტიური ტრავმის ჩამოყალიბებას თან უნდა უძღოდეს ამბის რეალური თხრობა, განცდილი ტკივილის მწვავე გამოვლინება, მკაფიოდ გამოკვეთილი დამნაშავე და მსხვერპლი, აგრეთვე ტრავმის მასშტაბურობა, რომელიც ჩვენი კვლევის დროს ბუნდოვანი აღმოჩნდა, რადგან ის თვისებები რაც ალექსანდერის თქმით კოლექტიურ ტრავმას უნდა სდევდეს თან 9 მარტის ტრაგედიის შემთხვევაში არ ჩამოყალიბებულა. რაც შეეხება პიერ ნორას იგი ტრავმის გამომწვევ მთავარ ატრიბუტად სიმბოლურ, მონუმენტურ და ფუნქციურ მესხიერების ადგილებს ასახელებს, რომელიც 9 მარტის შემთხვევაში დროულად ვერ შეიქმნა და ტრაგედიამ ადგილი ვერ დაიღო ლიტერატურაში, მუზეუმებში, მხატვრობასა თუ ისტორიულ არტეფაქტებში. მართალია, 35 წლის შემდეგ, 90-იანი წლების დასაწყისში გადაიღეს დოკუმენტური ფილმი, დაწერეს რამდენიმე წიგნი, თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, რადგან მანამდე თემის ტაბუირება და ტრაგედიის ვერ ამოთქმამ გამოიწვია მოვლენის კოლექტიურ ტრავმად კი არა, ადამიანთა მცირე ნაწილის პრობლემად ჩამოყალიბება.

გამოყენებული ლიტერატურა

აკადემია, ა. (2022, აპრილი 13). 1956 წლის მარტი - სტალინისტური თუ ანტისაბჭოთა გამოსვლები? (ლ. ბაქრაძე, Interviewer) <https://www.youtube.com/watch?v=Rm57zahajIo>

არქივი, ს. შ. (Director). (2017). 9 მარტი- სისხლიანი თბილისი [Motion Picture]. <https://www.youtube.com/watch?v=IcLJdJmjIaM>

არხი, პ. (2016, მარტი 9). რა მოხდა 1956 წლის 9 მარტს? (დ. შველიძე, Interviewer) <https://www.youtube.com/watch?v=9u3bXIRIAP8>

არხი, პ. (Director). (2018). ხანმოკლე XX საუკუნე - 1956 [Motion Picture]. <https://www.youtube.com/watch?v=jdLRjBPMRt0>

არხი, პ. (Director). (2021). პიროვნების კულტი და 9 მარტის მოვლენები [Motion Picture]. <https://www.youtube.com/watch?v=lsmJ0LY910A>

დროშა, გ. (1956). მტკიცედ მოკვიდოთ ხელი მელორეობის განვითარებას. თბილისი.

ვეფხვაძე, გ. (2001). 9 მარტი, 1956 კადრში და კადრგარეთ. თბილისი: მარჯი. <https://www.youtube.com/watch?v=-rC9AnrIg-U>

იაგორაშვილი, ი. (2021). როგორ აშუქებდა 1956 წლის 9 მარტის მოვლენებს საბჭოთა პრესა. თბილისი: მითების დეტექტორი.

იაგორაშვილი, ი. (2021). როგორ აშუქებდა 1956 წლის 9 მარტის მოვლენებს საბჭოთა პრესა. თბილისი: მითების დეტექტორი.

ივანე წერეთელი, ნ. ჩ. (2022). საქართველო: ტრავმა და ტრიუმფი დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე. თბილისი: სამშობლო.

ინსტიტუტი, ი. თ. (2018). საარქივო მასალების კვლევა და გამოცემა - 1956 წლის 5-9 მარტის მოვლენები საქართველოში. თბილისი: საქართველოში შვეიცარიის საელჩოს დაფინანსებით.

კომუნისტი. (1956). სტალინის გარდაცვალების მესამე წლისთავი. თბილისი.

მამულაშვილი, გ. ვ. (Director). (1993). 9 მარტი 1956 [Motion Picture].

ნოზაძე, შ. (2010). 1956 ტრაგიკული მარტი. თბილისი: მერანი.

ოლივერ რაისნერი, ე. კ. (2022). "ოქროსფერი ან ვარდისფერი"-სტალინი როგორც კონფლიქტური მესხიერების ადგილი. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

- ონიანი, გ. (2020, აპრილი 30). 1956 წლის 9 მარტის სისხლიანი მოვლენების ქრონიკა . (ი. ხვიჩია, Interviewer) <https://www.youtube.com/watch?v=ODRaeoDVOnE>
- რეხვიაშვილი, ჯ. (2010). 1956 წლის მარტის ტრაგედია. თბილისი: რადიო თავისუფლება.
- სუნი, რ. გ. (2022). ქართველი ერის ჩამოყალიბება. თბილისი: ზიარი.
- შირაქი, ა. (1956). სტალინის გარდაცვალების შესამე წლისთავი. თბილისი.
- შრომა, ვ. (1956). რაიონის მშრომელები პატივს სცემენ სტალინის შრომას. თბილისი.
- ჩიქოვანი ნ. (2022). სალექციო კურსი "ისტორიის აღქმა და რეპრეზენტაცია. „ლექცია 7. კულტურული ტრავმა და კოლექტიური მეხსიერება“. გვ.4 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- წყალტუბო, ა. (1956). გავაჩაღოთ სოციალური შეჯიბრება სოფლად. თბილისი.
- ხევი, ა. (1956). დიდი სტალინი. თბილისი.
- ჯაფარიძე, ნ. (2016). 1956 წლის 9 მარტის “მოლოტოვის კოქტეილი. თბილისი: ისტორიანი.
- Alexander, J. (2004). Cultural Trauma and Collective identity. Los Angeles: University of California Press.
- Assmann, A. (2006). Memory, Individual and Collective, in Contextual Political analysis. Oxford University Press.
- Assmann, A. (2012). In A. A. Shortt, To Remember or to forget: Which way out of a shared History of violence? (pp. 53-71;98). New York: Palgrave Macmillan.
- Connerton, P. (2008). Seven Types of Forgetting. Memory Studies.
- Erikson, K. T. (1995). Notes on trauma and community. In C. Caruth (Ed.), Trauma: Explorations in Memory (pp. 183-199). Baltimore, Maryland: Johns Hopkins University Press
- IMEDI, T. (Director). (2017). გრიფით საიღუმლო - 9 მარტი [Motion Picture]. <https://www.youtube.com/watch?v=e2lB6ekCXfc>
- Nora, P. (1989). Between Memory and History: Les Lieux de Memorie. Special Issue: Memory and Counter-Memory.
- Sztompka. (2004). The Trauma of social change.



სტატუსშეჩერებული სტუდენტების სწავლის მითოვების (drop out) მიზეზების კვლევა თბილისის 4
სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე

მაგდა სარჯველაძე
არჩილ წივილაშვილი

პოლიტიკის მეცნიერებისა და სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Email: archil.tsivilashvili130@sps.tsu.edu.ge
magda.sarjeladze918@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

დღევანდელ ქართულ რეალობაში სტატუსშეჩერებული სტუდენტები, ფაქტობრივი შედეგია ყველა იმ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემისა, რომლებიც სტუდენტებს აქვთ. ამასთანავე, რთულია ზუსტი სტატისტიკური მონაცემების მოძიება მათი რაოდენობის შესახებ. მაგალითისთვის, განათლების სამინისტროს ინფორმაციით 2020 წლის პირველი ნოემბრის მდგომარეობით, სტატუსი 73 020 სტუდენტს აქვს შეჩერებული, მათგან 29 306 სტუდენტს ფინანსური დავალიანების გამო, რაც საერთო რაოდენობის 40.1%-ია (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2020).

რაც შეეხება გასულ წლებს, 2019 წელს სტატუსი 70 239 სტუდენტს ჰქონდა შეჩერებული, ხოლო 2018 წელს - 64 898 სტუდენტს. აღნიშნული ტენდენცია წლების განმავლობაში მზარდია. დასახელებულ პერიოდში შეინიშნებოდა რაოდენობის საშუალოდ 2000-დან 5000-მდე ზრდის ტენდენცია, ხოლო 2018 წლის მონაცემთან მიმართებით - 10 547-ით ზრდა, რაც ბოლო 5 წლის განმავლობაში, ყველაზე მაღალ მაჩვენებელს წარმოადგენს (barristers.ge, 2018).

საკითხის აქტუალობასა და მის პრობლემურ ბუნებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ბოლო დროს გახშირებულია სტუდენტების მხრიდან საგანმანათლებლო სისტემაში უთანასწორობასთან დაკავშირებული პროტესტი, რომელიც ერთგვარი გამოძახილია სტატუსჩერებულ სტუდენტთა პრობლემებისა. საქართველოში მოქმედი უნივერსიტეტების ბიუჯეტი ერთი შეხედვით საკმაოდ დიდია, თუმცა, თუ უფრო დეტალურად შევხედავთ, აღმოვაჩინოთ, რომ არა მხოლოდ კერძო, არამედ სახელმწიფო უნივერსიტეტებშიც ბიუჯეტის მთავარი წყარო სტუდენტის მიერ გადახდილი სწავლების საფასურია, რაც, მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროპულ ანალოგებს. დღეს საქართველოში, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, წლიური სწავლების საფასური 2250 ლარია, რაც, დაახლოებით 800 დოლარს შეადგენს, ეს ძალიან მცირე თანხაა იმისათვის, რათა ხარისხიან განათლებაზე ვიმსჯელოთ. თავის მხრივ, სახელმწიფო არ/ვერ ზრუნავს საუნივერსიტეტო განათლების გარე დაფინანსების ზრდასა და მხარდაჭერაზე და სახელმწიფო უნივერსიტეტების ბიუჯეტებში მხოლოდ რამდენიმე პროცენტის დაფინანსებით შემოიფარგლება. დაფინანსების ამგვარი მოდელის პარალელურად, მზარდი სოციალური უთანასწორობა და ინფლაცია, კიდევ უფრო ზრდის უთანასწორო გარემოს და იწვევს სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობის ზრდას.

ვინაიდან და რადგანაც, მოცემული თემა ნაკლებად არის შესწავლილი, გადავწყვიტეთ კვლევა სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა საკითხზე ჩაგვეტარებინა, რომლის მიზანიც იქნებოდა შეგვესწავლა უმაღლეს განათლებაში სწავლის მიტოვებისა და სტუდენტის სტატუსის შეჩერების (drop out) მიზეზები. კვლევა თავისი არსით აგებულია სოციალურ მეცნიერებათა თვისებრივი კვლევის მეთოდებზე. კერძოდ, გამოყენებულია დოკუმენტების ანალიზი - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის - მონაცემთა ბაზა და საქართველოს ღია მონაცემების ლაბორატორია.

კვლევის პროცესში მიზნობრივი შერჩევის საფუძველზე ჩატარდა ნახევრად-სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტების სტატუსშეჩერებულ სტუდენტთან, სტუდენტურ მოძრაობასა და განათლების საკითხით დაინტერესებულ

ექსპერტ/მკვლევრებთან. კვლევა აგებულია პროცესის თეორიისა და უილიამ სპეიდის სწავლის მიტოვების ახსნა-განმარტებითი მოდელის მიხედვით.

ორივე თეორია ყურადღებას ამახვილებს სტუდენტის მიზნებსა და სტატუსის შეჩერების განმაპირობებელ ფაქტორებზე, თუმცა, ვინაიდან მათ მიერ დასახული სქემა მათი რეალობის მოდელს წარმოადგენდა, ამ მხრივ საინტერესო იყო, როგორ "გადმოითარგმნებოდა" და მოერგებოდა ისინი ქართულ რეალობას. მოცემული კვლევით შეფასდა ის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორები, რომლებიც დღევანდელ რეალობაში ხელს უშლის სტუდენტს, რათა მიიღოს მისთვის სასურველი განათლება, ისე, რომ გარეგანმა ფაქტორებმა მას ხელი ვერ შეუშალოს. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა ცხადყოფს, რომ ინფლაციის მაღალი მაჩვენებელი პირდაპირპროპორციულად ზემოქმედებს აქტიური სტუდენტის სტატუსის შეჩერებაზე, თუმცა, ამ საკითხში მხოლოდ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა არ დგას დღის წესრიგში, არამედ არასრულყოფილი ინფორმაციის ან ოჯახის ზეგავლენით მიღებული გადანყვეტილებაც, რომლის გამოც სტუდენტის მიერ ხდება არჩევნის სისწორის ეჭვქვეშ დაყენება, და ბოლოს, დღეის მდგომარეობითა და ინტერვიუებზე დაყრდნობით გამოვლინდა, რომ სტუდენტებისთვის სტუდენტობა არის მიზანი და არა საშუალება, ნაკლებად ფიქრობენ შრომის ბაზარზე რა პერსპექტივები აქვთ. ვფიქრობთ, კვლევა მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს როგორც სახელმწიფოს, ისე უნივერსიტეტს, სტატუსშეჩერებულ სტუდენტებსა და სტუდენტთა პრობლემებით დაინტერესებულ მკვლევრებს.

საკვანძო სიტყვები: სტატუსშეჩერებული სტუდენტები, სახელმწიფო, სახელმწიფო უნივერსიტეტები,

შესავალი

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, მეცნიერული, თუ სხვა სახით განვითარება, პირდაპირ დაკავშირებულია ახალგაზრდებთან, უფრო ზუსტად კი, სტუდენტებთან. თუმცა, ხშირად ისე ხდება, რომ აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებს უწევთ, სტატუსის შეჩერება, რაც სხვადასხვა სახის მიზეზებითაა გამოწვეული. გამომდინარე იქიდან, რომ საკითხი ნაკლებად პოლიტიზირებულია, მედიის ყურადღების ცენტრში ნაკლებად ექცევა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საკითხი აქტუალურობას არ კარგავს, გამომდინარე იქიდან, რომ აქტიური სტატუსის შეჩერება გამოწვეულია ისეთი რთული პრობლემებით, რომელიც საზოგადოების დიდ ნაწილს აწუხებს.

სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები ჯერ კიდევ ყველაზე დიდ გამოწვევად რჩება, რაც ყველაზე მთავარია, მათი კავშირი ორმხრივია. ერთი მხრივ, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელია ქვეყანაში მეტი სტატუსშეჩერებული სტუდენტისა, ხოლო მეორე მხრივ, მეტი სტატუსშეჩერებული სტუდენტი უდრის ქვეყანაში მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, რადგანაც სწორედ სტუდენტების მიერ, უნდა მოხდეს ე.წ „შეხება“, „თაობათა ცვლა“ სხვადასხვა სახის საჯარო თუ კერძო სამსახურებისა, და თუ ეს ასე არ ხდება, ცალსახად, ახალგაზრდის წილი აქტიურ, შრომით საქმიანობაში უფრო იკლებს, რაც ეკონომიკურ სიღუბეჭირეს

კიდევ უფრო ზრდის. ამასთანავე, საკითხის აქტუალობას ადასტურებს სტუდენტთა პროტესტიც, სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაწყებული პროტესტი საერთო საცხოვრებლის აშენების მოთხოვნით, ერთგვარი გამოძახილია სტატუსჩერებულ სტუდენტთა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებისა (radiotavisupleba.ge, 2022).

გარდა ამისა, საკითხის აქტუალობაზე მეტყველებს ისიც, რომ სტატუსჩერებული სტუდენტების რაოდენობა მზარდია. წლების განმავლობაში კი, ეს ყველაფერი ერთგვარი ტენდენციის სახეს იღებს. მაგალითისთვის, 2020 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით, სტატუსი 73 020 სტუდენტს აქვს შეჩერებული, რაც შეეხება გასულ წლებს, ნოემბრის თვის მონაცემით, 2019 წელს სტატუსი 70 239 სტუდენტს ჰქონდა შეჩერებული, ხოლო 2018 წელს - 64 898 სტუდენტს, სატატუსჩერებულ სტუდენტთა რაოდენობა 19 717-ით გაიზარდა (სუხიაშვილი, 2021). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სტუდენტთა მიღება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ბევრად აღემატება კურსდამთავრებულთა რაოდენობას, განსაკუთრებით კი, სახელმწიფო უნივერსიტეტებში. მაგალითისთვის, 2016-17 წლის სასწავლო წელს, სახელმწიფო უნივერსიტეტებში მიღებულ სტუდენტთა რაოდენობა 16 541 შეადგენდა, ხოლო ამავე 2016 წელს კურსდამთავრებულთა რაოდენობამ - 9852 შეადგინა (datalab.ge, 2019).

აგრეთვე, საკითხის პრობლემურ ბუნებას ხაზს უსვამს კიდევ ერთი გარემოება, ე.წ - „ტვინების გადინება - Brain drain“. საქართველოს ღია მონაცემების ლაბორატორიის (DataLab) მიხედვით, მიზეზმა - აქტიური სტატუსის შეჩერება საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლის გამო 2013-2019 წლებში, მაქსიმუმს 2013 წელს - 280-ს მიაღწია, მას შემდეგ კი დაღმასვლას განიცდის. ახალგაზრდების, სტუდენტების გადინება საზღვარგარეთ უკეთესი ანაზღაურების გამო და დასაქმების უკეთესი პერსპექტივით, აშკარად აღემატება საზღვარგარეთ სწავლის გასაგრძელებლად წასულთა რაოდენობას. შესაბამისად, გრძელვადიან პერსპექტივაში, გარდა იმისა, როგორც თავში ვახსენეთ, რომ ქვეყანა ვერ მიიღებს „შევსებას“ საჯარო და კერძო სამსახურებში, ასევე, ის დაკარგავს იმ მცირე პროცენტულ წილსაც, რომელმაც ქვეყნის ინტელექტუალურ, საგანმანათლებლო დონეზე, გადამწყვეტი გავლენა უნდა იქონიოს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკითხი დღესაც აქტუალურია, რაც გამოწვეულია ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობებით, სტატუსჩერებულ სტუდენტთა მზარდი რაოდენობითა და საფრთხისშემცველი გარემოებებით, რომლებიც უბიძგებენ სტუდენტებს, შეიჩერონ აქტიური სტუდენტის სტატუსი და დატოვონ ქვეყანა.

კვლევის მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავდა შეგვესწავლა უმაღლეს განათლებაში სწავლის მიტოვებისა და სტუდენტის სტატუსის შეჩერების (drop out) მიზეზები.

სწორედ ამ მიზნიდან გამომდინარე ფორმირდა საკვლევი კითხვებიც:

1. რა შესაძლო ეკონომიკური ფაქტორები უბიძგებს სტუდენტებს შეიჩერონ აქტიური სტუდენტის სტატუსი?

2. რა შესაძლო სოციალური ფაქტორები ზემოქმედებენ აქტიური სტუდენტის სტატუსის შეჩერებაზე?

კვლევა თავისი არსით აგებულია სოციოლოგიური კვლევის თვისებრივ მეთოდზე, რომლის ფარგლებშიც მონაცემთა მოპოვების გზით გამოყენებულია დოკუმენტების ანალიზი, კერძოდ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის - მონაცემთა ბაზა და საქართველოს ღია მონაცემების ლაბორატორია. მიზნობრივი შერჩევის გზით, საკვლევი თემა მოვარგეთ თბილისის 4 სახელმწიფო უნივერსიტეტს: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ვინაიდან ქვეყნის მასშტაბით მოცემული უნივერსიტეტები სტუდენტებში დიდი პოპულარობით სარგებლობს, გარდა ამისა, წლიურად და რიცხობრივად სწორედ მოცემულ უნივერსიტეტებში ირიცხებიან დიდი რაოდენობით სტუდენტები, რაც ზრდის იმის ალბათობას, რომ მათ სხვა კერძო უნივერსიტეტებთან შედარებით ბევრად მეტი სტატუსშეჩერებული სტუდენტი ეყოლებათ.

თბილისის ოთხივე სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ვეცადეთ გამოგვეთხოვა ინფორმაცია სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა რაოდენობის შესახებ, თუმცა, უკუკავშირი მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მივიღეთ, რაც შეეხება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა რაოდენობას, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის შედეგებით ვიხელმძღვანელოთ. სამეცნიერო კვლევის პროცესში არააღბათური, მიზნობრივი შერჩევის საფუძველზე ჩატარდა 24 ნახევრად-სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუ:

20 სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტების ბაკალავრის საფეხურზე მყოფ 20 სტატუსშეჩერებულ სტუდენტთან, თითოეული უნივერსიტეტიდან 5 სტუდენტი გამოიკითხა, რომელთა საშუალო ასაკი 20 წელს წარმოადგენდა, რაც შეეხება მათ სქესობრივ განაწილებას, ამ მხრივ შეირჩა 10 მამრობითი და 10 მდედრობითი სქესის წარმომადგენელი ყოფილი სტუდენტი.

აქვე, მიზნობრივი შერჩევის გზით ორი ინტერვიუ ჩატარდა სტუდენტური მოძრაობის წარმომადგენელთან (“მაისის სტუდენტური მოძრაობა“, ”ნაბიჯი“), ვინაიდან 2022 წელს მათ მიერ სტუდენტთა პრობლემების გადაჭრის გზით უნივერსიტეტების წინ დაანონსებული აქციები აქტიურად უღერდება საზოგადოებაში (radiotavisupleba.ge, 2022), ამასთანავე ისინი ხშირად გამოდიან სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა სახელით, ვფიქრობდით, რომ სტუდენტებზე საინტერესო და ხელჩასაჭიდი ინფორმაცია აღმოაჩნდებოდათ, ამ მხრივ კი, მათი აზრი კვლევისთვის მნიშვნელოვანი იყო.

და ბოლოს, ექსპერტული შერჩევის საფუძველზე, ჩატარდა ორი ნახევრად-სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუ განათლების ექსპერტებთან, რომლებიც ამ საკითხში შეირჩნენ სპეციფიკური კვალიფიკაციისა და მათ მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციების შედეგად, რომლებიც

ეხებოდა უმაღლესი განათლების პოლიტიკასა და სტუდენტების სოციო-ეკონომიკური გამოწვევების საკითხებს. აქვე, კიდევ ერთ, მთავარ მახასიათებელს წარმოადგენდა მათი მუშაობის გამოცდილება საუნივერსიტეტო სივრცეში სტუდენტებთან, ვინაიდან, ყველაზე უკეთ ეცოდინებოდათ სტუდენტების აკადემიური მოსწრებისა და საგანმანათლებლო სივრცის მთავარი გამოწვევების შესახებ. მათ ისაუბრეს ქვეყნის დღევანდელ ეკონომიკურ მდგომარეობასა და სტუდენტთა სწავლის მიმართ დამოკიდებულებაზე, ასევე მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და არჩევანის სისწორეზე.

რაც შეეხება თავად ინტერვიუებს, სტატუსშეჩერებულ სტუდენტებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუს ხანგრძლივობა საშუალოდ შეადგენდა 45 წუთს, განათლების ექსპერტებთან 1სთ-ს, ხოლო, რაც შეეხება სტუდენტურ მოძრაობებს, მათგან საკვლევ კითხვებზე პასუხები წერილობითი სახით მივიღეთ.

კვლევა ეთიკური პრინციპების დაცვით ჩატარდა, რაც უპირველესად გულისხმობს კვლევის განხორციელების მიზანშეწონილობას. ვფიქრობთ, იგი სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა პრობლემებზე ღირებულ ინფორმაციას აწვდის მკითხველს. მეორე მხრივ, საკითხი სარგებლიანობას ეხება, რაც გულისხმობს, სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის დახმარების განწევას, იმის თაობაზე, რომ მათი ხმა ჩვენი სამეცნიერო კვლევის მეშვეობით ღიად გაჟღერდება, რაც საშუალებს მისცემს, როგორც უნივერსიტეტებს, ისე სახელმწიფოს, დაიწყონ ფიქრი მრავალწლიანი პრობლემის აღმოფხვრასთან დაკავშირებით. ასევე უმნიშვნელოვანესი საკითხია ინტერვიუების პროცესში ინფორმირებული თანხმობის მოპოვება. ვინაიდან ეთიკური სტანდარტების დაცვა მოითხოვს, კვლევის ფარგლებში რესპონდენტისთვის კვლევისასთან დაკავშირებული სიმართლის თქმას - არ ყოფილა პრეცედენტი იმისა, რომ რესპონდენტებისთვის კვლევის მიზანი დაგვემალა, შესაბამისად ინტერვიუები ნებაყოფლობითი თანხმობის პირობებში ჩატარდა. აქვე, როგორც ეთიკური პრინციპები მოითხოვს, ვიცავთ გამოკითხული რესპონდენტების კონფიდენციალურობას და არ ვასახელებთ მათ ვინაობას.

კვლევის მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა

ვიმედოვნებთ, მოცემულ კვლევას პრაქტიკული ფუნქცია ექნება სამიზნე ჯგუფის წევრებისთვის და მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა პრობლემების გასაჭაროებასა და მათ შემსუბუქებას. რაც შეეხება პოლიტიკის შემქმნელებს, მათ ვთავაზობთ, იზრუნონ პრობლემების აღმოფხვრაზე, რათა საბოლოოდ შემცირდეს საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებში სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა რიცხოვრივი წილი.

რაც შეეხება **კვლევის შეზღუდვას**, ვინაიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა შესახებ ინტერნეტ სივრცეში ზუსტი რაოდენობის მოძიება ვერ მოხერხდა, ამასთანავე ვერ მივიღეთ უკუკავშირი ამ უნივერსიტეტის კანცელარიის მხრიდან ოფიციალური მიმართვის საფუძველზე, შესაბამისად, თსუ-ს სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა ზუსტი რაოდენობა არ მოგვეპოვება, რაც აღნიშნულია შესაბამისი აბრევიატურით N/A (“არ არის ხელმისაწვდომი”).

აკადემიური ლიტერატურის მიმოხილვა

სტატუსშეჩერებული სტუდენტების კვლევა და მათი ყოველდღიური პრობლემები, რომლებიც საბოლოოდ უბიძგებენ სწავლის მიტოვებისკენ, ცხადია, რომ არახალია. ტრადიციულად, აღნიშნულ თემაზე ჩატარებული კვლევების ძირითადი ნაწილი კონცენტრირდება რამდენიმე მთავარ საფუძველზე, როგორებიცაა: უილიამ სპეიდის სწავლის მიტოვების ახსნა-განმარტებითი მოდელი (Spady's explanatory model of the dropout process) და ვინსენტ ტინტონის, აგრეთვე სწავლის მიტოვების ახსნა-განმარტებითი მოდელი (Tinto's explanatory model of the dropout process) (Kerby, 2015).

საწყის ეტაპებზე, როცა სტუდენტების მიერ სწავლის მიტოვების საკითხი კვლევით სფეროში უფრო და უფრო აქტუალური ხდებოდა, 70-იან წლებში, ძირითად საფუძველს მაინც უილიამ სპეიდი და ვინსენტ ტინტო ქმნიან. მათი გამორჩეული თვისებაა ფოკუსირება სწავლის მიტოვების სოციოლოგიურ ასპექტებზე: ისინი ხაზს უსვამენ როგორც (სოციო-ეკონომიკურ) ინდივიდუალურ ფაქტორებს, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დაკავშირებულ ფაქტორებს (Hadjar; Haas & Gewinner, 2022). უფრო კონკრეტულად, ვინსენტ ტინტოს მოდელი, როგორც სწავლის მიტოვების კონცეპტუალური სქემა, მოიცავს განსხვავებას საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ სისტემასა და სტუდენტის აკადემიურ ინტეგრაციას საგანმანათლებლო დაწესებულების სოციალურ სისტემაში (Hadjar; Haas & Gewinner, 2022). ტინტოს სწავლის მიტოვების ახსნა-განმარტებითი მოდელი შეიძლება ჩაითვალოს, როგორც აკადემიურ და სოციალურ სისტემებს შორის ურთიერთქმედების გრძივი პროცესი, რომელიც მუდმივად იცვლება ინდივიდების მიერ შესრულებული სამუშაოს/პერფორმანსის მიხედვით (აკადემიური საქმიანობა) (Kerby, 2015). შესაბამისად, რათა კონკრეტულმა პიროვნებამ სწორად შეძლოს თავის წარმოჩენა საგანმანათლებლო გარემოში, უკვე საქმეში ერთვება ინდივიდუალური დონის მახასიათებლები. ასე მაგალითად, სოციალურ-ეკონომიკური ფონი, მშობელთა განათლების დონე და სკოლის საშუალო ქულა არის დამატებითი ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება განსაზღვროს სწავლის მიტოვების განზრახვა (Hadjar; Haas & Gewinner, 2022). აღნიშნულმა დამატებითმა ფაქტორებმა კი, შესაძლოა, გადამწყვეტი ზეგავლენა იქონიოს, რადგანაც აბიტურიენტები აბარებენ უნივერსიტეტში სხვადასხვა გამოცდილებითა და ოჯახური წარმოშობით, ეს ყველაფერი კი პირდაპირ და არაპირდაპირ გავლენას ახდენს აკადემიურ მოსწრებაზე (Kerby, 2015). აგრეთვე, ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორი გავლენას ახდენს იმაზე, თუ რამდენად იქნება ჩართული სტუდენტი საგანმანათლებლო პროცესში, რადგანაც, მაგალითისთვის, ჩართულობის ზოგიერთი კონცეფცია (Conceptions Of Engagement) მოიცავს სტუდენტის დამოკიდებულებებს, ხოლო ზოგიერთი კი სტუდენტის დამოკიდებულებებს განიხილავს, როგორც საგანმანათლებლო საქმიანობაში ჩართულობის წინარე პროცესს (Rumberger & Lim, 2008). ამასთანავე, ძალიან მნიშვნელოვანია აღნიშნულ საკითხზე თანამედროვე კვლევების მთავარი ფოკუსი, რადგანაც ზოგიერთი კვლევის თანახმად სწავლის მიტოვებასთან გენდერული ნიშნით განსხვავება არანაირ კავშირში არ არის (Guzmán & Kingston, 2011), ხოლო სხვა კვლევებმა კი პირიქით - აჩვენა არათანაბარი სწავლის

მიტოვების მაჩვენებელი ქალებსა და მამაკაცებს შორის (Conger & Long, 2010). ასევე, საინტერესოა ფსიქოლოგიურ ასპექტებზე ფოკუსირება თანამედროვე კვლევებში - ფსიქოლოგიურმა მოდელებმა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მოიპოვა გავლენა სტატუსშეჩერებული სტუდენტების სწავლის მიტოვების მიზეზების კვლევის სამეცნიერო დისკურსზე. ძირითადი ფსიქოლოგიური მახასიათებლებია ინდივიდუალური მიდრეკილებები, სწავლის შინაგანი მოტივაცია, სწავლის სტრატეგიები, თავდაჯერებულობა, თვითკონტროლი, სოციალური უნარები და უნარი-სტუდენტი გაუმკლავდეს სწავლასთან დაკავშირებულ ზნოლას (Heublein, 2014).

თუმცა, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ნებისმიერი კვლევა აღნიშნულ საკითხზე, ძირითად შემთხვევებში, ახდენს საკითხის მხოლოდ სისტემატიზებას. ანუ, ვერ ხერხდება საკითხის სრულად ან/და დიდი ნაწილის დაფარვა. მიუხედავად იმისა, რომ საკითხი კომპლექსურია, ცალ-ცალკე სოციალურ-ეკონომიკური, ოჯახური, კულტურული, გენდერული და სხვადასხვა ფაქტორების გამოყოფა, ხელს უშლის რეალობის ერთ მთლიანობად აღქმას. საკითხი ვერ იფარება და ვერ ექცევა ერთ მთლიან სისტემაში, რათა დავინახოთ თუ როგორ ურთიერთქმედებენ ელემენტები/ფაქტორები ერთმანეთში.

სტატიის თეორიულ ჩარჩოდ კი გამოყენებულია უილიამ სპეიდის სწავლის მიტოვების ახსნა-განმარტებითი მოდელი (Spady's explanatory model of the dropout process) და პროცესის თეორია (The Process Theory). სპეიდის მოდელი ხსნის, თუ როგორ ხდება სწავლის მიტოვება, ე.წ. drop out - მთავარი მამოძრავებელი ძალა აღნიშნული მოდელისა არის ის, რომ ოჯახური ფონი გავლენას ახდენს აკადემიურ პოტენციალზე. მოდელი ასევე გვთავაზობს, რომ ფართო და უფრო მეტად საზოგადო სპექტრი, მაგალითად, როგორცაა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, პირდაპირ გავლენას ახდენს არა მხოლოდ სტუდენტის სოციალურ ინტეგრაციაზე, არამედ უშუალოდ იმაზე, თუ როგორ სწავლობს ის (GPA). მის მიერ შემუშავებული მოდელის ერთ-ერთი მთავარი თავისებურება ის არის, რომ გამომწვევ მიზეზებს შორის კავშირი, შესაძლოა, იყოს აბსოლუტური. ანუ, საჭირო არაა, რომ კონკრეტულმა სწავლის მიტოვების მიზეზმა გარკვეული გზა განვლოს, ფორმირდეს და ჩამოყალიბდეს, პირიქით, ზოგიერთი მიზეზი, შესაძლოა, პირდაპირ იყოს დაკავშირებული სწავლის მიტოვების გადანყვეტილებასთან. ხოლო პროცესის თეორიის (The Process Theory - Marshall Scott Poole - Andrew Henry van de Ven) მიხედვით, ყველაფერი ეტაპობრივად, იერარქიზებულად ხდება სტუდენტის ცხოვრებაში,

სწორედ ამიტომ, თეორიის ავტორები აღგვიწერენ იმ მოცემულობას, რომელსაც სტუდენტი გადის მანამ, სანამ სტატუსის შეწყვეტის შესახებ მიიღებს გადაწყვეტილებას. ამ მხრივ, ისინი ექვს ძირითად ფაზას სქემისებურად გამოყოფენ, რომლის მთავარი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ სტუდენტს სრული უფლება აქვს, ნებისმიერ დროს შეიჩეროს სტატუსი, იქნება ეს ოჯახური ფონი, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები, მიმართულებისა და სწავლის მიმართ ინტერესის დაკარგვა და ა.შ. აღსანიშნავია ისიც, რომ მარშალ სკოტ პოული და ენდრიუ ვან დე ვენი ყურადღებას ამახვილებენ მოტივაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომელსაც ორ კლასად ყოფენ: პირველი - ინტერესი, არჩევანის სისწორე, პატივისცემა და მეორე - პირადი საკითხები. აქვე ისინი ხაზს უსვამენ სტუდენტების ემოციურ მიჯაჭვულობას მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიმართ

და დასძინენ, რომ არ არის ადვილი ამ მოცემულობის წინაშე მდგარი სტუდენტის ცხოვრება, რადგან ისინი საკუთარ თავთან კონსენსუსს აღწევენ და ამით ახდენენ საბოლოო ვერდიქტის გამოტანას.

დოკუმენტების ანალიზის შედეგები

კვლევის პროცესში უნივერსიტეტებთან ოფიციალური მიმართვის საფუძველზე გამოთხოვილი ინფორმაციით (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი) დადგინდა, რომ 2022 წლის მონაცემებით აქტიური სტუდენტის სტატუსი შეჩერებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის - 6005, ხოლო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის - 6626 ბაკალავრის საფეხურზე მყოფ სტუდენტს, ხოლო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა რაოდენობა, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული სამსახურის 2018 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, 10 384 შეადგენს.

ცხრილი N1


უნივერსიტეტი	სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა რაოდენობა	პროცენტული მაჩვენებელი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	6005	23%
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	6626	30%
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	10 384	31%
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	N/A	—

წყარო: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული სამსახური

საქართველოს ღია მონაცემების ლაბორატორიის მიერ ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით, გამოვლინდა 5 ძირითადი მიზეზი აქტიური სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა. პირველი და ყველაზე მასშტაბური გახლავთ ე.წ სხვა მიზეზი, რომლის პროცენტული რაოდენობა წლების განმავლობაში ცვალებადია და ტოვებს მრავალი ინტერპრეტაციის საშუალებას იმის შესახებ, თუ რას შეიძლება გულისხმობდეს იგი. პროცენტული სიდიდით მეორე - ფინანსური დავალიანებაა, რომელსაც 2013-2019 წლებში მზარდი ტენდენცია აქვს. მესამე მიზეზად ჯანმრთელობის პრობლემები დგას, რომელიც 2013-2015 წლებში გაცილებით დიდ პროცენტულ წილს შეადგენდა, ვიდრე მომდევნო წლებში, თუმცა, საგულისხმოა ისიც, რომ აღნიშნული

სტატისტიკა მოიცავს 2013-2019 წლებს, შესაბამისად, სავარაუდოა, რომ 2020-2021 წლებში, კოვიდ პანდემიის პირობებში, ჯანმრთელობის პრობლემების წილი აქტიური სტუდენტის სტატუსის შეჩერებაში ისევ გაიზარდებოდა.

დიაგრამა N1




წყარო: datalab.ge

სწავლის მიტოვების შესაძლო სოციალ-ეკონომიკური მოტივები

ჩვენ მიერ თბილისის 4 სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსშეჩერებულ სტუდენტებთან ჩატარებული 20 ნახევრად სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუს მიხედვით, იქმნება ე.წ „წრე-ბრუნვა“, ერთმანეთთან კომპლექსურად დაკავშირებული მიზეზების მეშვეობით, რომლებიც ყველაზე ხშირად უღერდებოდა რესპონდენტების მიერ. უმეტეს შემთხვევებში, აქტიური სტუდენტის სტატუსის შეჩერების უპირველეს მიზეზად სახელდებოდა ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ამის შემდეგ, რესპონდენტები, ძირითადად, ყურადღებას ამახვილებდნენ მათ ფინანსურ პრობლემებზე, რაც გულისხმობს ბინის ქირას, ტრანსპორტირებას, ყოველდღიურ კვებასა და სხვა წვრილმან ხარჯებს. ყველაფერ ზემოაღნიშნულს, დაემატა 2020 წელს დაწყებული კოვიდ პანდემია, რა დროსაც, შეიქმნა სხვადასხვა რეალობა (იზოლირებული და სოციალური ცხოვრება), რომელმაც უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში ჩამოაყალიბა სწავლების ორი ფორმა - აუდიტორიული და დისტანციური სწავლება. მათი თქმით, სწორედ ამ

დროს დისტანციურად მუშაობა გახდა ხელმისაწვდომი, თუმცა, ინტერვიუს კოდირების შედეგად გამოვლინდა, რომ აღნიშნულმა შესაძლებლობამ კოვიდ პანდემიის დასრულების პირობებში, წარმოშვა კიდევ ერთი მიზეზი - სტუდენტები იძულებულნი გახდნენ აერჩიათ სამსახური ან სწავლა, თბილისის ოთხივე სახელმწიფო უნივერსიტეტი, დროთა განმავლობაში დაუბრუნდა აუდიტორიულ სწავლებას, ხოლო დასაქმებულებს მოუხდათ დისტანციური რეჟიმის ნაცვლად, უკვე ადგილზე მუშაობა. საინტერესოა, რომ აღნიშნული არჩევანის გაკეთების პროცესში, რესპონდენტები პასუხიმგებლობას აკისრებდნენ უნივერსიტეტებს და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საიდანაც ისინი ან საერთოდ ვერ იღებდნენ, ან იღებდნენ არადამაკმაყოფილებელ პასუხს, რაც სტუდენტებში იწვევდა ნიჰილიზმსა და სრულ უიმედობას, ეს კი პირდაპირ კავშირშია მათ მიერ ყველაზე ხშირად დასახელებულ მიზეზთან - ქვეყნის მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან, რადგანაც იმედგაცრეებული და ნიჰილიზმში ჩავარდნილი სტუდენტის მარგი ქმედების კოეფიციენტი, თითქმის, ნულის ტოლია.

სქემა N1 „წრე-ბრუნვა“



წყარო: ავტორები

კვლევის შედეგები/დისკუსია


1.1 პროცესის თეორია

პროცესის თეორია და ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები, რომელიც სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა სიღრმისეული ინტერვიუების კოდირების შედეგად მივიღეთ, ცხადყოფს, თუ რა ფაზებს გადის სტუდენტი მანამ, სანამ მისთვის არასასურველ ან სასურველ გადანყვეტილებას -

უნივერსიტეტს გარეთ ცხოვრების გაგრძელებას აირჩევს. პროცესის თეორიის მიხედვით, ყველაფერი ეტაპობრივად ხდება. სწორედ ამიტომ, ავტორები, მარშალ სკოტ პოული და ენდრიუ ჰენრი ვან დე ვენი, გვთავაზობენ 6 ძირითად ეტაპს, რომლებსაც სტუდენტი გადის აქტიური სტატუსის შეჩერების გადაწყვეტილებამდე.

პირველ ეტაპზე სტუდენტი იღებს გადაწყვეტილებას თუ რომელ ფაკულტეტზე გააგრძელოს სწავლა, მეორე ეტაპზე კი, ჩვენს მიერ გამოკითხული სტუდენტები აღნიშნავენ, რომ სწავლის კონკრეტული მიმართულებით გაგრძელების შემდეგ ან ეგუებოდნენ, ეჩვეოდნენ საუნივერსიტეტო ცხოვრების წესს, ან ნებდებოდნენ, უარს ამბობდნენ სწავლის გაგრძელებაზე, ისინი სწავლის პარალელურად კონტექსტს აკვირდებოდნენ, მათ ჰქოდათ შექმნილი გარკვეული წარმოდგენები და იწყებოდა მათი გადაფასება, თუ რამდენად შეესაბამებოდა აღნიშნული რეალობა მათ წინასწარ შექმნილ მოლოდინებსა და შთაბეჭდილებებს, რაც პირდაპირ უკავშირდება პოულისა და ვან დე ვენის პროცესის თეორიის მე-5 ფაზას, ხოლო ის სტუდენტები, რომლებმაც სწავლის გაგრძელება არჩიეს, ამბობენ, რომ აღმოჩნდნენ დაბრკოლებების წინაშე, მაგალითად, ვერ აუღეს ალღო სასწავლო პროცესს, გაუჭირდათ სწავლის მეთოდებთან შეგუება, რომლებზეც ზეგავლენა იქონია ემოციურმა ბარიერებმა, რის გამოც მოუხდათ სწავლის შეწყვეტა და აქტიური სტუდენტის სტატუსის შეჩერება.


სქემა N2



1.2 უილიამ სპიდის მოდელი

სპეიდის სწავლის მიტოვების ახსნა განმარტებითი მოდელის ჩვენს მიერ შერჩეულ საკვლევ ჯგუფზე მორგებით, გამოიყო აქტიური სტუდენტის სტატუსის შეჩერების ძირითადი პოსტულატები. აღსანიშნავია, რომ გამომწვევი მიზეზები სქემაში სანყის ეტაპზე ზოგადია, ხოლო რაც უფრო უახლოვდება სტატუსის შეჩერების გადანყვეტილებას, უფრო და უფრო კონკრეტდება. ესე იგი, გამოკითხულთა მიერ დასახელებული ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა და ფინანსური კრიზისი მომდევნო ეტაპებზე იწყებს ჩაშლას, დაკონკრეტებასა და გამწვავებას. მაგალითისთვის, როგორც ისინი ამბობენ, ფინანსური კრიზისი უბიძგებს სამუშაოს დაწყებისკენ, რაც, ძირითად შემთხვევებში, დატვირთულ სამუშაო გრაფიკს ნიშნავს, ეს კი ხელს უშლის მათ სოციალურ ინტეგრაციას საუნივერსიტეტო გარემოში. აღნიშნული მოდელის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება მიზეზებს შორის პირდაპირი, აბსოლუტური კავშირია. მაგალითად, რესპონდენტების მიერ ნახსენები ჯანმრთელობის პრობლემები, შესაძლოა, პირდაპირ იყოს დაკავშირებული აქტიური სტატუსის შეჩერებასთან, ხოლო მეორე მხრივ - ოჯახური ფონი, შესაძლოა, პირდაპირ ვერ დაუკავშირდეს საბოლოო გადანყვეტილებას და საჭიროებდეს დეტალიზებას.

სქემა N3



1.3 სტატუსის შეჩერების მიზეზები: სახელმწიფო პოლიტიკა და უნივერსიტეტის როლი

კვლევის პროცესში, საკითხის უფრო დეტალურად შესწავლისთვის, ჩატარდა ნახევრად სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუები ორი სტუდენტური მოძრაობის („ნაბიჯი“; „მაისის სტუდენტური მოძრაობა“) წარმომადგენლებთან და დარგის ექსპერტებთან. ინტერვიუთა მსვლელობისას, გამოვლინდა ერთმანეთთან დაკავშირებული გამოწვევები, რომელთა კლასიფიცირებაც შესაძლებელია შემდეგნაირად: 1) სახელმწიფო: განათლების ცენტრალიზებული სისტემა, საზოგადოება და პიროვნების უფლებები 2) უნივერსიტეტისა და სტუდენტის პასუხისმგებლობა. მოცემულ გამოწვევებზე ისაუბრეს როგორც სტუდენტებმა, ისე ექსპერტებმა. უპირველესად, რესპონდენტები ფოკუსირდებოდნენ ზოგადად, სახელმწიფოს როლზე, რომელიც ფარავს ქართული საგანმანათლებლო სისტემის ცენტრალიზებული დაგეგმარების პრობლემებს, საზოგადოების განწყობებსა და პიროვნების ფუნდამენტურ უფლებებს.

გამოვლინდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობა. კონკრეტულად, ექსპერტთა მოსაზრებით, არსებული სახელმწიფო უნივერსიტეტთა დაფინანსების მოდელი არასაკმარისია ხარისხიანი განათლების მისაღებად. დაფინანსების ამგვარი მოდელის პარალელურად, მზარდი სოციალური უთანასწორობა და ინფლაცია, კიდევ უფრო ზრდის უთანასწორო გარემოს და ინვესტს ტატუსშიწერებული სტუდენტების რაოდენობის ზრდას:

„სახელმწიფოს დაფინანსების მოდელი, არ უშვებს სახელმწიფო უნივერსიტეტებს მართვის სადავეებიდან და ამით ცდილობს კონტროლის ბერკეტი ჰქონდეს მათზე“

ამასთანავე, სტუდენტური მოძრაობების წევრებმა ყურადღება გაამახვილეს ქართული საზოგადოების ინერტულობასა და მათი მხრიდან სტუდენტთა პრობლემების უგულებელყოფაზე. ისინი აქცენტს აკეთებდნენ, რომ საზოგადოება ნაკლებად ინტერესდება სტუდენტების ისეთი ძირითადი პრობლემით, როგორცაა სტუდენტური საცხოვრებელი:

„რომანტიზებული სტუდენტური ცხოვრების მიღმა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები იმალება, რასაც სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან უპირობო მხარდაჭერა სჭირდება“

აგრეთვე, ყურადღების ცენტრში მოხვდა განათლების ცენტრალიზებული სისტემა და სტუდენტების მიერ დაფინანსების მოპოვების წესი. ექსპერტთა აზრით, დაფინანსება უნდა იყოს მოპოვებადი ყოველი სასწავლო წლის შემდეგ და გამოყოფილი თანხები იყოს მეტად დეცენტრალიზებული და უნივერსიტეტებზე დელეგირებული:

„უნივერსიტეტები თავად უნდა არჩევდნენ პირველსემესტრელებს. ცენტრალიზებული საგამოცდო მოდელი ზღუდავს საუნივერსიტეტო ავტონომიას, რადგან ის ავტომატურად იღებს სტუდენტს“

ინტერვიუს მანძილზე სტუდენტებმა გამოკვეთეს ადამიანის, მოქალაქის, როგორც სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილის, უფლებები:

„დღეს სწავლა პრივილეგია გახდა, ანუ იგი აღარაა ადამიანის ფუნდამენტური უფლება“

ინტერვიუთა მსვლელობისას, უნივერსიტეტისა და სტუდენტის პასუხისმგებლობებზე, როგორც გამონკვევებზე, ისაუბრეს როგორც დარგის ექსპერტებმა, ისე სტუდენტური მოძრაობის წევრებმაც. ამ უკანასკნელთა თქმით, სტუდენტების აზრით, სახელმწიფო უნივერსიტეტების პასუხისმგებლობა დგას მათთვის საინტერესო პროგრამების შექმნისა და მიწოდების კუთხით:

„სახელმწიფო უნივერსიტეტებს სტუდენტებისთვის ახალი და საინტერესო პროგრამების შეთავაზებისა და გაცნობის დიდი პრობლემა აქვს“

ზოგიერთმა ექსპერტმა ჩვენთან საუბრისას ხაზი გაუსვა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მნიშვნელობასა და დონეს, როგორც სტუდენტთა პასუხისმგებლობის ნაწილს. მათ აკადემიური მოსწრება წარმოადგინეს, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორი თუ რატომაც იჩერებენ სტუდენტები სტატუსს, რადგანაც ყალიბდება სტუდენტთა ორი ჯგუფი: ერთნი მაქსიმალურად ცდილობენ ცოდნის-ჩვევებისა და უნარების შეძენასა და დემონსტრირებას, ხოლო მეორენი - სხვადასხვა მიზეზით (პარალელურად მუშაობა, უიმედობა, სიზარმაცე და სხვა), ამას ვერ/არ აკეთებენ:

„უმეტესწილად, აკადემიური მოსწრება არის ან ძალიან მაღალი/მაღალი ან ძალიან დაბალი/დაბალი“

დასკვნა

დასკვნის სახით, ქვეყანაში სტატუსშეჩერებული სტუდენტების მზარდი რაოდენობა, რამდენიმე ფაქტორით შეიძლება ავხსნათ: პირველ ყოვლისა, ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუარესებისა და ინფლაციის მაღალი მაჩვენებლის ფონზე მივიღეთ სტუდენტთა ოჯახების მკვეთრად გაუარესებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რის გამოც, მათ აღარ შეუძლიათ სწავლის საფასურის გადახდა. საცხოვრებელი ფართის ქირა, განსაკუთრებით რეგიონებიდან ჩამოსული სტუდენტებისათვის, ყველაზე დიდ ფინანსურ დაბრკოლებას წარმოადგენს, თუმცა, გარდა ამისა, ტრანსპორტირებისა და კვების ხარჯები მოითხოვს დამატებით სახსრებს, რაც ხშირად, დაუძლეველ პრობლემად იქცევა. აქედან გამომდინარე კი, ინფლაცია, გაძვირებული ცხოვრება და სტუდენტთა ოჯახების არასტაბილური ფინანსური მდგომარეობა ახალგაზრდებს სწავლის შეწყვეტისკენ უბიძგებს. ყოველივე ზემოაღნიშნული კი, უილიამ სპიდის მოდელის რეალიზებაა, რომელიც საბოლოო გადანყვეტილებასთან პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებული სწავლის შეწყვეტის გამომწვევი მიზეზებით გამოვლინდა.

რაც შეეხება მეორე უმთავრეს მიგნებას, კვლევის პროცესში, სხვა ყველა ფაქტორისგან განსხვავებით გასაანალიზებელი იყო სტუდენტების სტატუსის შეჩერების საკითხი - რა კორელაციაში იყო მათ აკადემიურ მზაობასთან. ეროვნული გამოცდების თამასა დაბალია, ვლემენტარული ბარიერი, შეუსაბამო საუნივერსიტეტო დონესთან და შრომის ბაზართან, ეს

პირდაპირპროპორციულად აისახება სტუდენტის სტატუსის მოპოვების გამარტივებულ მოდელთან, რაც საბოლოოდ იმის დასკვნის საშუალებას გვაძლევს, რომ დღევანდელ რეალობაში სტუდენტებისთვის სტუდენტობა არის მიზანი და არა საშუალება, ისინი ნაკლებად ფიქრობენ პრობლემის ბაზარზე რა პერსპექტივები აქვთ, როგორია დასაქმების მაჩვენებელი, რომელი სფერო იტვირთება ამ კუთხით ყველაზე მეტად და ა.შ. შესაბამისად, ვიღებთ მიმართულების ან უნივერსიტეტის მიმართ წყრომასა და საბოლოოდ სტუდენტის ფრუსტრაციას, რაც სწავლის შეწყვეტით გამოიხატება. მსგავსი, ერთმანეთთან ჯაჭვურად, ეტაპობრივად დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც პიროვნების ცხოვრებაში არსებობს, როგორც უნივერსიტეტამდელ, ისე სტუდენტობის პერიოდში, საბოლოოდ, როგორც პროცესის თეორიით ავხსენით, ყალიბდება სწავლის შეწყვეტის მთავარ გამომწვევ მიზეზებად.

სტატუსშეჩერებულ სტუდენტებთან ინტერვიუებზე დაყრდნობით ვასკვნით, რომ არასრულყოფილი ინფორმაციის ან ოჯახის ზეგავლენით მიღებული გადაწყვეტილების გამო ხდება არჩევნის სისწორის ეჭვქვეშ დაყენება. სასკოლო ეტაპზე, პოტენციურად მომავალ სტუდენტებს, არ აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია ამა თუ იმ ფაკულტეტის შესახებ, თუ როგორია სწავლების მეთოდები, ხარისხი, უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემა და ა.შ. ამას ემატება ოჯახის მხრიდან ზეწოლა, ვინაიდან, ოჯახის მიერ დახარჯული ფინანსები აბიტურიენტობის პერიოდში, მყარ საფუძველს უქმნის მშობლებს იქონიონ ზეგავლენა პიროვნების გადაწყვეტილებაზე, თუ სად სურთ სწავლის გაგრძელება, ესე იგი, ხდება ეტაპობრივი გადასვლა მიზეზიდან მიზეზზე, როგორც პროცესის თეორიით ავხსენით, აქედან გამომდინარე, შეუსაბამობა მოლოდინსა და რეალობას შორის, რომელიც გამოწვეულია უნივერსიტეტში მოხვედრამდე არსებული მცდარი წარმოდგენებითა და ოჯახის ზეწოლით, ჯერ ინვესს არჩევნის სისწორეში დაეჭვებას, საბოლოოდ კი, აქტიური სტუდენტის სტატუსის შეჩერებას.

კვლევაში აჩვენა, რომ ონლაინ სწავლება ხელისშემშლელი ფაქტორია სოციალური ინტეგრაციისთვის, რაც განაპირობებს სტუდენტურ ცხოვრებაში სტუდენტის არასტაბილურობას. კოვიდ პანდემიის პირობებში, სოციალური ცხოვრებიდან იზოლირებულ ცხოვრებაზე გადასვლა, ხოლო პოსტ-კოვიდურ პერიოდში პირიქით, იზოლირებული ცხოვრებიდან ისევ სოციალურ ცხოვრებაზე დაბრუნება, მართალია, რომ დროებით შესაძლებლობებს აჩენს, განსაკუთრებით კი, ონლაინ სამუშაოს კუთხით, მაგრამ საბოლოოდ, მაინც, სტუდენტებში ქმნის ისეთი სახის პრობლემას, როგორცაა საუნივერსიტეტო გარემოში სრულყოფილი ინტეგრირება. ამრიგად, უილიამ სპიდის მოდელის მიხედვით, ერთმანეთთან კომპლექსურად ან/და როგორც ირიბად, ისე პირდაპირ დაკავშირებული სწავლის მიტოვების მიზეზები და ხშირად ცვალებადი სიტუაცია სტუდენტს აკადემიური კუთხით არასტაბილურს ხდის, რაც, ხშირ შემთხვევებში, აქტიური სტუდენტის სტატუსის შეჩერებით სრულდება.

მოცემული კვლევით შევეცადეთ, გამოგვეყო აქტიური სტუდენტის სტატუსის შეჩერების მიზეზები თბილისის 4 სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე. წარმოდგენილი ნაშრომი ვფიქრობთ, მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებებით დაინტერესებულ მკვლევარებს, რომლებიც ფოკუსირებულნი არიან სტუდენტების მიერ სწავლის

შენწყვეტის საბოლოო გადანწყვეტილებამდე არსებულ ეტაპებსა და უკვე დამდგარი სამწახარო შედეგების აღმოფხვრაზე.

ბიბლიოგრაფია:

ვერიკო სუხიაშვილი. (2021). *სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა რაოდენობა ისტორიულ მაქსიმუმზეა*. Retrieved from factcheck.ge.

ლაბორატორია, ს. ლ. (2019). *სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობა სტატუსის შეჩერების მიზეზის მიხედვით: 2013-2019*. Retrieved from datalab.ge.

მაია ბუთბაია. (2018). *საქართველოში 48 624 სტუდენტს სტატუსი შეჩერებული აქვს*. Retrieved from 1tv.ge.

საქართველოში სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა რაოდენობა 48 651-მდე გაიზარდა. (2018). Retrieved from barristers.ge.

სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა რაოდენობა ისტორიულ მაქსიმუმზეა. (2021). Retrieved from factcheck.ge.

სტუდენტური მოძრაობა: პროტესტის შედეგად, თსუ საერთო საცხოვრებლის მშენებლობას იწყებს. (2022, november 19). Retrieved from radiotavisupleba.ge.

Andreas Hadjar; Christina Haas; Irina Gewinner. (2022). Refining the Spady–Tinto approach: the roles of individual characteristics and institutional support in students' higher education dropout intentions in Luxembourg. *EUROPEAN JOURNAL OF HIGHER EDUCATION*.

Dylan Conger; Mark C. Long. (2010). Why Are Men Falling Behind? Gender Gaps in College Performance and Persistence. *The American Academy of Political and Social Science*.

Heublein, U. (2014). Student Drop-out from German Higher Education Institutions. *European Journal of Education*.

Jose Francisco Guzmán; Kieran Kingston. (2011). Prospective study of sport dropout: A motivational analysis as a function of age and gender. *European Journal of Sport Science*.

Kerby, M. (2015). Toward a New Predictive Model of Student Retention in Higher Education. *Journal of College Student Retention Research Theory and Practice*, 10-11. Retrieved from researchgate.net.

Mikko Siponen; Katja Leiviskä. (2013). Understanding why is students drop out: Toward a process theory. *Association for Information Systems AIS Electronic Library (AISeL)*, 4-6.

Russell W. Rumberger; Sun Ah Lim. (2008). *Why Students Drop Out of School: A Review of 25 Years of Research*. Santa Barbara .



**ორგანიზაციული კულტურის ტრანსფორმაცია დისტანციური მუშაობის პირობებში: კერძო
ორგანიზაციების გამოცდილება**

ნიკა გოგატიშვილი

სახელმწიფო მართვისა და საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: nika.gogatishvili542@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის მიზანია იმის დადგენა, თუ როგორ იცვლება ადამიანური რესურსების ელექტრონულად მართვით კერძო სექტორულ ორგანიზაციებში კორპორატიული კულტურა და თანამშრომელთა კოლეგიალობა.

აღნიშნულ კვლევაში, რომელიც თვისებრივი მეთოდის საშუალებით განხორციელდა, ადამიანური რესურსების მართვა განიხილება ელექტრონული პლატფორმების ფოკუსში, სადაც ორგანიზაციული კულტურისა და თანამშრომელთა კოლეგიალობის ცვლილების თემა გაანალიზდება ქართული კერძო სექტორული ორგანიზაციების დონეზე. კვლევის მიზნებიდან და ცხრა სიღრმისეული ინტერვიუს ანალიზიდან გამომდინარე, დისკუსიის ნაწილში ფართოდ იქნა განხილული საკითხის მნიშვნელობა, ციფრული პლატფორმების როლი ტრანსფორმაციის პროცესსა და ადამიანური რესურსების მართვის საკითხი ორგანიზაციული კულტურის ცვლილების პარალელურად.

აღნიშნული კვლევა, შეიძლება ითქვას, რომ არის თამამი მცდელობა დისტანციური მუშაობის დროს ორგანიზაციული კულტურისა და თანამშრომლების კოლეგიალობის ცვლილების გამოკვლევის.

საკვანძო სიტყვები: ადამიანური რესურსების მართვა ელექტრონულად, კერძო სექტორული ორგანიზაციები, ორგანიზაციული კულტურა, კოლეგიალობა.

შესავალი

გლობალიზაციისა და ტექნოლოგიის ტანდემი მმართველობის სფეროშიც შეიჭრა, რამაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა მართვის ტრადიციული ფორმები. ნებისმიერი საჯარო თუ კერძო ორგანიზაციისთვის, რომელიც განვითარებას ესწრაფვის, მნიშვნელოვანია ფეხი აუწყოს თანამედროვე ტექნოლოგიების რიტმს და მეტად ეფექტური გახადოს საკუთარი მენეჯმენტი. ყოველივე ამის გამო, ციფრული ტრანსფორმაცია საფუძვლად დაედო ელექტრონული მმართველობის (e-governance), როგორც მმართველობის ახალი ფორმის გაჩენას.

ადამიანური რესურსების მართვა (HRM - Human Resource Management) გასული საუკუნის ადრეული პერიოდიდან იღებს სათავეს, თუმცა ციფრული ტრანსფორმაციის პარალელურად მოხდა მისი მრავალმხრივი ცვლილება. დღეს კი, როდესაც პლანეტარულ დონეზე შეიცვალა მმართველობისა და მენეჯმენტის გაგება, ადამიანური რესურსების მართვამაც დიდი ცვლილებები განიცადა (Pynes, 2009). ბევრ ორგანიზაციაში, დაწყებული ადგილობრივი მცირე კომპანიებით, დამთავრებული ტრანსნაციონალური კორპორაციებით, ელექტრონული პლატფორმების და სერვისების როლი საგრძნობლად არის გაზრდილი. ამ უკანასკნელს აქტუალობა შემატა მსოფლიოში არსებულმა პანდემიამ, რომელმაც დაგვანახა ელექტრონული მენეჯმენტის და ციფრული სერვისების

უპირატესობა, როგორც კერძო ისე საჯარო სექტორულ დონეზე (Elsawy & Elbadawi Ali, 2021). აქედან გამომდინარე ადამიანური რესურსების მართვამ დროსა და სივრცეში გარკვეული ტრანსფორმირება განიცადა და მისი ერთ-ერთი ფორმა დამკვიდრდა, როგორც ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა (e-HRMS).

ელექტრონულად მართვის მიზნით ინტეგრირებული მოდელებით. ამას მოჰყვა ორგანიზაციულ დონეზე არა მხოლოდ კულტურისა და ზოგადად პირობების ცვლა, არამედ გარკვეულ დონეზე სახე იცვალა და მკვეთრი ზღვარი გაჩნდა შესასრულებელ სამუშაო გეგმასა და სტანდარტულ მუშაობაში. ორგანიზაციათა უმეტესმა ნაწილმა დანერგა სხვადასხვა ტიპის მოდელი, რომელიც დისტანციურად საქმისწარმოების დროს გაცილებით ეფექტურად ითვლება მათივე ხედვით, თუმცა აღნიშნულ მოდელს ზოგიერთი თანამშრომლისთვის ქონდა გარკვეული ნაკლოვანებები. ასევე ამ პერიოდის მთავარი გამოწვევა კომპანიებისთვის დღემდეა კვალიფიციური კადრების გადინების ფენომენი, რომელსაც ყველა სხვადასხვა გზით ცდილობს, თუმცა პრობლემის მოგვარების ერთიანი გამოსავალი არ ჩანს.

კვლევის მნიშვნელოვანი აღმოჩენაა კომუნიკაციური ტრანსფორმაცია თანამშრომლებს შორის, როდესაც ორგანიზაციები დისტანციურ რეჟიმზე გადავიდნენ სამუშაოდ, საკმაოდ ბევრი კომპანიის ადამიანური რესურსების მართვა იქნა შეცვლილი. იმის ნაცვლად, რომ თანამშრომლები იზოლირებულად ყოფილიყვნენ ჩართულები და სამუშაო სახლიდან მარტოს შეესრულებინათ, საკმაოდ წარმატებული პრაქტიკა აღმოჩნდა ცალკე ვიდეო-შეხვედრები ორგანიზაციასა და თანამშრომლებს შორის, ისევე როგორც შესვენებების დროს დისტანციური კოლეგიალური შეხვედრები. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ვერ ხდებოდა ბოლომდე შეგუება თანამშრომლების მხრიდან ახლებურ მოდელზე, ორგანიზაციისთვის საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა ეს ყოველივე.

დროითი კონტექსტის პირობებში, საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ პანდემიური რეგულაციების შემსუბუქებასა და შეზღუდვების მოხსნას, ბევრ ორგანიზაციაში არ დაუყენებია ოფისში დაბრუნების საკითხი დღის წესრიგში, პირიქით, სწორედ პანდემიური დღის წესრიგი აღმოჩნდა დისტანციური მუშაობის „გასაღები“. ამას ემატება ისიც, რომ ბევრი კომპანიის შემთხვევაში, თანამშრომლებისთვის გაცილებით კომფორტულია სახლიდან მუშაობა, ვინაიდან ამ დროს ხდება დროითი რესურსის დაზოგვა, რის გამოც თანამშრომლები სხვა პროექტებშიც იღებენ მონაწილეობას.

საკმაოდ ხშირად იქნა გამეორებული იმგვარი აზრი, რომ ორგანიზაციული განვითარებისა და თანამშრომლების მართვის კუთხით ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მიდგომა შერეული სამუშაო ფორმატის არსებობაა, ვინაიდან ამ დროს თანამშრომლებს არ ექნებათ კოლეგების მონატრების განცდა და არც იმაზე გამოთქვამენ პრეტენზიას, რომ ოფისში ყოველდღიურად სიარული დამლღელია. პირიქით, ერთ-ერთი მიაბიტური რეკომენდაცია, რომელიც ჩემი კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შემიძლია გავცე, არის ის, რომ შერეული ფორმატი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია ორგანიზაციული განვითარებისა და თანამშრომლების კმაყოფილებისთვის. ასევე, საჭიროა ორგანიზაციის მენეჯერთა რგოლმა, ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტებთან ერთად ინდივიდუალურად გაიარონ კონკრეტული თანამშრომლის მუშაობის საკითხი, რომელიც არჩევანს აკეთებს კონკრეტული მუშაობის სტილზე, რადგან აღნიშნული თანამშრომლისთვის არ მოხდეს სახლიდან მუშაობის იძულება, ან პირიქით, ოფისიდან.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ დისტანციური მუშაობის დროს, შეიცვალოს სამუშაო საათების ტრადიციული გაგება, რადგან ამ დროს ეფექტურობა ცვალებადია, თუ თანამშრომლები ისევ იმავე რეჟიმით იქნებიან ჩართული, როგორც ეს ოფისში ხდება. ამ ყოველივეს საკმაოდ მარტივი ახსნა აქვს, სახლიდან მუშაობის დროს, რესპონდენტების მოსაზრებების თანახმად, გაცილებით ეფექტურია შესვენების დროის რამდენიმე ეტაპად გადანაწილება.

წარმატებულ პრაქტიკად შეიძლება იმის შეფასებაც, რომ ორგანიზაციული სტაბილურობის შენარჩუნების კვალდაკვალ ხდებოდა თანამშრომლებისათვის ტრენინგების მომზადება არა უშუალოდ პროფესიულ საკითხებზე, არამედ ზოგადი განათლების კუთხით. ეს ყოველივე კი ადამიანური რესურსების მართვის წარმატებად შეიძლება მივიჩნიოთ.

კვლევის **ლიმიტაცია** იყო ერთგვარად ის, რომ მოხდა მხოლოდ ცხრა კერძო სექტორული ორგანიზაციის თანამშრომლის გამოკითხვა, რომელთაც უწევდათ და ქონდათ დისტანციური მუშაობის გამოცდილება ელექტრონულ პორტალებსა და ციფრულ არხებში. ლიმიტაციად კი შეიძლება ჩაითვალოს რესპონდენტების ნაკლებობა, თუმცა ეს ყოველივე საერთო ფონს მხოლოდ ნაწილობრივ ცვლის.

გარდა ამისა, კვლევის ლიმიტი იყო დროითი ჩარჩოც, ვინაიდან კვლევა შესრულდა საუნივერსიტეტო კურსის ფარგლებში, რომელიც მოიცავდა სემესტრულ პერიოდს, სწრედ ამის გამო, კვლევა ვერ კონცენტრირდებოდა უფრო დიდ ჯგუფზე.

ვინაიდან დარგი საკმაოდ ახალია და ადგილობრივი კვლევების რაოდენობით ვერ დაიკვეხნის, საჭიროა სამომავლოდ უფრო ღრმად იქნეს შესწავლილი, ერთი მხრივ, ორგანიზაციული კულტურის ფენომენი, ხოლო მეორე მხრივ, ელექტრონულად ადამიანური რესურსების მართვის საკითხის ორგანიზაციულ დონეზე, რომელიც არ იქნება მხოლოდ პანდემიის ჭრილში განხილული.

ამასთანავე, ვინაიდან საკითხი საკმაოდ რელევანტურია ხარისხობრივი კუთხით, საჭიროა ჩატარდეს სხვა - რაოდენობრივი კვლევა, რათა მოხდეს კაუზალური კავშირის დადგენა დისტანციური მუშაობის დანერგვასა და სამუშაო ეფექტურობას შორის, ან ასევე გაიზომოს ორგანიზაციული ჩართულობის ხარისხი და თანამშრომლების კმაყოფილება, რომლებიც თვისებრივი მეთოდით ვერ იქნება შესწავლილი. თუმცა, იმასაც ვიტყვი, რომ აღნიშნული საკითხის ირგვლივ საუკეთესო იქნება შერეული მეთოდების გამოყენებით კვლევის ჩატარება, როდესაც დამოკიდებულებების შესწავლისა და ანალიზის პარალელურად, გაიზომება ორგანიზაციული განვითარება სხვადასხვა ინდიკატორით.

ბიბლიოგრაფია

- AlHamad, A., Alshurideh, M., Alomari, K., Kurdi, B. A., Alzoubi, H., Hamouche, S., & Al-Hawary, S. (2022). The effect of electronic human resources management on organizational health of telecommunications companies in Jordan. *International Journal of Data & Network Science*, 6(2), 429–438.
- Alvesson, M. (2004). Organizational Culture and Discourse. In *The SAGE Handbook of Organizational Discourse* (pp. 317–336). SAGE Publications Ltd.
- Bloom, N., Liang, J., Roberts, J., & Ying, Z. J. (2014). Does Working from Home Work? Evidence from a Chinese Experiment *. In *The Quarterly Journal of Economics* (Vol. 130, Issue 1, pp. 165–218). Oxford University Press (OUP).
- Blom, T., du Plessis, Y., & Kazeroony, H. (2019). The role of electronic human resource management in diverse workforce efficiency. *South African Journal of Human Resource Management*, 17(1), 1–12.
- Berg, J., Bonnet, F., & Soares, S. (2020). Working from home: Estimating the worldwide potential. <https://voxeu.org/article/workinghome-estimating-worldwide-potential>
- Bondarouk, T. (2017). *Electronic HRM in the Smart Era*. Bingley: Emerald Publishing Limited.
- Elsawy, M. M., & Elbadawi Ali, M. A. (2021). Assessing the Impact of E-HRM on Organisational Performance: An Empirical Study. *Indian Journal of Economics and Business*, 1491-1504.
- Fenech, R. (2022). HUMAN RESOURCE MANAGEMENT IN A DIGITAL ERA THROUGH THE LENS OF NEXT GENERATION HUMAN RESOURCE MANAGERS. *Journal of Management Information and Decision Sciences*, 1-10.
- Hassanien, A. E. (2021). *Digital Transformation and Emerging Technologies for Fighting COVID-19 Pandemic: Innovative Approaches*. Cham: Springer.
- Ma, L., & Ye, M. (2015). The Role of Electronic Human Resource Management in Contemporary Human Resource Management. In *Open Journal of Social Sciences* (Vol. 03, Issue 04, pp. 71–78). Scientific Research Publishing, Inc.
- Meyer, A. D. (1982). Adapting to Environmental Jolts. In *Administrative Science Quarterly* (Vol. 27, Issue 4, p. 515). JSTOR.
- Nadim Khan, H. M. (2022). Electronic Human Resource Management: A Contemporary Overview. In *Asian Journal of Economics, Business and Accounting* (pp. 51–68). Sciencedomain International.
- Pollák, F., Soviar, J., & Vavrek, R. (Eds.). (2022). *Communication Management*. IntechOpen.
- Pynes, J. E. (2009). *Human Resources Management for Public and Nonprofit Organizations: A Strategic Approach*. San Francisco: Jossey-Bass.
- Savić, D. (2020). COVID-19 and Work from Home: Digital Transformation of the Workforce. *The Grey Journal*, 101-104.
- Spicer, A. (2020). Organizational Culture and COVID- 19. In *Journal of Management Studies* (Vol. 57, Issue 8, pp. 1737–1740). Wiley.
- Stalmachova, K., Chinoracky, R., & Strenitzerova, M. (2022). Changes in Business Models Caused by Digital Transformation and the COVID-19 Pandemic and Possibilities of Their Measurement—Case Study. *Sustainability*, 1-27.
- ზურაბიშვილი, თ. (2006). *თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევებში*. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.



9 აპრილის კულტურული ტრავმის ასახვა ქართველი ერის კოლექტიურ მეცნიერებაში:

სამი თაობის ხედვა

მარიამ კვეტენაძე

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: mariam.kvetenadze107@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

1989 წლის 9 აპრილი საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თარიღია. ტრაგედია, რომელმაც 21 უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, საზოგადოებას კიდევ ერთხელ დაანახა საბჭოთა კავშირის რეალური სახე და ამავდროულად, აჩვენა თავისუფლებისთვის მზაობა ქართველი ერის მხრიდან. უპრეცედენტო ერთობამ, საყოველთაო დაუმორჩილებლობამ და ხალხში არსებულმა თავისუფლების ძლიერმა სურვილმა შედეგი გამოიღო- 1989 წლის 9 აპრილს 1991 წლის 9 აპრილი მოჰყვა.

9 აპრილის ტრაგედია ცალსახად წარმოადგენს კულტურულ ტრავმას ქართველი ერისთვის. აღსანიშნავია, რომ ეს მოვლენა ტრავმად მალევე ჩამოყალიბდა, თუმცა სადავოა, რა ადგილს იკავებს დღეს ქართველი ერის კოლექტიურ მეხსიერებაში 9 აპრილი და მისი მონაპოვარი, არსებობს თუ არა ემოციური კავშირი ამ მოვლენასთან საზოგადოების მხრიდან, თუ ეს უკანასკნელი უბრალოდ რუტინულ ქცევაშია გადაზრდილი. კვლევის მიზანს წარმოადგენს იმის განსაზღვრა თუ რამდენად იაზრებს საზოგადოება 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიას და როგორ აისახა ეს მოვლენა განსხვავებული თაობის წარმომადგენელი ადამიანების კოლექტიურ მეხსიერებაში („მამების“-G1, „შვილების“-G2, „შვილიშვილების“-G3 თაობა). თავის მხრივ, კვლევისთვის საინტერესოა 9 აპრილის, როგორც კულტურული ტრავმის არსის გაანალიზება და კოლექტიური მეხსიერების ფენომენთან მისი ურთიერთმიმართების დადგენა, ამ მიზნით შესწავლილ იქნა საკითხის ირგვლივ არსებული თეორიული მასალა, ხოლო „Sidewalk“ ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით, საზოგადოების გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა 9 აპრილის კულტურული ტრავმის არაერთგვაროვანი ასახვა სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის ადამიანების კოლექტიურ მეხსიერებაში, რაც განპირობებულია „გამარჯვების ტრავმით“ უფროსი თაობის ადამიანებში.

საკვანძო სიტყვები: კულტურული ტრავმა, კოლექტიური მეხსიერება, 9 აპრილი, „გამარჯვების ტრავმა“, „მეხსიერების სოციალური ჩარჩო“.

შესავალი

1989 წლის 9 აპრილი პარადიგმულ მოვლენათა რიგს მიეკუთვნება- 9 აპრილის კულტურული ტრავმა ქართველი ერის ცნობიერებაში ერთდროულად აერთიანებს დიდი დანაკარგისა და სიამაყის შეგრძნებას: სისხლიანი ტრაგედიის შემდეგობით ქართველი ერის მხრიდან გაცხადდა თავისუფლებისთვის მზაობა, ხოლო ხალხში დაგროვებული შიში და ბრაზი გარდაისახა ბრძოლაში, რაც 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენით დაგვირგვინდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოელი მეზობლისგან მოყენებული ზიანი ერთი შეხედვით აშკარაა, ქართველ საზოგადოებაში დღესაც არსებობს აზრი, „მეგობარი რუსეთის“ იდეაზე, ამას ამყარებს პოსტსაბჭოთა ნოსტალგია, საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობის გადაფასების

დაგვიანება, პოლიტიკურ მოვლენათა ზედაპირულად გააზრების ტენდენცია, რასაც საბოლოოდ მივყავართ კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბების, როგორც წარსულის გააზრების პროცესის პრაქტიკაში განუხორციელებლობასთან.

კულტურულ ტრავმას განაპირობებს გარემოება, როდესაც მომხდარი საშინელი მოვლენა „წარუშლელ კვალს“ ტოვებს კოლექტივის წევრების ჯგუფურ ცნობიერებაზე და სამუდამოდ აისახება მათ მოგონებებზე, ასეთ დროს „ფუნდამენტური და შეუქცევადი გზებით“ იცვლება ერის იდენტობაც (Alexander et al., 2004). კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბებაზე ზრუნვა ტრავმული წარსულის მქონე ქვეყნებისთვის განსაკუთრებით ნიშანდობლივია, რადგან ერის თვითშეგნების ფორმირება და იდენტობის აღქმა სწორედ ამ გზით მიიღწევა. აქტიური ტრავმატიზაციის დასრულების შემდეგ ხდება შესაძლებელი ტრავმის გავლენის შესწავლა და ასახვა (Gailienė D., 2019).

თავის მხრივ, საზოგადოების მიერ ეროვნული იდენტობის აღქმა პირდაპირ კავშირშია კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბებასთან, რადგან ეს პროცესი ქვემოდან ზევით, საზოგადოების უშუალო ძალისხმევით მიმდინარეობს და სოციალური ჩარჩოს მქონეა. ამ გავებით, წარსული მოიაზრება არა როგორც ხელშეუხებელი მოცემულობა, არამედ აწმყოში, საზოგადოების მიერ მუდმივად კონსტრუირებადი ფენომენი. ეს პროცესი მთლიანად მომხდარის გააზრებაზე გადის და ინდივიდუალურია იმდენად, რამდენადაც ინდივიდუალურია ყველა ის სოციალური ჯგუფი, რომელიც მას იაზრებს (Halbwachs, M. 1992). კვლევისას, საზოგადოების გამოკითხვიდან გამომდინარე მიღებული შედეგები აჩვენა პოლონელი მეცნიერის- პიოტრ შტომპკას „გამარჯვების ტრავმის“ სახელით ცნობილი თეორიით, რომლის თანახმად, საზოგადოდ სასურველი მოვლენებიც კი შესაძლოა იქცეს ტრავმულად, რადგან მას მოსდევს მთელი რიგი ცვლილებები, რაც ხალხში ვლინდება ისეთი სიმპტომებით, როგორებიცაა: უნდობლობის სინდრომი, მომავლის არასახარბიელოდ ხედვა, ნოსტალგია წარსულისადმი, პოლიტიკური აპათია და პოსტ-კომუნისტური ნაბახუსევი (Stompka, 2004).

კულტურული ტრავმა და კოლექტიური მეხსიერება: თეორიული ასპექტები

კულტურული ტრავმის გააზრებას არსებითად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს პროცესი უშუალოდ არის დაკავშირებული კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბებასთან. წარსულში მომხდარი მოვლენების საფუძვლიანი აღქმა საზოგადოების მიერ ეროვნული იდენტობის ფორმირების წინაპირობაა. 9 აპრილი თავისი ბუნებით გამონაკლისია, რადგან მისი, როგორც კულტურული ტრავმის ფორმირება იწყება მყისიერად- პროცესშივე იქცა 9 აპრილი ურთიერთგაზიარებულ მოვლენად და ხალხის მიერ ტრავმადიის ამოთქმამაც არ დააყოვნა.

კოლექტიური მეხსიერების არსის შეცნობის გარეშე შეუძლებელია ტრავიკული მოვლენა კულტურული ტრავმის ასპექტში იქნას განხილული, რადგან ორივე მოცემულობა ერთმანეთთან პირდაპირ კავშირშია და რომელიმეს უგულებელყოფა საერთო სურათის დანახვაში ხელს შეგვიშლის. ტერმინი-

„კოლექტიური მესხიერება“ მე-20 საუკუნის დასაწყისში დაამკვიდრა ფრანგმა სოციოლოგმა და ფილოსოფოსმა მორის ჰალბვაქსმა. ნაშრომი ეყრდნობა ჰალბვაქსის „მესხიერების სოციალური ჩარჩოს“ კონცეპტს, რომლის თანახმადაც წარსული არ არის ხელშეუხებელი მოცემულობა და მისი კონსტრუირება ანმყოფი არსებული „მონაცემების დასესხებით“, საზოგადოების უშუალო მონაწილეობით ხორციელდება. ჰალბვაქსის აზრით, ადამიანის მესხიერება კოლექტიურ კონტექსტშია ფუნქციონირებადი, შერჩევითია, ასევე ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფი განსხვავებული კოლექტიური მესხიერების მატარებელია, რაც შემდგომში მათი ქცევის სხვადასხვა ტიპში ვლინდება. *„კოლექტიური მესხიერება საკუთარი ბაზიდან იკრებს ძალას და არსებობას განაგრძობს ცალკეულ ადამიანებში, ის ინდივიდუალურია ისევე, როგორც ჯგუფის წევრები, რომლებსაც ახსოვთ“* (Halbwachs, 1992, p.22). როგორც ჰალბვაქსი ამბობს, კოლექტიური მესხიერება მოითხოვს ენერჯიას, რომელსაც შეზღუდულ დროსა და სივრცეში არსებული ჯგუფი გასცემს, რაც ხსნის განსხვავებული თაობის ადამიანებში წარსულის განსხვავებული ხედვის ქონას. დღევანდელი თაობა საკუთარი თავის შეცნობას ახერხებს თავისივე ანმყოფა და წარსულის დაპირისპირების შედეგად, ხოლო ეს „წარსული“ თავის მხრივ, ამ თაობის მიერ არის კონსტრუირებული. *„ხსოვნითი ხასიათის შეხვედრებში ახალი თაობის ჩართულობის შედეგად ჩვენ შეგვიძლია ხელახლა შევექმნათ წარსული, რომელიც სხვა შემთხვევაში დროის ნისლში გაუჩინარდებოდა“* (Halbwachs, 1992, p.24). ამ აზრს ეწინააღმდეგება ჯეიმზ იანგის ხედვა. მას შემოაქვს „დაგროვებული“ მესხიერების ცნება, რითაც ხაზს უსვამს მესხიერების ინდივიდუალურ ბუნებას და უპირისპირდება კოლექტიური მესხიერების ფენომენს. მისი მიდგომის თანახმად, მესხიერება ინდივიდუალური გამოცდილებებიდან გამომდინარე, ფრაგმენტული სახით ყალიბდება (Young, 1993).

ჰალბვაქსის ხედვას მესხიერების სოციალურად განპირობებულობის კონტექსტში ავითარებს გერმანელი კულტურის ისტორიკოსი- იან ასმანი. მისთვისაც, ისევე როგორც ჰალბვაქსისთვის, მესხიერება სოციალური ფენომენია. მას ორი ახალი ცნება შემოაქვს: „კომუნიკაციური“ და „კულტურული მესხიერება“. პირველი ცნება კოლექტიური მესხიერების ისეთი ფორმაა, რომელიც დაფუძნებულია ყოველდღიურ კომუნიკაციაზე. ასმანის მიხედვით, ამ სახის მესხიერებას შეზღუდული დროითი ჰორიზონტი ახასიათებს- იგი მხოლოდ 80-100 წელიწადს ცოცხლობს, ასევე გამოირჩევა სპეციალიზაციის დაბალი ხარისხით, ყალიბდება უშუალოდ ადამიანების ინტერაქციის, ცალკეულ ინდივიდებს შორის მითქმა-მოთქმის, ჭორ-მართლის, მოგონებებისა და გამოცდილებების გაზიარების გზით. ამ სახის მესხიერება ცოცხალია მანამ, სანამ მისი მატარებელი ჯგუფები არსებობენ, შემდეგ იგი დავიწყებას ეძლევა. თუმცა, არსებობს ისეთი გამონაკლისი შემთხვევებიც, როცა მოვლენა მაშინაც განაგრძობს არსებობას ადამიანთა მესხიერებაში, როდესაც მისი სიცოცხლისუნარიანობა ზემოთ დასახელებულ 80-100 წელს გადააჭარბებს. საქმე გვაქვს, ასმანისეულ „ტრანზიციასთან“- ერთგვარ დამაკავშირებელ ხიდთან, რომელსაც „კომუნიკაციური მესხიერებიდან“ გადავყავართ „კულტურულ მესხიერებაში“. „როგორც კომუნიკაციური მესხიერებისთვის დამახასიათებელია ყოველდღიურობასთან სიახლოვე, ისე კულტურული მესხიერებისთვის არის დამახასიათებელი ყოველდღიურობისგან დისტანცირება“ (Assmann, 1995, p.129). როგორც ასმანი განმარტავს, ამ სახის მესხიერების დროითი ჰორიზონტი უცვლელია და ასახულია მუდმივად განმეორებად ტექსტებში,

მემორიალებში, რიტუალებში, დღესასწაულებში- „მეხსიერების ფიგურებში“. ამ მოსაზრებას იზიარებს ფრანგი ისტორიკოსი- პიერ ნორა. ნორას „მეხსიერების არეების კონცეფციის“ თანახმად, მეხსიერების(ხსოვნის) რეალური გარემოს აღარ არსებობის გამო, მეხსიერების არეები ჩნდება სწორედ იქ, სადაც ისტორიული განგრძობადობის გრძნობა უწყვეტია. იგი განასხვავებს მეხსიერების სამ ძირითად არეს, ესენია: სიმბოლური არე (სადღესასწაულო დღეები, იუბილეები, რიტუალები), მონუმენტური არე (ნაგებობები, მონუმენტები, საფლავები) და ფუნქციური არე (სკოლის სახელმძღვანელოები, ავტობიოგრაფიები). თითოეულ ამ არეში ხდება მეხსიერების განსხეულება და შეგროვება, შესაბამისად მომხდარ მოვლენასთან ნარჩუნდება უწყვეტობის განცდა (Nora, 1989).

ტრავმის კოლექტიურ ბუნებაზე საუბრობს ამერიკელი სოციოლოგიც- ჯეფრი ალექსანდერი. იგი ავითარებს ტრავმის სოციალურ თეორიას და ამტკიცებს, რომ ტრავმა ყოველთვის არ გამომდინარეობს ცალკეული ინდივიდის ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან, ტრავმა ხშირად არის განპირობებული მოვლენის კოლექტიური გამოცდილებიდან (Alexander, 2012). ალექსანდერის აზრით, ტრავმულ მოვლენას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მისგან მიღებული გამოცდილება ადამიანურ ბუნებასთან მოდის წინააღმდეგობაში. სწორედ ამ დროს საზოგადოება იაზრებს, რომ მათ კეთილდღეობას რაღაც მოვლენა არყევს, ხელს უშლის და საფრთხეს უქნის სასურველ მომავალსაც. ამ მიგნებას ეხმიანება არტულ ნილი ნაშრომში- „ეროვნული ტრავმა და კოლექტიური მეხსიერება“. იგი ხაზს უსვამს უშუალოდ იმ მოვლენის „არაორდინალურ“ მნიშვნელობას, რაც შემდგომში კოლექტიური ტრავმის წარმოშობას განაპირობებს. ნილი ავითარებს მეტად საინტერესო მოსაზრებას კოლექტიური ტრავმის „სარგებლიანობასთან“ დაკავშირებით, რომლის თანახმადაც, დამღუპველი მოვლენაც კი იძლევა საშუალებას წარმოშვას ახალი შესაძლებლობა საკეთილდღეო სიახლისთვის, სასიკეთო ცვლილებისთვის (Neal, 1998). ეს მიდგომა ნაწილობრივ ასაბუთებს 1989 წლის 9 აპრილის ტრავმის გაგრძელებას- 1991 წლის 9 აპრილს, როდესაც საზოგადოებაში არსებულმა ბრაზმა და წყრომამ მომხდარის გამო ასახვა კპოვა თავისუფლების აღდგენაში.

9 აპრილის გააზრება სამეცნიერო ლიტერატურაში

9 აპრილზე, როგორც კულტურულ ტრავმაზე და მის ასახვაზე საზოგადოების კოლექტიურ მეხსიერებაში, სამეცნიერო ლიტერატურა მწირად გვხვდება, ამ მხრივ კვლევა სიახლეს წარმოადგენს. როგორც ზემოთ აღინიშნა, 9 აპრილის ჩამოყალიბება კულტურულ ტრავმად იწყება პროცესშივე, რადგან მოვლენის ტრაგიკულად აღქმა იყო იმთავითვე საყოველთაო. გამომდინარე იქიდან, რომ ნაშრომი ეყრდნობა კოლექტიური მეხსიერების ჰალბვაქსისეულ კონცეპტს, 9 აპრილის კულტურული ტრავმა აპრიორი არ მოიზრებს მის ადგილს ქართველი საზოგადოების კოლექტიურ მეხსიერებაში, რადგან მთავარი არის გააზრების პროცესი, აღქმის დონე, ის თუ, რამდენად არის ემოციური კავშირი შენარჩუნებული ტრაგიკული მოვლენისადმი სხვადასხვა თაობის წარმომადგენელ ადამიანებში დღეს.

9 აპრილის ტრავმადია პარადიგმულ მოვლენად არის შეფასებული ვრცელ მონოგრაფიაში - „საქართველო: ტრავმა და ტრიუმფი დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე“. მოვლენის

პარადიგმულობას განაპირობებებს ის, რომ 9 აპრილი აერთიანებს ტრავმისა და ტრიუმფის ელემენტებს, რამაც ავტორთა აზრით, კიდევაც გაამარტივა გლოვის პროცესი, მისი ამოთქმა. 9 აპრილის ნარატივი იმ პერიოდშივე შეიცავდა სიკვდილით სიკვდილის დათრგუნვის პათოსს, ეს დღე საზოგადოების ცნობიერებაში მალევე გაიგივდა გამარჯვების, სიამაყის განცდებთან, თუმცა ამავდროულად არ დაკარგულა ის ტრაგიზმი, რაც მას თან ახლდა. საინტერესოა, რომ ასევე მალევე ჩნდება სახელოვანი წინაპრების საგმირო საქმეების გაგრძელებისა და მამულისთვის თავგანწირვის ელემენტები, 9 აპრილი გადადის პოეზიაში, სიმღერაში, რაც თან ბადებს მეტ ემოციას ხალხში, თან გამოხატავს გლოვას, გულისტკივილს. ამრიგად, 9 აპრილი თავიდანვე აერთიანებდა როგორც ტრავმის, ისე ტრიუმფის განცდებს, რაზეც ხაზგასმა შემდგომში სახელმწიფოს ოფიციალური პირების მიმართვებშიც შეინიშნებოდა. (ჩიქოვანი ნ., კაკიტელაშვილი ქ., 2022)

ქეთი სართანია კვლევაში- „1989 წელი: საპროტესტო აქციები და მათი გავლენა საქართველოს უახლეს ისტორიაზე“, 1989 წლის 9 აპრილს გამართულ საპროტესტო გამოსვლებს პროტესტის რიტუალის თეორიით ხსნის, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს 9 აპრილს განვითარებული ისტორიული მოვლენების განზოგადება. ავტორი ხაზს უსვამს ამ მოვლენის, როგორც მეხსიერების პროექტის განსაკუთრებულობას, რადგან მან გააერთიანა როგორც უდიდესი ტრაგედია, ისე გამარჯვების განცდა. ისეთმა სიმბოლურმა დატვირთვებმა, როგორცაა- ისტორიული გმირები, ტრანსპარანტები, სიმღერები, ლოცვა, ტრადიციული ცეკვა, გამოსვლის ტექსტები „*აქციის მონაწილეების უკმაყოფილებას- ბრავს, შიშს, იმედგაცრუებას- პოზიტიური ეკვივალენტი მოუძებნა იმედის, ერთიანობის, სიხარულის სახით და სოლიდარობად გარდაქმნა*“ (სართანია, 2019, გვ.28). ჯეფრი ალექსანდერის აზრით, იმისათვის, რომ აღდგეს კოლექტიურ-ფსიქოლოგიური ჯანმრთელობა, წარსულის გადაფასება სწორი გზებით უნდა ხდებოდეს. ის გამოყოფს საჯარო ხსოვნის მონქობის აქტების მნიშვნელობას, რომლის დროსაც საზოგადოების მხრიდან მოხდება ჩახშობილი ემოციების, გლოვის გასიტყვება, ამოთქმა (Alexander, 2012).

კულტურული ტრავმის მკვლევრები საუბრობენ იმაზე, რომ ტრაგიკული და ტრავმული მოვლენა ერთმანეთისგან განსხვავდება და მოვლენის ტრავმულობას გარეშე ფაქტორები განაპირობებენ. „*ტრაგიკული მოვლენა შეიძლება იყოს ბევრისთვის სხვადასხვა, მაგრამ იქიდან ტრავმად ყველა არ ჩამოყალიბდება- ზოგი ყალიბდება ტრავმად, ზოგი არა და მერე შესაბამისად, კოლექტიურ მეხსიერებაში ილექება ან როგორც ტრავმული მოვლენა ან რჩება როგორც მტკივნეული გამოცდილება*“ (სილრმისეული ინტერვიუ კულტურული ტრავმის მკვლევართან, 21.05.2022). 1989 წლის 9 აპრილი სწორედ იმით არის გამორჩეული, რომ იგი თავიდანვე იქცა კულტურულ ტრავმად ქართველი ერისთვის, მაშინ, როდესაც კაცობრიობის ისტორიაში მომხდარი ყველა ომიც კი ხშირად ამ ტრავმულობას ვერ „აღწევს“. იმისათვის, რომ მტკივნეული მოვლენა ჩამოყალიბდეს ტრავმად, ის უნდა იქცეს ურთიერთგაზიარებულ მოვლენად, საერთო მტკივნეულ გამოცდილებად, საზოგადოების მხრიდან უნდა მოხდეს მისი ამოთქმა- არტიკულაცია. ეს ტრავმის დაძლევის, გადალახვისა და მის შესახებ რაციონალური მსჯელობის დანყების გზამდე მიმავალი პირველი ნაბიჯია, თავიდან ეს ყველაფერი ემოციურ დონეზე იწყება, 9 აპრილის შემთხვევაში ეს პროცესი მყისიერად დაიწყო. ეს

პირველ რიგში, გამოიხატებოდა ხალხის ძალიან სერიოზული რეაქციით მომხდარზე- ქაოსური მოძრაობა რუსთაველის გამზირის მიმართულებით, დემოკრატიული დროშების გადმოფენა აივნებიდან, თბილისის ქუჩების სურათებით ავსება, სიმღერისა და პოეზიის დახმარებით ემოციების ამოთქმა, შენობების კედლებზე წარწერების- „გორბაჩოვი მკვლეელი“, „პატიამილი მკვლეელი“, გაჩენა. *“ხალხმა დაიწყო რუსთაველის გამზირის ჭადრებზე ლექსების თეთრი ფურცლებით გაკვრა, რომლებსაც წერდა ხალხი, ვისაც ცხოვრებაში არც მანამდე და არც მერე ლექსი არ დაუწერია“* (სიღრმისეული ინტერვიუ კულტურული ტრავმის მკვლევართან, 21.05.2022).

9 აპრილის კულტურული ტრავმის ასახვა საზოგადოების კოლექტიურ მეხსიერებაში იხსნება „გამარჯვების ტრავმის“ თეორიით, რომელსაც ცნობილი პოლონელი სოციოლოგი პიოტრ შტომპკა აყალიბებს. მისი მიგნების თანახმად, საზოგადოებისთვის სასურველი ცვლილებებიც კი ცალკეულ შემთხვევაში შესაძლოა აღმოჩნდეს ტრავმული. შტომპკა ამ მოვლენას განიხილავს პოსტსაბჭოთა პოლონეთის მაგალითზე და გამოყოფს იმ მახასიათებლებს, რაც ტრავმულობას განაპირობებს: სისწრაფე- ტრავმული მოვლენა დროის მოკლე მონაკვეთს მოიცავს, ამდენად არის უცაბელი და სწრაფი, არის ფართო, ყოვლისმომცველობა- მოიცავს ცხოვრების მრავალ ასპექტს, ხასიათდება რადიკალური, ღრმა და ფუნდამენტური ბუნებით და არის მოულოდნელი. ოთხივე კომპონენტი დამახასიათებელია 9 აპრილისთვის. ამას გარდა, ავტორი გამოყოფს ხუთ მთავარ სიმპტომს, რომელიც შეინიშნება ტრავმირებულ საზოგადოებაში, ესენია: უნდობლობის სინდრომი, მომავლის ბნელი/შავი ხედვა, წარსულის ნოსტალგია, პოლიტიკური აპათია და პოსტკომუნისტური ნაბახუსევი. (Stompka, 2004).

მეთოდოლოგია

კვლევა მიზნად ისახავდა იმის განსაზღვრას თუ რამდენად იაზრებს საზოგადოება 1989 წლის 9 აპრილის ტრავმას და როგორ აისახა ეს მოვლენა საზოგადოების კოლექტიურ მეხსიერებაში. გამომდინარე მიზნიდან, კვლევის ამოცანები ასე ჩამოყალიბდა:

1. მიმოხილულ იქნა საკვლევი საკითხის ირგვლივ არსებული თეორიული მასალა.
2. შემთხვევითი შერჩევით გამოიკითხა 60 ადამიანი სამი სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიიდან.

კვლევის კითხვას წარმოადგენდა ის, თუ როგორ აისახა 9 აპრილის კულტურული ტრავმა განსხვავებული თაობის წარმომადგენელი ადამიანების კოლექტიურ მეხსიერებაში (“მამების“- G1, “შვილების“- G2, “შვილიშვილების“- G3). ხოლო, კვლევითი დაშვება ფორმირდა შემდეგნაირად: 9 აპრილის კულტურული ტრავმა არაერთგვაროვნად აისახება სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის მქონე ადამიანების კოლექტიურ მეხსიერებაში, რასაც განაპირობებს „გამარჯვების ტრავმა“ უფროსი თაობის ადამიანებში. ასევე, მოვახდინე ცვლადების ოპერაციონალიზაცია:

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შედეგი-კულტურული ტრავმა, რომელმაც განსაზღვრა ქვეყნის მომავალი, შეიძინა მრავალმხრივი სიმბოლური დატვირთვა, იქცა ქართველი ერის იდენტობის განუყოფელ ნაწილად. ამ ცვლადის გაზომვა შესაძლებელი გახდა საკითხის ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლით.

კულტურული ტრავმა-გულისხმობს ისეთი სახის მოვლენას, რომელიც ტრავმულ კვალს ტოვებს ერის კოლექტიურ მეხსიერებაში და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მის მომავალს. 9 აპრილის კულტურული ტრავმის ასახვა საზოგადოების კოლექტიურ მეხსიერებაში შესწავლილ იქნა „Sidewalk” გამოკითხვით და კულტურული ტრავმის მკვლევრებთან ინტერვიუს ჩატარებით.

ნაშრომი ეფუძნება თვისებრივ კვლევას: ექსპერტული ინტერვიუ ჩატარდა კულტურული ტრავმის მკვლევრებთან და განისაზღვრა 9 აპრილის, როგორც კულტურული ტრავმის სახე და როლი, თუ რამდენად მოხდა საზოგადოების მხრიდან ამ მოვლენის გადაფასება, ხოლო ე.წ. “Sidewalk” ინტერვიუს მეთოდით გამოიკითხნენ თბილისში მყოფი ადამიანები სამი განსხვავებული ასაკობრივი კატეგორიიდან და დადგინდა თუ რა სახის ცოდნას ფლობენ და როგორი ემოციური დამოკიდებულებები არსებობს ამ მოვლენის მიმართ განსხვავებული თაობის ადამიანებში, კერძოდ საკვლევ ობიექტებად შეირჩა სამი თაობა:

- G1 თაობა- ადამიანები, რომლებიც 1989 წლის 9 აპრილს იყვნენ ზრდასრულნი, ამდენად ჰქონდა შესაძლებლობა, გააზრებულად დაკვირვებოდნენ პროცესს ან ჩართული ყოფილყვნენ მასში. (60 წლიდან ზემოთ)
- G2 თაობა- ადამიანები, რომლებიც 1989 წლის 9 აპრილს იყვნენ ჯერ ბავშვობის/ადრეული ახალგაზრდობის წლებში (35-53წ.)
- G3 თაობა- ადამიანები, რომლებიც არ მოსწრებიან 9 აპრილს- დაიბადნენ 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ ან ამ პერიოდისთვის იყვნენ 2 წლამდე (18-35წ).

კვლევის ლიმიტი: კვლევის ფარგლებში გამოკითხული იყო თბილისში მყოფი საქართველოს მოქალაქეთა ნაწილი, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ შესაბამის ასაკობრივ კატეგორიას(არ მომხდარა რესპონდენტთა სხვა ნიშნით დაყოფა). კვლევა არ ყოფილა საყოველთაო/მასშტაბური, შესაბამისად იგი არ წარმოადგენს საზოგადოებრივი აზრის მასობრივ კვლევას. „Sidewalk” გამოკითხვისას გამოყენებულ იქნა შემთხვევითი შერჩევა- თბილისში, რამდენიმე ლოკაციიდან („მზიურის პარკი“, „ბუკიას ბაღი“, „კიკვიძის ბაღი“, „სადგურის მოედნის“ მიმდებარე ტერიტორია) გამოიკითხა ყოველი მესხეთე ადამიანი თითოეული ასაკობრივი კატეგორიიდან.

კვლევის მიზნები: სამი თაობის ხედვა

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სამივე თაობაში არსებობს 9 აპრილის ტრაგედიის განსხვავებული აღქმა, ღირებულებითი კავშირი და ემოციური დამოკიდებულება, უფროს თაობებში გამოვლენილი

დამოკიდებულებათა მთელი სისტემა მიუთითებს „გამარჯვების ტრავმაზე“ G2 („შვილების“), განსაკუთრებით კი G1 („მშობლების“) თაობაში- უფრო კონკრეტულად ეს ყოველივე ჩაშლილია ქვემოთ თითოეული თაობის ანალიზში.

G1 თაობა

G1 თაობას მიეკუთვნებიან ადამიანები 60 წლიდან ზემოთ. ამ ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელი ადამიანები 1989 წლის 9 აპრილს უკვე ზრდასრულ ასაკში იმყოფებოდნენ და ჰქონდათ შესაძლებლობა, უშუალოდ დაკვირვებოდნენ იმ დროს განვითარებულ მოვლენებს, მეტ-ნაკლებად ინდივიდუალურად ჩამოეყალიბებინათ ხედვა მოვლენის არსთან, გამომწვევ მიზეზებთან და მიზნებთან მიმართებით. კვლევისთვის ამ თაობის ადამიანების შეხედულებებზე დაკვირვება არსებითად მნიშვნელოვანი გამოდგა იმ კუთხით, რომ 9 აპრილის „შემოქმედი“ სწორედ ეს თაობაა, G1 თაობის ახალგაზრდობის წლები ემთხვევა 90-იანი წლების საქართველოს და ეს ჯგუფი ერთგვარი ცოცხალი „მატიანეცაა“ იმის გათვალისწინებით, რომ მათი გადმოცემული აზრები ასახავს იმ გზას, რაც 9 აპრილის ტრაგედიის შესახებ საზოგადოებაში წლების მანძილზე ფორმირდებოდა.

კვლევის შედეგად, ამ თაობაში განსხვავებით G2 („შვილების“) და G3 („შვილიშვილების“) თაობისა ყველაზე თვალსაჩინოდ იკვეთება 9 აპრილის ტრაგედიის განსხვავებული აღქმა. რესპონდენტები G1 თაობიდან ამ დღეს აღიქვამენ როგორც მძიმე ტრაგედიას.

„ჩემთვის 9 აპრილი ძალიან დიდ, წარმოუდგენლად დიდ ტრაგედიას ნიშნავს. ყველაზე საშინელი ყოფილა უძლურობის გრძობა, რომ უყურებ და ვერაფერს ვერ აკეთებ. მოვიდა ტანკი, ლულა ჰქონდა მოშვერილი ჩვენკენ, გინდა რაღაცა გააკეთო, გააპროტესტო, შეასკდე რაღაცას, თავი შეაკლა, მაგრამ რა აზრი აქვს“ [G1, მამრობითი სქესი, 69 წლის]

ამ თაობის ადამიანები განსაკუთრებით აპელირებენ მსხვერპლზე, რომელიც ტრაგედიამ მოიტანა:

„ტრაგედიას, იმიტომ, რომ ბევრი ჩემი ახლობელი იყო იქ, ზოგი მოინამლა, ზოგი გარდაიცვალა. აი როგორი ტრაგედიას იყო? გახსენება რომ არ გინდა ისეთი. შვილი მყავდა მაშინ პატარა და ვფიქრობდი, რა ბედნიერებაა, რომ ჩემი შვილი პატარაა და იქ არ იყო-მეთქი“ [G1, მდედრობითი სქესი, 60 წლის]

„არ მავინწყდება. ენა ახლა მარტივად იტყვის, მაგრამ ეს იყო წარმოუდგენელი რამ, მართლა გლოვა, ახლაც ცრემლები მომდის, რომ მახსენდება როგორ ჩახოცეს ხალხი ბარბაროსულად“ [G1, მდედრობითი სქესი, 68 წლის]

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ტრაგედიის მთავარ მონაპოვართან მიმართებით არსებობს რადიკალურად განსხვავებული დამოკიდებულებები სხვადასხვა თაობის ადამიანებში. მაშინ, როდესაც ახალგაზრდები თვლიან, რომ 9 აპრილის დამსახურება თავისუფლებისთვის ბრძოლაში არსებითად დიდია, G1 თაობაში ფიქრობენ, რომ ეს აღქმა გაზვიადებულია და რეალობას არ შეესაბამება:

„ეს თავისუფლება ქალაქებში იყო დაწერილი, არავითარი თავისუფლება არ მოგვიპოვებია, ეს უბრალოდ ქალაქებში დაინერგა, რომ თავისუფლებები ვართ, თორე იმის მერე არ ყოფილა არანაირი თავისუფლება“ [G1, მდებარეობითი სქესი, 64 წლის]

„დამოუკიდებლობები ვართ? ადრე რუსეთს ვემორჩილებოდით, ახლა ამერიკას ვემორჩილებით, სისულელეა ეს ჩემი აზრით. ეს იყო უაზრობა, ვინ მართავს ახლა ჩვენს ქვეყანას? ისევე აგენტურა, მაშინ რუსეთის აგენტურა მართავდა, ახლა ამერიკის აგენტურა მართავს“ [G1, მდებარეობითი სქესი, 70 წლის]

კვლევის შედეგად ამ თაობაში გამოვლინდა ნოსტალგია წარსულის მიმართ, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს მოვლენების მათთვის არასასურველი გზით განვითარებასთან.

„რამდენი წელი გავიდა, მიწები წავგართვეს, ღირდა? ოსეთი, სამაჩაბლო და აფხაზეთი, აღარ არის ჩვენი, დავითგარეჯი- ყველამ მოითხოვა თავისი ტერიტორიები. ის დრო სჯობდა ჩემთვის საბჭოთა კავშირი, ის სჯობდა, დაცულები ვიყავით“ [G1, მდებარეობითი სქესი, 75 წლის]

რესპონდენტები ბევრს საუბრობენ იმაზეც, რომ დღევანდელი სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა არ ასახავს იმას, რისთვისაც 9 აპრილს შეწირულები იბრძოდნენ, აქ იკვთება იმედგაცურების განცდა, რაც ასევე გვხვდება G2 („შვილების“) თაობაშიც, თუმცა G1 თაობის იმედგაცურება განსაკუთრებით მძაფრად შეიცავს ტრაგიზმს, სინანულს, რაც უმეტესად მტკივნეული პირადი გამოცდილებიდან გამომდინარეობს, რადგან ამ ადამიანებს თავიანთ თავზე აქვთ გამოცდილი როგორც ტრაგედიის, ისე მისი შემდგომი პერიოდის მთელი სიმწვავე.

„სიმართლეს გეტყვით რა, 9 აპრილი-ძმა დავკარგე, პლუს დავკარგე სოხუმში ძალიან ახლო ნათესავი, მეგობარი. რამდენი უნდა დავკარგო? რუსს უნდა ეს შენი ომი, რუსს უნდა მოგკლას, დაგჭრას, შეგაშინოს. არ შეიძლება ეს ყველაფერი რაღაცა სხვა გზით მიუვიდეთ?“ [G1, მდებარეობითი სქესი, 65 წლის]

კვლევის შედეგად ამ თაობის ადამიანებში გამოვლინდა არსებული რეალობით უკმაყოფილების განცდა, მოლოდინების ვერგამართლება, ზოგიერთ შემთხვევაში კი წყრომაც:

„დიდი შეცდომა იყო 9 აპრილი, მე თუ მკითხავს კაცი, არაფერი არ მოუტანია, რასაც ჩვენ ველოდით, 9 აპრილს რაც უნდა მოეტანა, ის არ მოუტანია. კომუნისტები, რომ იყვნენ, ვისაც ბევრი ფული ჰქონდა ნაშოვნი, მაგათთვის მოხდა ეს 9 აპრილი, ამ ფულს ვერ აჩენდნენ, მერე ვითომ დამოუკიდებლობა, ვითომ თავისუფლება და მერე გახდნენ მილიონრები, გამოაჩინეს მერე ყველაფერი“ [G1, მდებარეობითი სქესი, 72 წლის]

„არასტაბილურობა მოგვიტანა 9 აპრილმა და მეტი არაფერი, დამოუკიდებლობა არამგონია“ (G1, მამრობითი სქესი, 91 წლის)

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ არსებული რეალობით უკმაყოფილებას ამ თაობის ადამიანები გამოხატავენ ერთგვარ კონტრასტზე ხაზგასმით, რაც მათ მიერ ახალი თაობის კრიტიკაში ვლინდება- როგორი ახალი თაობა იყო 9 აპრილის მოვლენების დროს და როგორია ახლა. რესპონდენტები საუბრობენ თავისუფლების დღევანდელი აღქმის სტანდარტებზე და კვლავ ავლენენ პარალელს წარსულთან.

„ჩვენმა ახალგაზრდებმა ვერ გაიგეს რა არის თავისუფლება. მე ვინ უნდა დავადანაშაულო ამში?- მშობლები, რომლებმაც ცოტა სხვანაირად გაიგეს თავისუფლება და მისცეს აი ამ ბავშვებს ასეთი თავისუფლება, ჩემთვის ეს არ არის თავისუფლება (რესპონდენტი მიუთითებს პარკში მიმავალ თინეიჯერებზე)“ [G1, მდებარეობითი სქესი, 65 წლის]

G2 თაობა

G2 ანუ „შვილების“ თაობა ნაწილობრივ იზიარებს G1 თაობის პათოსს. კერძოდ, ამ თაობაშიც შეინიშნება ანმყოფი იმედგაცრუება, მომავლისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება, თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ თაობაში წარსულის ნოსტალგია არ გვხვდება. ამ ასაკობრივ კატეგორიას მიეკუთვნებიან ის ადამიანები, რომლებიც 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიისას ჯერ კიდევ ბავშვები იყვნენ, შესაბამისად უნდა ჩავთვალოთ, რომ მათი ხედვები დროთა განმავლობაში ფორმირდებოდა „მშობლების“ თაობის გავლენის ქვეშ.

კვლევისას გამოიკვეთა ისიც თუ როგორ შემოვიდა ამ თაობის მეხსიერებაში 9 აპრილი:

„მე მაშინ ძაან პატარა ვიყავი, ძაან ბევრი რამე არ მახსოვს. მაშინ მშობლები ნაკლებად უყვებოდნენ შვილებს ასეთ რაღაცებს, ზოგადად უფრო იცავდნენ ასეთი ინფორმაციისგან. იყო არეულობა, იყო რაღაცა შეშფოთება ოჯახში, მაგრამ ბავშვები ამას არ ვგრძნობდით. ცდილობდნენ, რომ ამ სიტუაციისგან მოვერიდებინეთ. მერე უკვე, რა თქმა უნდა, რომ გავიზარდეთ რაღაც ინფორმაციები მოვიძიეთ ჩვენით და აი ასე“ [G2, მდებარეობითი სქესი, 47 წლის]

„ჩვენ ყველაფერს ვხედავდით იმ პერიოდში, 15-16 წლისანი ვიყავით, შეიძლება 14-ისაც, მაგრამ ეს სტრესი ყველასთვის საერთო იყო იმ პერიოდში. უფროსები ცდილობდნენ, რომ გართობით ბავშვების ყურადღება სხვა რამეზე გადაეტანათ, მაგრამ ჩვენ ამაზე თვალებს ვერ დავხუჭავდით, ფაქტის წინაშე ვიდექით“ [G2, მდებარეობითი სქესი, 48 წლის]

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ანმყოფი იმედგაცრუება დამახასიათებელია „შვილების“ თაობისთვისაც, თუმცა ფრუსტრაცია არ არის იმ სიძძიმის, რაც G1 თაობაში გვხვდება. ეს შესაძლოა განპირობებული იყოს იმითაც, რომ ამ ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელ ადამიანებში „გამარჯვების ტრავმა“ გაცილებით ნაკლებია იმ ობიექტური ფაქტიდან გამომდინარე, რომ ცვლილება ემთხვევა ჯერ კიდევ იმ პერიოდს, როცა მათი ცნობიერება ყალიბდებოდა. ამდენად, თუ „მამების“ თაობამ საყოველთაო ცვლილებები გამოსცადა უშუალოდ საკუთარ თავზე, „შვილებზე“ ეს იმპულსი შუამავლობით (mediated) გადაიციმოდა, რაც, ბუნებრივია, ასუსტებს იმპულსის ძალას.

„მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, ერთუბიანობითა და ვიტყვით, სიამაყით სავეს. სტუდენტები მივდიოდით და დამოუკიდებლობის გულისთვის ვიბრძოდით, უკვე მაშინ გამიჩნდა რუსეთის მიმართ აგრესია. 9 აპრილმა რაღაცა მოგვიტანა ალბათ, მაგრამ რომ ვუყურებ რიგი მიზეზების გამო თანდათან ის იკარგება, რაც მოგვიტანა. ხალხშიც იკარგება, ხალხი დაიღალა. ის, რაც დაიწყო უნდა გაგრძელებულიყო, შეიძლება უფრო სხვანაირადაც განვითარებულიყო მოვლენები“ [G2, მდებარეობითი სქესი, 51 წლის]

საგულისხმოა ის, რომ 9 აპრილი ამ თაობის ადამიანებისთვისაც პირველ რიგში ტრაგედიასთან ასოცირდება, თუმცა ეს „ტრაგიზმი“ ნაკლებად მწვავეა განსხვავებით G1 თაობისგან.

„როგორ ვადმოვცე არ ვიცი ჩემი ემოცია. ამ ადამიანების სიცოცხლე რომ დაიკარგა, ეს ჩემთვის ტრაგედიაა, ეს არის ტრაგედია რა თქმა უნდა, თორემ სხვა მხრივ ტრაგედია რატომ უნდა ყოფილიყო. მთავარია ისე მოგვარებულიყო ეს ყველაფერი, რომ სისხლი არ დაღვრილიყო, ეს იქნებოდა ძალიან კარგი გამოსავალი“ [G2, მდებარეობითი სქესი, 52 წლის]

კვლევის ფარგლებში შვილების თაობაში გამოიკვეთნენ ისეთი რესპონდენტებიც, რომლებიც 9 აპრილის დღეს უპირველესად გამარჯვებასთან აიგივებენ და პოზიტიური დამოკიდებულება აქვთ ამ დღისადმი, თუმცა პარალელურად არც ზემოთ ხსენებულ კონტრასტზე წყდება აპელირება.

„ამ სიტუაციაში გამარჯვების შეგრძნება უფრო სჭარბობს ჩემში, იმიტომ რომ ვერცერთი გამარჯვება იქნება ასეთი მნიშვნელოვანი, სამწუხაროდ, ამ რაღაცა ნიუანსების და ტრაგედიის გარეშე... ძალიან ბევრი სტუდენტი ვიყავით იქ, გვეჩვენებოდა, და ასეც იყო, რომ ძალიან დიდ საქმეს ვაკეთებდით, თუმცა შემძლია ვითხრათ, რომ ახალგაზრდებს უფრო ნაკლებად ვხედავ დღეს, აი იმ დროს თქვენ რომ გენახათ იქ რა ხდებოდა და იქ ახალგაზრდების რა ნაწილი იყო.. დღეს ეს მუხტი ახალგაზრდებში მე არ მინახავს“ [G2, მდებარეობითი სქესი, 51 წლის]

მოვლენისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება დამახასიათებელია ამ თაობისთვისაც. კვლევისას გამოიკვეთა ნარატივები, რომლებიც ტრაგედიის თავიდან აცილების შესაძლებლობას უშვებს:

„გამარჯვების განცდა არ მაქვს, იმიტომ რომ არ იყო გამართლებული ამდენი სიკვდილი, ამდენი ტანჯვა. ეს შეიძლებოდა სხვა მხრივ დიპლომატიურად მოგვარებულიყო, მე ასე მგონია ყოველ შემთხვევაში. ყველაფერს უნდა თავისი მიდგომა და აი ასე ხალხის გაყრა ვარეთ ვილაყისთვის, რაღაცასთვის არასწორია. ეგ არეულობა აწყობდათ ზოგადად პოსტსაბჭოთა სივრცეში და ეს მოაწყვეს, თორემ საუკუნეები ვცხოვრობდით იქამდე და რა ვიცი, ჩემთვის ეს უაზრობაა პირადად“ [G2, მდებარეობითი სქესი, 48 წლის]

ანმცოსადმი არასახარბიელო დამოკიდებულება ვლინდება იმაშიც, რომ რესპონდენტთა ნაწილი 9 აპრილის ტრაგედიას შეწირულთა მიზანს- თავისუფლების მოპოვებას, ჯერ კიდევ მიუღწევლად თვლის, ტრაგედიის მთავარ მონაპოვარზე საუბარი უჭირთ, ამ დღის მიმართ არსებული ასოციაციები კი მრავალგვარია.

„ახალგაზრდობა შეენირა ჩვენი თავისუფლების გულისთვის და მაინც ვერ მივალწიეთ იმ თავისუფლებას, მაინც ვერ მივალწიეთ საერთო ჯამში, უბრალოდ დავკარგეთ ბევრი ახალგაზრდა“ [G2, მდედრობითი სქესი, 42 წლის]

„სადღაც სიამაყის გრძნობა მაქვს, სადღაც ზვიმის, სადღაც დიდი ტრაგედიაა ეს ჩემთვის. თვალწინ მიდგას ეს კადრები, ტანკები რომ შემოვიდა და ნიჩბებით როგორ აჩეხეს ეს ბავშვები, ეს იყო კატასტროფა... რაც არ უნდა იძახონ, ჩვენ არა ვართ დამოუკიდებლები. ჩვენ ვართ ძალიან პატარა ქვეყანა და ძალიან დიდი დიპლომატია გვჭირდება, რომ დავამყაროთ მშვიდობა ყველა ქვეყანასთან, ეს ძალიან რთულია. თვითონ ხალხმა უნდა გაათავიყნობიეროს როგორ, რა მიმართულებით უნდა წავიდეთ“ [G2, მდედრობითი სქესი, 51 წლის]

G3 თაობა

კვლევისთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა G3 ანუ „შვილიშვილების“ თაობა. ამ ჯგუფში ერთიანდებიან რესპონდენტები, რომლებიც არ მოსწრებიან 1989 წლის 9 აპრილს, შესაბამისად მათ ცნობიერებაში არ არის აღბეჭდილი ტრაგედიის ისეთი ფაქტობრივი ან ემოციური ცოდნა, რომელიც უშუალო ან ირიბი თანამონაწილეობით შეიძლება მიეღოს. ამ თაობის აღამიანებში იკვეთება მოვლენის რადიკალურად განსხვავებული ხედვა- განსხვავებით G1 და G2 თაობებისა, ამ ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენლებში არ გვხვდება „გამარჯვების ტრაგემის“ კვალი, მათი ნარატივი დაცლილია სკეპტიციზმისგან, შეინიშნება მომავლის მტკიცედ ჩამოყალიბებული, პოზიტიური ხედვა, 9 აპრილის კონტექსტში კი გამარჯვების შეგრძნება ტრაგიკულად გადანონის, მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდების მესიერებაში 9 აპრილი ტრაგიკულ მოვლენად არის ასახული.

რესპონდენტები G3 კატეგორიიდან ორ ნაწილად გაიყო 9 აპრილისადმი ემოციური დამოკიდებულების კონტექსტში. ერთი ნაწილი ამბობს, რომ ამ დღისადმი ემოციური დამოკიდებულება არ აქვს, მიუხედავად პატივისცემისა, ხოლო მეორე ნაწილი ემოციურად არის განწყობილი 9 აპრილის მიმართ იმდენად, რამდენადაც ამ დღეს ახალგაზრდები შეენიშნენ და ეს ფაქტი თავისთავად არის ემოციების გამომწვევი:

„ემოციური დამოკიდებულება ამ დღისადმი ნამდვილად არ მაქვს. პატივს ვცემ იმ ხალხს, რომელიც ჩემი ქვეყნის და პირადად ჩემი დამოუკიდებლობისთვის ამხელა მსხვერპლზე წავიდა, მაგრამ ემოციური დამოკიდებულება არ მაქვს“ [G3, მდედრობითი სქესი, 21 წლის]

„რა ვიცი, ხალხი დაიხოცა. ბუნებრივია, ემოციური დატვირთვა არის ხალხი როცა იხოცება. თუნდაც ახლა უკრაინაში ბავშვები რომ იხოცებიან- ემოციურად მოქმედებს, რა თქმა უნდა“ [G3, მამრობითი სქესი, 22 წლის]

„ემოციური კავშირი, რა თქმა უნდა ახლა.. არ მომეწონა რაც მოხდა, ვის მოეწონებოდა ახლა ეგ“ [G3, მდედრობითი სქესი, 23 წლის]

კვლევისას გამოიკვეთა ისიც, რომ 9 აპრილის ტრაგედიისადმი ემოციური დამოკიდებულება ცალკეულ შემთხვევაში განპირობებულია ახლობლების, ოჯახის წევრების საპროტესტო აქციებში მონაწილეობით ან სხვა რაიმე სახის შემხებლობით იმ დროის მოვლენებთან. მსგავსი- „ოჯახის ისტორია“ განაპირობებს ტრაგედიასთან ემოციური კავშირის ქონას ცალკეული ახალგაზრდების შემთხვევაში:

„მე ემოციური კავშირი მაქვს, იმიტომ, რომ მამაჩემი და მამიდაჩემიც იყვნენ და მამიდაჩემმა ქაშუეთში შეასწრო და გადაარჩა და მამაჩემი ნახევარი საათით ადრე წამოვიდა სახლში“ [G3, მდებდროებითი სქესი, 21 წლის]

როგორც აღმოჩნდა, გარდა „ოჯახის ისტორიის“ ფაქტორისა, G3 თაობაში ემოციური დამოკიდებულების ქონას ამ დღისადმი განაპირობებს ბავშვობაში მონათხრობი ისტორიები მშობლებისგან, ნათესავებისგან.

„პირველი რაც 9 აპრილზე მახსენდება ხოლმე არის ჩემი ნათესავის ამბავი-ცრემლსადენი ვაზი როცა გაუშვეს, იმის მერე წვერი და თმა აღარ ეზრდება უბრალოდ. მახსოვს, ბავშვობაში ძალიან გაკვირვებული ვიყავი, დედაჩემს ვკითხე, რატომ არის ასე მეთქი და ეს ისტორია მომიყვა და აი ეგ მაქვს ჩარჩენილი ბავშვობიდან ყველაზე მძაფრად, ეგ ისტორია“ [G3, მდებდროებითი სქესი, 21 წლის]

„იმ დღეს, 9 აპრილს, იქ დედაჩემი და ბებიჩემი იყვნენ, 2 საათით ადრე წამოვიდნენ, სანამ ეს დარბევა მოხდებოდა. ეგ მახსენდება ხოლმე და კიდევ ერთ-ერთი გოგონა, რომელიც დაიღუპა დედაჩემის ახლო მეგობარი და კლასელი იყო და მახსოვს, რომ დედამ იტირა, როცა პატარა ვიყავი ამის გახსენებისას“ [G3, მდებდროებითი სქესი, 21 წლის]

განსხვავებით უფროსი თაობებისა, „შვილიშვილების“ თაობა ყველაზე მკვეთრად აპელირებს რუსეთის ფაქტორზე, ერთმნიშვნელოვნად უსვამს ხაზს ჩრდილოელი მეზობლის როლს 9 აპრილის ტრაგედიაში და აქცენტი გადააქვს ქართველი ხალხის დაუმორჩილებლობაზე ამ პროცესში. ასევე, G3 თაობა 9 აპრილის ტრაგედიას აღიქვამს ერთგვარ წყალგამყოფად, რამაც მათი ხედვით, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა კიდევ საქართველოს მომავალი.

„9 აპრილი ჩვენი ქვეყნისთვის იყო გარდამტეხი მომენტი, იმიტომ, რომ ვიდრეცამოწვევის წინაშე და ეს გამოწვევა იყო ან მივიღებდით თავისუფლებას და დამოუკიდებლობას ან ვიქნებოდით ისევ რუსული მარნუხების ქვეშ მოქცეული“ [G3, მდებდროებითი სქესი, 29 წლის]

„ 9 აპრილმა ხალხს დაანახა ის, რომ პროტესტს აქვს ყოველთვის მნიშვნელობა, მაშინაც კი, როცა საბჭოთა კავშირის კლანჭებში ხარ გახვეული“ [G3, მდებდროებითი სქესი, 20 წლის]

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც დამახასიათებელია ამ თაობისთვის, არის 9 აპრილის შემდგომ განვითარებული მოვლენებისადმი საკმაოდ პრაგმატული დამოკიდებულება, შედეგზე ორიენტირებულობა, რაც წინა თაობებში თითქმის არ გხვდება. კერძოდ, ამ თაობის ადამიანებში

მიუხედავად 9 აპრილის თანმხლები ტრაგიკმისა, შენარჩუნებულია მოვლენის პოზიტიურად აღქმის უნარი- თავისუფლების, დამოუკიდებლობის მოპოვების შტრიხი, რომლის ფასდაც მსხვერპლის გაღება ღირს:

„ხალხი დაიღუპა, ძან ცუდია, მაგრამ ის არის კარგი, რომ დაფიქსირდა, რომ ჩვენ არ გვინდოდა ქვეშევრდომობა და გვინდოდა დამოუკიდებლობა კანონმდებლობის დონეზე, კულტურულ დონეზე და შენარჩუნება ჩვენი ერის. საუკუნის მანძილზე პირველად მოვიპოვეთ ეთნიკური ინდივიდუალიზმი იმპერიის წინააღმდეგ“ [G3, მამრობითი სქესი, 22 წლის]

„პირადად ჩემში აღმატებული გრძნობა უფრო სჭარბობს, იმიტომ, რომ ეს ტრაგედია, ცოტა უხეშად კი უღერს, მაგრამ ღირდა იმად, რაც შედეგად მივიღეთ“ [G3, მდედრობითი სქესი, 20 წლის]

„უფრო გამარჯვების განცდა სჭარბობს ჩემში, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი დამორგუნველი მოვლენა მოხდა, მაგრამ ზუსტად ის შედეგი მივიღეთ, რისთვისაც გამოვიდა ეს ხალხი. მსგავსი რამეები თან ახლავს ასეთ მოვლენებს, მით უმეტეს საბჭოთა პერიოდში, მაგრამ შედეგი მაინც უფრო მნიშვნელოვანია. [G3, მდედრობითი სქესი, 21 წლის]

საბოლოოდ, G3 თაობაში გამოიკვეთა 9 აპრილის ტრაგედიისადმი გასხვავებული ემოციური დამოკიდებულება, შედარებით წინა თაობებისა. ამ ასაკობრივ კატეგორიაში, 9 აპრილი აღქმულია როგორც ტრაგედია, თუმცა მას გადაწონის გამარჯვების შეგრძნება, რაც ძალიან იშვიათად გვხვდება უფროს თაობებში.

დასკვნა

9 აპრილის კულტურულ ტრავმად ფორმირება მალევე, ტრაგიკული ღამიდან რამდენიმე საათში იწყება. საწყის ეტაპზე ეს პროცესი განპირობებული იყო საზოგადოების უშუალო ძალისხმევით, ხალხის სტიქიურად ემოციურმა ქმედებებმა, მომხდარ დანაშაულზე საპასუხო რეაქციის სიმწვავემ, თავსდატეხილი უბედურების მასობრივად განცდამ საფუძველი ჩაუყარა კოლექტიურ გლოვას, რამაც კიდევ უფრო „გამართივა“ 9 აპრილის ტრაგედიის ტრავმად ფორმირება. საკითხის ირგვლივ არსებული თეორიული მასალის მიმოხილვიდან გამომდინარე გამოიკვეთა, რომ 9 აპრილის კულტურული ტრავმა ჯერ კიდევ „კომუნიკაციური მეხსიერების“ ფაზაშია, რადგან ამ მოვლენიდან არ გასულა 80-100 წელი. მოვლენის კოლექტიური მეხსიერების ნაწილად ქცევის პროცესი მოიაზრებს იმასაც, რომ მან თავის დამკვირდება უნდა შეძლოს „კულტურულ მეხსიერებაში“, რაც თავის მხრივ, საჭიროებს ენერჯიას უშუალოდ საზოგადოების მხრიდან. გამომდინარე იქიდან, რომ კოლექტიური მეხსიერება არის ანმყოფი მუდმივად კონსტრუირებადი ფენომენი, მისი ჩამოყალიბება საზოგადოების მიერ ტარებული მოვლენის აღქმისა და გააზრების გზით მიიღწევა, ეს პროცესი კი მუდმივად, ყველა თაობაში უნდა მიმდინარეობდეს.

